


ქართველი



ქართველი მუსიკის უნივერსიტეტი

ქართველი მუსიკის უნივერსიტეტი

№ 4 (43)

2019



ნაიკითხეთ ქრისტიანული
პოეზიის IX ფესტივალის
„წმინდა ნინოს ჯვარი“
საფესტივალო ღერძები

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

მსახურული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნარეკლიშვილი, მერის პირველი მოადგილე ბატონი დავით ბეგიაშვილი) მხარდაჭერით.



გარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №4,(43), 2019



გამოღისაშ თვეული ერთხელ



„ოლეს“ ლიტერატურული შურნალი



შიდაარსი

ლიტერატურული ცხოვრების ეროვნული
2. ურნალ „ოლეს“ საიუბილეო ღონისძიე-
ბი თელავში

ილია ჭავჭავაძე

4. როინ ჭიათვაძე. უფლისმიერი „სასულიერო
ნეურვილი“ ჭაბუკი ილია ჭავჭავაძისა

ადამიანი, რომელიც საჯოგლოსავით
გიყვარს

7. ვარი ზალიშვილი. თელავი –
რექტორების ქალაქი და ალექსანდრე
გვერდი. ვარსკვლავთცვენა თელავში

რჩისტიანული პოეზიის IX ფესტივალი
„ნიმღება ნიმოს პვარი“

16. საფესტივალო ლექსები

მცირლის სიტყვა

33. ვარნა რაინა. სიტყვა საქართველოს
მწერალთა კავშირის XXV ყრილობაზე...

გხატვლული ლიტერატურა

35. აანო ჩეჩივაძე. ორი მოთხოვბა

40. თაგარ კოლებიშვილი. ლექსები

42. ირმა კავალიძე. ოქროს ზოდი. მოთხოვბა

46. როლანდ გიორგაძე. დისო, დისო...

რომანი

50. ვაჟა გიგური. ლექსები

52. გიორგი გარვაშვილი. პირველი
სიყვარული. მოთხოვბა

ლაგარა იანვარაშვილი – 85

55. ოთარ ხუციშვილი. „სხვათაბედა“
ქალბატონი

პოეტის ერთი ლექსი

56. დარეჯან ჭავჭავაძე. ჰერას! ლექსი

თავმგების ერთი ეპიზოდი

57. ელდარ ჭიათვაძე. იყო და არა იყო რა

58. ივება პალიაშვილი. კუზიანი ხე

თარგმანი

59. დიმიტრი ლიხაშვილი. წერილები
სიკეთესა და მშვენიერებაზე

გარეკანის პირველ გვერდზე

სოფიო ჭალიძის ნახატი

დაბეჭდა

გამომცემლობა „მერიდიანი“

1



ოლე, №4, 2019

ურნალ „ოლეს“ საიუგილეო ღონისძიება თელავში

2



21 მაისს თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში, თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ორგანიზებით, უურნალ „ოლეს“ 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება მიჰყავდა თელავის მერიის კულტურის სამსახურის უფროსს – ფიქრია ყუშიტაშვილს.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს: მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ ფარნა რაინამ, უურნალ „ოლეს“ მთავარმა რედაქტორმა აკაკი დაუშვილმა, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ არჩილ თხლაშიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თემურ ჩალაბაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ ბალათერ არაბულმა, საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ზაალ ბოტკოველმა; როინ ჭიკაძემ, მაყვალა მიქელაძემ, ნანა რჩეულიშვილმა, რამაზ მეფარიშვილმა, ნელი ცეკიტიშვილმა, მანანა გოგიშვილმა, რომეო ფირცხელანმა.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ არჩილ თხლაშიძემ უურნალ „ოლეს“ სარედაქციო საბჭოს თელავის მუნიციპალიტეტის სახელით სიმბოლური საჩუქრები გადასცა და უურნალ „ოლეს“ თანადგომა აღიუთქა.

ფიქრია ყუშიტაშვილმა ახმეტისა და თელავის მაურიტარის გელა სამხარაულის სახელით საჩუქრები გადასცა უურნალ „ოლეს“ კოლექტივსა და ფარნა რაინას.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ ფარნა რაინამ მწერლებს უურნალ „ოლეს“ 2018 წლის პრემიები გადასცა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თემურ ჩალაბაშვილმა უურნალ „ოლეს“ მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს – ირაკლი ქადაგიშვილს, თელავის მუნიციპალიტეტის მერს – შოთა ნარეკლიშვილს, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს – არჩილ თხლაშიძეს, შ.კ.ს. „სერპანტინის“ დირექტორს ზურაბ ფეიქრიშვილს და მათ „ქართული მწერლობის ქომაგის“ წოდებები მიანიჭა.

თემურ ჩალაბაშვილმა ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი ღვანლისათვის უურნალ „ოლეს“ მთავარ რედაქტორს – აკაკი დაუშვილს მიანიჭა დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია, რედაქტორს – ფარნა რაინას ქართული კულტურის დეპარტამენტის წოდება და ასევე რედაქტორს – ნუნუ ძამუკაშვილს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება.

15 წლის მანძილზე უურნალ „ოლეს“ რედაქტორი მრავალ სირთულეს წარმატებით გაართვა თავი. უურნალმა ორჯერ გაიმარჯვა კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. უურნალთან თანამშრომლობდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსები: ფრიდონ ხალვაში და ოტია იოსელიანი; არაერთი სახელოვანი ქართველი მწერალი. დაისტამბა ჭაბუა ამირეჯიბის გამოუქვეყნებელი წერილი.

უურნალს თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის დამეგობრების საქმეში. „ოლეს“ ამა წლის მესამე ნომერი მთლიანად დაეთმო მესხეთში მოღვაწე მწერლებს, ხოლო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა თელავში მოღვაწე მწერლების ნაწარმიებები. მსგავსი გაცვლითი ნომრები, განვლილ წლებში, „ოლეს“ ჰქონდა აჭარასთან და ქუთაისთან.

უურნალი „ოლეს“ უკანასკნელი ხუთი წელია პერიოდულობის დაცვით გამოდის (სამ თვეში ერთხელ), რაც „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურებაა.

საიუბილეოდ წარმოთქმულ სიტყვებს შემოგთავაზებთ „ოლეს“ მომდევნო ნომერში.

ექსპონომეტი „ოლეს“ მთავარ რედაქტორის აკაკი დაუშვილს

საასპარეზოდ მწერლობის შევიბრზე რადგან დავუშვით წარმატებებს და მიღწევებს მას უკვე ვეღარ დავუშლით, მაშ გაუმარჯოს ნალდ მწერალს, ჩვენს ძმას – აკაკი დაუშვილს!



3



პირველ რიგში მარცხნიდან: თინათინ მრელაშვილი, რომეო ფირცხელანი, ფარნა რაინა, თემურ ჩალაბაშვილი, ბალათერ არაბული, როლანდ გიორგაძე, ზაალ ბოტკოველი, აკაკი დაუშვილი და არჩილ თხლაშვილე

ყურადღება!.. ყურადღება!.. ყურადღება!..

ჩვენ მოვდივართ!..

ქართული მწერლობის წინსვლის, განვითარებისა და ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობის გამოვლენა-დაოსტატებისათვის, – მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ 2020 წელს აწყობს ახალგაზრდა შემოქმედთა, – პოეტთა და პროზაიკოსთა (25 წლამდე) კონკურსს დევიზით: „ჩვენ მოვდივართ!..“

ახალგაზრდა ავტორებმა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთში“ საკონკურსო ნაწარმოებები უნდა წარმოადგინონ ფოსტით ან პირადად 2020 წლის 10 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით (მისამართი: 2200 თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №6, III სართული, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“).

ნაწარმოებები განიხილება საკონკურსო უიურის მიერ მაისში.

გამარჯვებულთა ვინაობა და მათი ნაწარმოებები გამოქვეყნდება ივნისში, უურნალ „ოლეში“.

ივნისშივე მოეწყობა გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება.

მცხარალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“





როინ ჭილაძე

ილია ჟავუატერაძის მოლვანეობისა და შემოქმედების საპროგრამო სამი ღვთაებრივი საკუნძის წონილ პისტუ-ლადში მატულისა და ენდოთენ განუყოფელია სარჩევნოე-ბა. ეს ერთანასი სამეცნა მატულის კუთილფლეობისათვის ზრდოლაში ნაიძლევარა ილიამ, როგორც სამოქანელოთ ერთვნულ-განმეორებულებული მოძრაობის სამოქმედო პროგრამა. მისი ღრმა რწმენით, „ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერთიანა მოსახლეობა“. ამიტომაც იყო, რომ ილია ჟავუატერაძე სიურმილიძინვე დაქანება ქრისტიანულ მოძღვრებას და სირქეზბლის მოლოდნე ერთგულობრდა მას.

၁၃၂

תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

უფლისმიერი „სასულიერო ცყურვილი“ ჭაბუკი ილია ჭავჭავაძესა

„ՅԱՌ ԹԱՏ, ՅՈԵՑԵ ՔԱՐՇԱԿՄԱՆ ՔԱՐՇՎ ԱՌ ԱԽՈ!“

၁၂

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობითი მრნაბ-
სის ჩამოყალიბების თვალის გასადევნებლად ფრიად
საყურადღებოა სტუდენტობის ის „ძევირფასი ოთხი
წელიწადი“, რომელსაც თავადაც გამორჩეულად აფ-
ასებს. პავლე ინგორიშვა დეტალურად აღადგენს სტუ-
დენტი ილიას შექირვებული ცხოვრების პერიპეტიებს:
„ილია 1857 წლის ზაფხულიდან მოკიდებული, ვიდრე
1859 წლის ზაფხულამდე რუსეთში იმყოფებოდა. მა-
გრამ 1859 წელს ილია ავადმყოფობის გამო დროებით
ჩამობრუნდა საქართველოში. ზაფხული და შემოდ-
გომის დასაწყისი მან საქართველოში გაატარა. ილია
ისევ გაბრუნდა რუსეთში 1859 წლის შემოდგომაზე...“

ილიამ 1860-1861 წლებში მოისმინა მეოთხე კურ-
სის ლექციები. მაგრამ ილიას აღარ დაუცდია საგნების
ჩასაბარებლად. 1861 წლის გაზაფხულზე ილია წამოვ-
იდა საქართველოში, ჩანს ისევ ჯანმრთელობის მდგო-
მარეობის გამო. ილია ჩამოვიდა თბილისში 1861 წლის
მაისში. ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ილიამ
თბილისსა და კახეთში გაატარა.

ამჯერად, ჩვენი განხილვის საგანიც უმთავრე-
სად მოიცავს ილია ჭავჭავაძის პოეზიის სტუდენტობის
დროინდელ პერიოდს. ილიას ნაწარმოებთა ტექსტებისა
და ქრონოლოგიის სარედაქციო შენიშვნებში პავლე ინ-
გოროვა მიუთითებს, რომ „ილიას მხატვრული შემოქ-
მედების მთავარი რეალი ამ პერიოდს ეკუთვნის“, რაც
განსაკუთრებით მის პოეტურ ქმნილებებში აისახა.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და შემოქმედების საპროგრამო სამი ღვთაებრივი საუნივერსიტეტო ცნობილ პოსტულატში მამულსა და ენასთან განუყოფელია სარწმუნოება. ეს ერთარსი სამეცნიერო მამულის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში წაიმდლვარა იღიამ, როგორც სამოციანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა სამოქმედო პროგრამა. მისი ღრმა რჩმენთ, „ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძე სიყრმიდანვე დაეწავთა ქრისტიანულ მოძღვრებას და სიცოცხლის

ბოლომდე ერთგულებდა მას. მწერალი და პუბლი-ცისტი გრიგოლ ყიფშიძე იხსენებს: „იღლას თითქმის მოხუცებამდე შერჩა სიყვარული საღმრთო წერილის კითხვისა, მისის ქართულის ენა-მზიანობისა და სიღ-რმე-ძალისა, აგრედვე სახარების კარგის, კილონანის კითხვისა ეკლესიაში. იღლა იმ აზრს ადგა, რომ ქარ-თულის ღრმად და ყოველ მხრივ შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა კითხვა საღმრთო წიგნებისა, ცოდნა ძველის ქართულისა. ქართულს ის შეისწავლის საფუძვლიანად, ვინც ხშირად კითხულობს საღმრთო წერილის წიგნებს, კითხულობს შეგნებით და უკვირ-დება ძველის ქართულის საგრამატიკო ფორმებს, მის მომოხვრასა, სინტაქსისა. თვითონაც ხშირად კითხუ-ლობდა ძველ ქართულ წიგნებს, სახარება-სამოციქუ-ლოს და მოსმენაც უყვარდა ეკლესიაში მისი წაკითხ-ვისა; ისე აღდგომა არ გათენდებოდა თითქმის, რომ განსაკუთრებული გულის-ძგერა არ აშლოდა და არ მოენდომებინა ეკლესიაში წასვლა, უფრო-კი სახარების კითხვის მოსასმენად“.

ყოველივე ამის შემდეგ მართლაც სარწმუნოა რე-ლიგიური ექსტაზით შეპყრობილი ყრმა იღიას დაუოკებელი სურვილი ბერ-მონაზვნად შედგომისა. და ფა-ბუკი პოეტი „მუხლმოდრეკილი, ლმობიერი“, უფლის ნამცნების სიყვარულით გულანთებული, მონიწებით ალავრებს წმინდა ლოცვას:

მამაო ჩვენო, რომელიკა ხარ კათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენს წინა; არცა სიმფიდრის, არც დიდების

თხოვთ არ მინდა,

არ მინდა ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურის განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამდებების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მე ართა თვის კარის რომილო კარი.

გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუწდე, — არ იციან, ღმერთო,
რას იქმან!“ („ლოცვა“).

ეს ლექსი დაწერილია ტიარლევოში 1858 წლის ივლისში; და ილია ჭავჭავაძე იმავე წლის აგვისტოში კიდევ ერთ ლოცვას უძღვნის უფალს და ღმერთს შესთხოვს, განარიდოს დემონის ურწმუნოებისა და მაც-დურობისაგან: „ოდეს დემონი ურწმუნოების, უკუ-თქ-მისა და მაცდუროების საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძღვნს, – ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, – ნუ დამაწა-ფებ დემონის ფიალს, და უკეთა არს შესაძლებელი, მე განმარიდენ იგი სასმელი. მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს, რათა გამოცდა მით პერნდეს ჩემს სულს, განჯერნენ შენ ხმასთან სურვილი ჩემი და იყვან ნება, უფალო, შენი! ფაქტობრივად, ესაა ღმერთს მინდობილი ყრმის ლალადისი“ („ლოცვა“).

აკაკი ბაქრაძე ამ ლექსში ხედავს ღვთაებრივ კანონზომიერებას: „ილიას სევდა ბუნების შეცნობი-ლი კანონზომიერების და ღვთაების ნების აღიარება“, ხოლო გურამ ასათანის აზრით, „ილიას პოეტიკისათვის ასევე არაორდინალური პირობითი სახეა ქრისტიანული მითოლოგიის პერსონაჟი დემონი“. ნიშანდობლივია, რომ ლექსი „ლოცვა“ დაწერილია 28 აგვისტოს – მარიამ ღვთისმშობლის ხსენების დღეს.

ცხადია, არც ისაა შემთხვევითი, რომ ილია „აჩრდილშიც“ ღვთისმშობელს ავედრებს მის წილე-ველრ ტანჯულ ქვეყანას:

„დედავ ღვთისა! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკელბ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს
უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოყცი ძალი დაგრდომილსა კვლავ ალღომისა,
სახელოვნი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შეიღლსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის პბრძოდენენ

ქართვლისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან – რა არს მშვიდობა,
იქმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის
ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, – შეისყიდეს ტანჯვით
შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და
სიყვარული

და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰო, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარდენისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..“
(„აჩრდილი“, XXVI, 26 იანვარი, 1859წ., პეტერბურგი)
მართებულად შენიშნავს გურამ შარაძე, რომ „ბევ-
რი ბრწყინვალე პოეტური ემნილება, რითაც ილია ჭა-
ჭავაძის სახელი სამუდამოდ უკვდავყოფილია ქართულ
პოეზიაში, სწორედ პეტერბურგში, ტიარლევოსა და
პავლოვსკშია დაწერილი“.

საქართველო, პეტერბურგულ პერიოდში ილიას პოეზია მოცულია ქრისტესმიერი რწმენითა და საზ-რისით, რასაც სათანადო ახსნას უძებნის გიორგი ჯი-ბლაძე: ადამიანმა რომ შეიცნოს „სიცოცხლის ფასი“,

უნდა გაისიგრძებანოს, რომ სიცოცხლე – ეს არის „უკვდავი ნიჭი“ და თაყვანს უნდა სცემდეს „ღვთიურს ნიჭსა“; მკვლევარი იქვე დაგვაკალიანებს: „მთელი ეს ფილოსოფიური იდეა და ქრისტიანული მორალი გად-მოცემულია 1858 წელს დაწერილ ლექსში „როდემდის“:

როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასასა?

როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ლირსასა თაყვანსა?

მის ყოველ წუთას სიფრთხილითა რატომ
არ ვხაჯავთ
და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა ვსახავთ?

ძრნოდე, სულელო! წუთუ ქრისტეს არ სცნობ
სიტყვათა,

წუთუ შენს თავსა მტკრითა შეემნილს ჰედავ
კვლავ მტკრათა.

და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტკრის
თანამგზავრად?

რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ
სთქა ცხადად...

წუთუ არ იცი, რას გამცნებდა ღმერთი
ჯვარცმული,
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც
სრული“.

აქვე გაგვახსენდება სიცოცხლის ამაოებაზე ერთი წლით ადრე დაწერილი ლექსი „სანთელი“, სადაც ილია ჩამწვარ სანთელს ადარებს ადამიანის ალსასრულსა და მტკრად ქცევას: „ეგრეთაც კაცი ძლიერი პერება, რა წნევება მას სიკვდილი – მტერი; მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუჭა-ლა გამხმარი მტვერი“.

ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამის დამწერი ოციოდე წლის ჭაბუკა და ეს ნააღრევად დაბრძნებული ჭაბუკი ქართველ სტუდენტებს მოუ-
ნიდებს, ჩადგნენ დაობლებული მამულის სამსახურში: „მამულისა შვილინი ჩვენც ვართ და მიტომ ვზრდით ჭა-
ბუკს სულსა, რომ ოდესმე გამოვადგეთ დაობლებულს ჩვენს მამულსა“ („ქართველ სტუდენტების სიმღერა“); ერთ უსათაურო ლექსში კი უმაქნისებს დაამუნათებს: „ვაი მას, ვინცა ჭაბუკაბას ჭაბუკ არ არი!“.

ჭაბუკი ილია ოდენ ლოცვა-კურთხევით კი არ ქმაყოფილდება, არამედ ჰყოფნის გაბედულება და ღმერთობან მიასლებული პოტი სტუდენტობიდანვე ემზადება, „რომ წარუძღვეს წინა ერსა“, წიადაგ მას-თან იყოს „ჭმუნვასა და სიხარულში“ და ქართველ ერს მოსწმინდოს „ტანჯვის ცრემლი“ („პოეტი“), რისთვისაც უცილობელ პირობად მიიჩნევს თაობათა ურთიერთ თანადგომას: „მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად, რომ წინანი უკანასთვის უნდა იქნენ გზად და ხიდად“ („ქა-
რთველ სტუდენტების სიმღერა“).

უთუოდ ანგარძებასაწევია ისიც, რომ ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი ილია ჭაბჭავაძე გულმტკავნეულობს: „ოხ, ღმერთო ჩემი, სულ ძილი, ძილი, როსლა გველ-ირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ („ელეგია“, 1857წ., პეტერ-ბურგი). ამ საღათას ძილიდან გამოფხიზლების ერთ-ერთ მძლავრ სანინდრად ილიას ესახება ერთგულება ქრისტეს მცნებისადმი, რისთვისაც თავად უცოლმევი-



ლო ჭაბუკი ქართველ დედას მოუნოდებს:
 „აქ არის, დედა; შენი მაღალი
 დანიშნულება და საღვთო ვალი!
 აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
 საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“
 („ქართველ დედას“, 1858წ., 15 დეკემბერი; პეტერბურგი).

საერთოდაც, ქრისტეს მცნება გახლავთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედების კრედო, რისთვისაც არ ულალატია მთელი სიცოცხლის მანძილზე და მზად არის, „ვემს სვერპლოთ ქრისტესა მცნებასა...“; როცა ილია ამბობს: „ქრისტეს ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული“, ცხადია, მომდინარეობს სახარებიდან: „ლმერთი სიყვარული არს“; იგი ვერ ურიგდება ადამიანის მონურ ბუნებას, რისთვისაც კვლავ ქრისტეს იწნამძღვრებს: „მონება კაცს არ შეშვენის, ქრისტეა ამის მონამე“-ო („ჩემი თარიალი“) და მონოდებასავით შემოგვძახებს: – „კაცო, გიყვარდეს!“

ჩვენც გავითავისოთ და გავისიგრძებანოთ ილია ჭავჭავაძის ქრისტესმიერი საზრისი, ერთხელ კიდევ შეეფრძნოთ ილია მართლის მჭერვმეტყველური სიტყვიერების ძალმოსილება: „ქრისტე-ლმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავულედეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობის საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათავერ შემუსრეს იგი... გაგწყდით, გავიულიტენით, თავი გავინირეთ, ცოლ-შვილინი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა შუქა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანობის თავმოწონებით ვეძახით“ („რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“).

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გიორგი ჯიბლაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ილია თავის შემოქმედებაში ხშირად ახსენებს ლმერთსაც და ქრისტესაც იმ პერიოდშიც კი, როცა იგი სრულიად გამოუცდელი იყო როგორც თეორიული, ისე პოეტური მოღვაწეობისადმი; თუმცა – განაგრძობს მკვლევარი – ღვთაებისა და ქრისტეს მცნებებისადმი მიღრეკილება ცხადად აღბეჭდილიყო მის სულსა და გულში. ამიტომაც აღარ გვიკვირს, სრულიად ახალგაზრდა ილია გულმხურვალედ რომ გამოეხმაურა გარიბალდის ტრიუმფს იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში და კვლავ და კვლავ ლმერთს შეჰდალადებს: „ლმერთო, ლმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“ („მესმის, მესმის“).

ყრმა ილია ჭავჭავაძის რწმენითი მეგზური ნიადაგი იყო ბიბლია და საღვთო წიგნები. ამიტომაცაა, რომ

მხატვრული თუ პუბლიცისტური ქმნილებები გაჯერებულია ბიბლიური ცნებებით: წმინდა ტაძარი; წმინდა მადლი; წმინდა სიტყვა; წმინდა გრძნობა; წმინდა განზრახვა; წმინდა წამი; წმინდა სისხლი; წმინდა სამარე... აგრეთვე ბიბლიური შეგონებანი: იყავნ ნება, უფალო შენი; შეუნდე, – არ იციან, ლმერთო, რას იქმან; კაცო, გიყვარდეს...


ის კი არა და, ილია სახარებისეულ ფრაზასაც კი იმომტებს ლექსში „როდემდის“: „ნუთუ არ იცი, რას გვამცნებდა ლმერთი ჯვარცმული, როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“. შდრ.: მათეს სახარება: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“, მ.5.48. ასევე, მათეს სახარების ფრაზას – „განიყარეთ მტუერი თქუენთა ფერხთაი“ – უნდა უკავშირდებოდეს სიცოცხლის ამაოებაზე დაფიქრებული ილიას საზრისი: „მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუჭა-ლა გამხმარი მტვერი („სანთელი“).

ილია ჭავჭავაძისათვის არც ძველქართული ლექსიკა უცხო; ლმერთისადმი მოწინებით მიმართულ ფრაზაში: „მუხლმოდრეილი, ლმობიერი ვდგევარ შენს წინა“, ქართველი ლექსიკოგრაფების განმარტებით, ლმობიერის მნიშვნელობაა – გულმტკიცებული, მოწყალე (ილია აბულაძე); ანდა – გუნება-მშვიდი და წყნარი (საბა). და როცა ლმერთს შესთხოვს, ჩემს ერს აქმარე „პატივნი და სისხლის ძღვნიონ“, ამ სტროფში არქაული მნიშვნელობითაა ნახმარი სიტყვა პატივი – სასჯელი (ილია აბულაძე); ტანჯვა (საბა). საერთოდაც, ილიას ყრმობისდროინდელი პოეზიის ენისათვის დამახასიათებელია არქაული სტილი, რასაც მისი ლექსების თემატიკაც განაპირობებს.

ასე რომ, ილია ჭავჭავაძეს სიყრმიდანვე კვებავდა უფლისმიერი „სასულიერო წყურვილი“: „რა დავდოთ ბელს უდაბნოსა, სასულიერო წყურვილი მკლავდა“-ო; მას ყოველთვის ჰქონდა დაუოკებელი წყურვილი სულისა: „მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული-“-ო („ლოცვა“); მაგრამ პოეზის „სულის წყურვილს“ არ დასცალდა სანადელის აღსრულება: „ეჭ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა ჩემს წყურვილსა სულისასა-“-ო. მიუხედავად ერთგვარი გულგატეხილობისა, ილია ჭავჭავაძისათვის მანც მარადიულია წყურვილი სულისა, ვინაიდან: „რაცა სწყუროდა აქამდე მის სულს, იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს“.

მართლაც „სრულიად ნათელია, რომ ილიას შემოქმედებაში ქრისტიანული ზნეობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მსნელ მოძღვრებად“ (აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, 2006წ.).

და ჩვენც, ილია მართლის ქრისტესმიერი რწმენით დამოძღვრილი, შევთხოვთ უფალს: „მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნორბა და სიყვარული და ალუდგინე მშვენიერი ესე მამული“ („აჩრდილი“).



ადამიანები,
ხომლებიც
სამშობლოსავით
გიყვახს

მერი
ზაალიშვილი

საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი

გარეგნობით მთა დიდ ივანე ჭავახიშვილს ამს-
გავსერდნენ ჰერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტში სწავლის ფროს. სულ ფეხით დაფილდა თა-
ვისი საყვარელი ქართველის ქუჩებში, ფეხით აღიოდა და
ჩამოიდიოდა თავის სათავაზო უნივერსიტეტში და ისე
ანათებდა ირგვლივ ყველაფერს სიურთლის უკანასკნელ
წყოამდე, იფიქრებით, ალექსანდრე გვენწყე ჰერცოგი
მხედველობაში ზოძენკარქ, რომა თანამდებობის წინ
ზრდანა – ყველა ადამიანში არის მზეო!

მ. ზაალიშვილი

7



საქართველოს მთავრობის მინისტრის ბრძანებულების სამსახური

ციკლიდან – ადამიანები, რომლებიც სამშობლოსავით გიყვარს,
ადამიანები, რომლებიც შენს ქალაქთან ასოცირდებიან

თელავი – რეატორების ძალაები და აღესანდრე გვენცაძე

ჯერ თელავზე – ქალაქზე, რომელმაც იცის ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი საუნივერსიტეტი – ადამიანის გამორჩეულად დაფასება, რომლის მთავარი ფენომენი ადამიანური ურთიერთობები და ლირსეული ადამიანებისადმი დამოკიდებულების წესია, ამ წესის გამუდაგნების ჩვეულება, თაობიდან თაობაზე გადაცემა და დავით რექტორების ხსენებაც იქნებოდა საკურარისი, რექტორებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოდ გამოცხადებამდე თითქმის ორი ათეული წლით ადრე პატარა კახმა – დიდმა ერეკლე მეორემ „თვისსა პალატასა შინა“ გახსნილი ფილოსოფიური სკოლის (შემდეგში სემინარიის) რექტორებად დანიშნა. აქ გაჩაღებული სამწერლო-მთარგმნელობით-კალიგრაფიული საქმიანობით (რაც დღევანდელი კომპიუტერული სასწაულების დარად აღიქმებოდა მაშინ!) ზოგჯერ თვით დედაქალაქს – თბილისაც კი სჯაბნიდა ხოლმე.

„ცნობილ ადამიანთაგან მთამინდაზე და-კრძალულთა სიას იწყებს თელავის სემინარიის რექტორი, 79 წლის ასაკში გარდაცვლილი კალიგრაფი დავით ალექსის ძე მესხიშვილი, დავით რექტორი“. ძნელია, სიამაყის გარეშე წაიკითხო მეისტორიის ეს სიტყვები.

სწავლულები დღესაც დაობენ გაიოზ რექტორის გვარზე. ზუსტად მგონი არც არის დადგენილი ამ დიდი, გასაოცრად მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწის გვარი, მაგრამ თელავმა თაობიდან თაობას გადასცა მისი უკვდავი სახელი – გაიოზ რექტორი. მაღლობა უფალს, რომ ამ ღვთიურ წიქს ირიბ წვიმასავით არ ჩაუვლია სწავლოვანი ჩვენი ქალაქისათვის, მხოლოდ ისტორიის კუთხით და კი არ ქცეულა იგი, არამედ მადლითმოსილ მის სივრცეში კვლავაც დიდებული მონუმენტებივით დგანან ადამიანები თავიანთი ხასიათით, თავიანთი არსით, სიყ-

ვარულით, ცხოვრების წესით!..

ალექსანდრე გვენცაძე ასეთი მადლითმოსილი ადამიანი იყო, ასეთი გამორჩეული თელაველი!..

ცოტა წნის წინ საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ვრცელტანიან წიგნში უურნალისტური ასავალ-დასავალის რუპრიკით დაიბეჭდა ჩემი „ცის გზით“ ანუ „დიდი აბრეშუმის გზა“, „თელავი და თელაველები“. სწორედ ბატონი ალექსანდრე გვენცაძის ფენომენმა მიკარანახა ტერმინები „გვენცაძის სინდრომით“, „თელავიზმით“ შეპყრობილი ადამიანები. ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ადამიანთა მეხსიერებაში ინფორმაციის შემორჩენის რაღაც გაურკვეველი და ამოუხსნელი ფენომენის გამო ისინი – „თელავიზმით“ შეპყრობილი ადამიანები, „გვენცაძის სინდრომით“ დაავადებული ეს ადამიანები, ბევრჯერ ისეთ ფაქტზე, მოვლენაზე, ამახვილებდნენ ყურადღებას და საზოგადოების დაინტერესებას ცდილობდნენ, რასაც ყველა ვერ გრძნობს. ალექსანდრე გვენცაძე ერის კულტურულ-ისტორიული მეხსიერების სრულიად განასაკუთრებულ აქცენტებს განასახიერებდა. მაშინ, გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა დიდ საბჭოთათან ერთად ჩვენ, ტერიტორიულად პატარა და მცირერიცხვის საქართველო „კომუნიზმის მწვერვალებს“ ვიპურობდით, საქართველოს მსოფლიო-ისტორიულ მისაზე მგონი აღარც ახსენებდნენ, რომ ჩვენ სახელმწიფოებრიობის 3500 წელს ვითვლიდით. აღარავინ საუბრობდა საქართველოს მიწა-წყალზე გადებულ და გადაჯვარედინებულ სავაჭრო გზებზე, აღარც მის წვლილზე აზიური აღებ-მიცემობის განვითარებაში, აღარავის ახსოვდა „ოდესშე დიდი საქართველო“ და აღარც „დიდი აბრეშუმის გზა“. აი, ბატონი ალექსანდრე კი არ ისვენებდა, არც ჩენ გვასვენ-





ებდა: დღენიადაგ საქართველოს დიდი ისტორიის ნაკვალევზე დადიოდა და ამ გზაზე სავალად გვიკიუნებდა ჩვენც. წინარექრისტიანული ძეგლების, მათი ნანგრევების აღნუსხვა-დაფიქსირებასთან ერთად დიდი აბრეშუმის გზის თელავის მონაკვე- თის შესასწავლად, ქარავანთა გასაჩერებელი სად- გურების აღმოსაჩენად, მაშინდელი მსოფლიოს თელავური ნაკვალევის დასადგენად აღმა-დალმა დავყავდით და დამაინტრიგებელ კითხვებს სვამდა: „ვისი რა აგებული ხარ, ვისი რა ჩამოშლილიო!“... დარწმუნებული ვარ, ბატონი ალექსანდრე წარსუ- ლის ძიების ამ ხატებში დღევანდელობას ხედავდა, როცა რეალობად იქცა დიდი აბრეშუმის გზის ახალი სიცოცხლე, როცა საქართველო იბრუნებს თავის დიდ, ისტორიულ მისიას – დიდი ჩინეთის, დიდი აღ- მოსავლეთის და დასავლეთის უკიდეგანო სამყაროს დამაკავშირებლის უპრეცედენტო ფაქტორს უბრუნ- დება“...

გარეგნობით მას დიდ ივანე ჯავახიშვილს ამს- გავსებდნენ ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნი- ვერსიტეტში სწავლის დროს. სულ ფეხით დადიოდა თავისი საყვარელი ქალაქის ქუჩებში, ფეხით აღიოდა და ჩამოდიოდა თავის სათაყვანო უნივერსიტეტში და ისე ანათებდა ირგვლივ ყველაფერს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, იფიქრებდით, ალექსანდრე გვენცაძე ჰქონდა მარტინ ბრძოლაში ბრძენებულის, როცა ათასწლეულების წინ ბრძანა – ყველა ადამიანში არის მზეო!

– ბატონი ალექსანდრე გვენცაძე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორიც იყო და პროფესორიც, – ბრძანებს უნივერსიტეტის ამაგ- დარი რექტორი, ფილოლოგიურ მაცნიერებათა დო- ქტორი, პროფესორი როინ ჭიკაძე თავის ვრცელ მონოგრაფიაში, რომელიც ბატონი ალექსანდრე გვენცაძის ხსოვნას მოუძღვნა სათაურით „მოძღ- ვარი“. უფრო ადრე, უნივერსიტეტის პროფესორ არჩილ სპარსიაშვილთან ერთად ბატონმა როინ ჭიკაძემ მკითხველს შესთავაზა ფართო თვალსაწი- ერის, ნამდვილი ერისკაცის, ადამიანის სულის ზრ- დად მოვლენილი, მასწავლებელთა მასწავლებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი – საჩუქარი სათაუ- რით „ალექსანდრე გვენცაძე“.

– „თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სა- ძირისადამი მატერიის გარდა ბატონი ალექსანდრე გვენცაძის სულის უზარმაზარი ნათელია დატანებუ- ლი და ეს ნათელი ბოლომდე გაანათებს უნივერსი- ტეტის სავალ გზას“ – ბრძანებს ბატონი როინ ჭიკა- ძის წიგნის „მოძღვარის“ რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან გი- გაშვილი.

ყველაფერი ეს სულ ცოტა ხნის წინ ინტერ- ნეტსივრცეში განთავსებულმა ვრცელმა, ძალიან ვრცელმა მასალამ გამახსენა და თავიდან ამაღლებინა კალამი ხელში, რადგან ვარ ამაყი, ძალიან ამაყი, რა- მეთუ ეს დიდი, ვრცელი, ბევრზე ბევრი ინფორმაცი- ის მომცველი არქივი, ეს ეპისტოლური მემკვიდრეო-



ალექსანდრე გვენცაძე

ბა ერთი ადამიანის, ერთი მოღვანის, ერთი ოჯახის შთამაგონებელი, ძალიან საინტერესო ისტორია არ გახლავთ. ეს ჩემი ქალაქია, ჩემი თელავი, თავისი დიდი ისტორიით, თანამედროვეობით, მომავლის ხე- დვით და მადლობა უნდა უკიდურა ბატონ ალექსან- დრე გვენცაძის ოჯახს, მის შვილებს, რომლებიც ასე უცლიან, ინახავნ, უფრთხოლდებან სახელო- ვანი მამის ძალიან, ძალიან საინტერესო არქივს, მის ეპისტოლურ მემკვიდრეობას.

მადლობა მინდა უკიდურა საქართველოს საპიბ- ლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ დირექტორს ქალბატონ რუსუდან ასათიანს, ამავე ბიბლიოთეკის წარმო- მადგენლებს, ქალბატონებს – ქეთევან თომაძეს, ნინო ხმალაძესა და ბატონ უჩა ჯიბლაშვილს, რომ- ლებიც წელს, მაისში ეწვივნენ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ქალბატონ მანანა გვენცაძის დახ- მარებით გააციფრეს ალექსანდრე გვენცაძის არ- ქივში დაცული ფოტოები, ქართული მეცნიერების, ქართული სულიერი სამყაროს უთვალსაჩინოების წარმომადგენლების მრავალმხრივი მიმოწერა და სხვა მნიშვნელოვანი მასალა.

მიკერძოებულობა უნდა გამოვიჩინო და ინ- ტერნეტსივრცეში განთავსებულ ძალიან ვრცელი და საინტერესო არქივის შესახებ ჩვენს გაზეთში – „თელავის მოძღვები“ მოთხოვთ, ერთი შეხედვით პატარა, უმნიშვნელო ამბით – ერთი სიტყვის ისტო- რიით დავიწყებ. მაშინ ჩვენს გაზეთს „კოლმეურნის ხმა“ ერქვა (არ გაგიკვირდეთ, უარესი სახელითაც გამოდიოდა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში





ეს გაზეთი. მაშინ მას „არტელი წითელი თელავი“ ერქა! დიახ, ასეთი სახელით გამოდიოდა გაზეთი, რომელიც სათავეს 1919 წლიდან იღებს და, რომელიც დააფუძნა მეფე ერეკლეს მიერ „თვისსა პალატასა შინა“ დაარსებული ფილოსოფიური სკოლის ნაფუძარზე იმ დროს მოქმედი გომინაზიის მოსწავლემ დავით აბაშიძემ. ბეჭდური სახის გაზეთის დამფუძნებელი ეს ახალგაზრდა კაცი – დავით აბაშიძე, მეფე ერეკლეს ნათესავი გახლდათ მეუღლის მხრიდან). აი, ამ გაზეთში – „კორნეულნის ხმაში“ 60-იანი წლებიდან სამუშაოდ მოვედით ივ. ჯავახიშვილის სახელმისამართის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები – ლამარა იანვარაშვილი, ნუნუ მატარაძე და ამ სტრიქონების ავტორი. აქვე მუშაობდა და არ შემიძლია არ გავიხსენო შემდეგში ცნობილი მეცნიერი, თელაველი ქალბატონი გულნაზი კიენაძე, რომელიც თბილისში დაჯახხების შემდეგაც არ კარგავდა თელავთან და ჩვენს გაზეთთან კონტაქტს და ბევრი საინტერესო ამბით, საქმიანი რჩევებით გვანებივრებდა ხოლმე. ჩვენი უფროსი კოლეგები გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერც ფრავდნენ და არც ფარავდნენ სპეციალურ განათლებამიღებული ახალგაზრდების მოტანილი ლექსიკით, წერის სტილით, საგაზეთო უანრების მრავალფეროვნებით თუ გაზეთის ტექნიკური გაფორმების სიახლეებით. ჩვენ კი გაოცებული ვიყავით მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების მაშინდელი გამგის – ბიძინა კარდენახიშვილის წერის სტილით, განსაკუთრებით მისი ლექსიკით, სულ პატარა ინფორმაციაშიც კი სიტყვათა ისეთ მრავალფეროვნებას დაახვავებდა, რომ ჩვენ სულ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები გვეჭირა ხელში და ვეძებდით რას ნიშნავდა ბატონი ბიძინას მიერ ინფორმაციაში გაჟღერებული ესა თუ ის სიტყვა. ზოგ სიტყვას მგონი თვითონ იგონებდა, სიტყვათმნარმოებლობდა და თუ ვიტყოდით რამეს ამის შესახებ, გულიანად იცინოდა, იცინოდა და ეს იყო და ეს...

ეს მცირე გადახვევა მთავარი სათქმელიდან სწორედ ბატონი ალექსანდრე გვენცაძისადმი გამოგზავნილმა ერთმა წერილმა გამასტენა. ქართული პოეზიის მშვენება და სიმაცე, მრავალმხრივი მოაზროვნე და მოღვაწე იოსებ გრიმაშვილი სწერს ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს: „თელავის გაზეთში, ბიძინა კარდენახიშვილის წერილში ნახმარია სიტყა „ფეშმაკი“. იქნებ დამიდგინოთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა?!“

მეორე წერილში დიდი პოეტი ისევ ბატონ ალექსანდრეს სთხოვს: „დამიდგინეთ, როგორ გამოვიწერო თელავის გაზეთიო“. მასსოვს, ბატონი შოთა როსტომაშვილი – გაზეთის მაშინდელი რედაქტორი და განსწავლული ლიტერატორი რა სიხარულით კითხულობდა დიდი პოეტის წერილებს, როგორ ეამაყებოდა, რომ პოეტი ყურადღებით კითხულობდა თელავის გაზეთს, ინტერესდებოდა მისი ლექსიკით და რჩევებითაც გვანებივრებდა. ჩვენი საქმის მნარ-

მოებელი ქალბატონი ნინო ერგეშიძე ხუმრობდა ხოლმე: ბატონი შოთა პროფესიაში მეცილება, მეალარ მაცდის, სულ თავისი ხელით უგზავნის იოსებ გრიშაშვილს გაზეთის ყოველ ნომერსო.

მეითხველი მაცატიებს ალბათ ამ მცირე მიკერძოებულობას იმ ნამდვილად გასაოცარ სიმდიდრეში, რომელსაც ბატონი ალექსანდრე გვენცაძის არქივი, მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა მოიცავს: აკავი შანიძე, კორნელი კეკელიძე, ავლაპ ზურაბაშვილი, გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე, იოსებ გრიშაშვილი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ივანე გიგინებიშვილი, სიმონ ყაუხებიშვილი, გრიგოლ კიკაძე, მიხეილ ზანდუკელი, ნიკა აგიაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ნატროშვილი, იერემია ქარელაშვილი, გიორგი შალამბერიძე, ალექსანდრე ლლონტი, შოთა ძიგიური, ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, ანტონ კიზირია, ივანე ქვთარაძე, ლევან ჭრელაშვილი, თენგიზ სანიკიძე, გაიოზ იმედაშვილი, ქეთევან ძონებიძე... თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორები – ტიტე სარიშვილი, დიმიტრი შაფაქიძე, იოსებ ნანობაშვილი... საზღვარგარეთელი ქართველოლოგები – ცოლიხელი ლეა ფლური...

აი, ასეთი სახელმისამართი მამულიშვილების, მეცნიერების, მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების, რიგითი თანამემამულების წერილებს მოიცავს ეს განყოფილება, რომლებიც ქვეყნის ნარსულის, თანამედროვეობის, ადამიანური ურთიერთობების და სხვა უთვალავ პრობლემასა თუ საინტერესო ამბებზე მოგვითხრობენ.

ცალკე თემა ალექსანდრე გვენცაძისადმი მიღვნილი ლექსები. ლექსები – მასწავლებელს, მეგობარს, ცხოვრების გზის გამკალავს, გაჭირვებულთა შემწეს, ლექსები ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანზე, რომელიც სამშობლოსავით გიყვარს, სამშობლოსავით გიხარია!... ზინა სოლომნიშვილის, არჩილ შიშმანაშვილის, ჯანიკო სამხარაძის, ვენერა ნატროშვილის, ნუნუ ყალაებეგაშვილის და ბევრი სხვა ავტორების ლექსებსაც ნახავთ აქ.

აუდელვებლად ვერ წაიკითხავთ ბატონ ალექსანდრე გვენცაძის მიერ ოჯახში გამოგზავნილ წერილებს, ოჯახის წევრების მიმოწერას. ეს ხმაც არ არის ერთი ოჯახის ხმა, ესეც ქალაქის, ჩვენი სამშობლოს ხმაა დროთა ქარტეხილებში რომ გამოიარა და ჰაი, რომ ისევ ხმიანობს, როგორც ამას დიდი პოეტი ბრძანებს!...

წიგნები ალექსანდრე გვენცაძეზე, წერილები ალექსანდრე გვენცაძეს, ლექსები ალექსანდრე გვენცაძეს, ახლა ეს საინტერესო კომპიუტერული კოლაჟი, რომელიც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ დირექტორმა, ქალბატონმა რუსულან ასათიანმა და ამავე ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა – ქეთევან თომაძემ, ნინო ხმალაძემ და უჩა ჯიბლაშვილმა გააციფრეს და კომპიუტერულ სივრცე-





ში ყველა დაინტერესებულს მისცეს შესაძლებლობა გაეცნონ ფილოლოგის დოქტორის, ალექსანდრე გვენცაძის არქივში არსებულ მის წიგნებს, ფოტოებს, ცნობილი ადამიანების წერილებს.

ქართველ მოაზროვნეთა ამ მრავალმხრივ საინტერესო მიმონერიდან, რომელიც ძალიან ბევრ რამეზე ჩააფიქრებს ყველა თაობის გონიერ წამკითხველს, მე იმ ერთ საშიშ ტენდენციაზე მინდა გადაჭიტანო ყურადღება, რომლის შესახებ დიდ გოგლა ლენონიძეს ჯერ კიდევ ათეული წლის წინ მოუწერია ბატონი ალექსანდრე გვენცაძისათვის. გთავაზობთ ამონარიდებს გოირგი ლეონიძის წერილიდან, რომელიც ღირსეულ ადამიანთა დაფასების თელავის ფერომენს დავინწყების საშინელი სენით ემუქრება. „პატივცემულ ალექსანდრეს სალამი და დღეგრძელობა!... სალამი მეგობრებს და დავით რექტორის მემკვიდრეს ჩვენს ნიკოს (უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ბატონი ნიკო ქორთუა იგულისხმება. მ. ზ.), ყაჯიურს, ვანოს და სხვ.

სიტყვამ მოიტანა და რადა გყავთ მიგდებული დავით რექტორი, – განმანათლებელი, თავისი დროისათვის ძალზე ცნობილი ფიგურა. მასალები საკმაოა, მისი ნაწერები თუ გადმონაწერები აუარებელი. ჩაუჯერით ვინმე და დაწერეთ მის შესახებ ნაშრომი. ამის გარდა, დაახაზვინეთ მისი სურათი და თქვენს ინსტიტუტში დარბაზში ჩამოჰკიდეთ.

არ გვაძიებათ. ნიკოსაც მოახსენეთ, თორებ ასი წლის შემდეგ თქვენც ასე დაგივინწყებენ! თქვენი გოირგი ლეონიძე“.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ასი წელი კი არა, ორი-სამი ათეული წელიც საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე დავინწყების ამ საშინელი სენით დაავადებისათვის...

ჯერ კიდევ ყოფილი ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით თელავის ერთ-ერთ ქუჩას უნდა მინიჭებოდა ალექსანდრე გვენცაძის სახელი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თელავის დარბაზმა“ არაერთგზის შეახსენა ეს გადაწყვეტილება თელავის საკრებულოს და ქალაქის მერიას... სამწუხაროდ, დღესაც არ გვაქვს თელავში იმ ადამიანის სახელობის ქუჩა, ვინც სამშობლოსავით გიყვარს, ვინც შეს ქალაქთან ასოცირდება...

რედუნებით და სიყვარულით გაიხსნა თავის დროზე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონი ალექსანდრე გვენცაძის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, რომლის კედლებიდან, აქ გამოფენილი პორტრეტებიდან ქართული ენათმეცნიერების, ქართული პოეზიის და, საერთოდ, ჩვენი დიდი სულიერი კულტურის შუქი გადმოდიოდა. დიდად გასაოცრად და დიდად სამწუხაროდ ვიღაცისათვის ეს ფოტოსტენდი წარსულის შუქით, ადამიანებში ჩასახლებული მზის სხივებით კი არ ანათებდა, არამედ მიცვალებულთა სურათებად, გარდაცვლილთა გარემოდ აღიქმებოდა და... ალექსანდრე გვენცაძის სახელობის კაბინეტიდან ალექსანდრე გვენცაძის ფოტო გაქრა!..

როგორც ამპობენ, შემდეგ ჩვენი სულიერების დანარჩენ კორიფეთა სურათებიც მიცვალებულთა სურათებად იქცნენ.

თუმცა არ მინდა, ძალიან არ მინდა ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება და ისევ ჩვენი ქალაქის იმ დიდებულ ფენომენს დაუუბრუნდები, მარადისობის უმშვენიერესი განცდით რომ უნახავს შთამომავლობას ქვეყნის ამაგდართა სახელებს.

წელს, 2019 წლის 20 იანვარს, 100 წელი შესრულდა თელავში პირველი ნაბეჭდი გაზიერის გამოსვლიდან. წელსვე 80 წელი შესრულდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან. ამავე წელს, 27 ნოემბერს, ალექსანდრე გვენცაძეს უსრულდება დაბადებიდან 115 წელი. ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილი წერილიდან ვიგებთ, როგორ დაერქვა ახლადფეხადგმულ ინსტიტუტს გოირგი ლეონიძის ინიციატივით საქართველოს ყველაზე დიდი პედაგოგის – იაკობ გოგებაშვილის სახელი!..

აი, ამ თემაზე საუბარმა მიგვიყვანა მე და ყოფილი „თელავისმოამბელი“ უურნალისტი, ახლა უკვე თელავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი – წელი ცეკიტიშვილი ჩვენი დღევანდელობის, ჩვენი ყოფის ამსახველ გასაოცარ სამყაროში – „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თელავის ტექნოპარკში“. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ეს დიდებული სივრცე ახალგაზრდებს თუ ნებისმიერი ასაკის ადამიანს სასწავლო, შემეცნებით თუ გასართობი პროგრამების ისეთ სიახლეებს სთავაზობს, ისეთ ტექნიკურ სიახლეებზე მოგვითხოვთს, გაოცდებით. სამწუხაროა, რომ ასეთი დიდებული შემოთავაზება ბევრისათვის არ არის ცნობილი, ბევრი არ სარგებლობს. თუმცა ამის შესახებაც სხვა დროს.

ამჯერად კი ადამიანურ ურთიერთობათა და ღირსეულ თანამემამულეთა დაფასების თელავის ფენომენის ცოცხალ დასტურად შემოგთავაზებთ: გაიოზ რექტორის, დავით რექტორის და ალექსანდრე გვენცაძის ფოტოებს, რომლებიც თავად მოიძიეს თელავის ტექნოპარკში, თავადვე დაამზადეს ტექნოპარკის მენეჯერმა, ქალბატონმა სოფიო სამადავილმა, ტექნოპარკის სპეციალისტმა ირაკლი ყურშიტაშვილმა და 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად გადასცეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

როგორ უვლიან ამ ძვირფას მემკვიდრეობას, ალექსანდრე გვენცაძის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტს, დიდი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების სტენდებს, მრავლისმეტყველ თვალსაჩინოებათა ადგილსამყოფელებს, – ამის შესახებ სხვა დროს მოგახსენებთ, ძვირფას მეთხველო!

ამჯერად კი, ისევ ღირსეულ თანაქალაქელთა დაფასების თელავის ტრადიციაზე, თელავის მთავარი ფენომენის ახლებურ გამონათებაზე, – ვარსკვლავთცვენაზე გავაგრძელოთ საუბარი!...



31 საკვლავთცენა თელავში

პირველ წერილში ვწერდით ჩვენი ქალაქის მთავარ ფენომენზე, იმაზე, რომ თელავი არ ივიწყებს გამორჩეულ ადამიანებს, თაობიდან თაობას გადასცემს მათ სახელებს. სიამოვნებით აღვნიშნავდით, რომ ამ ღვთიურ ნიჭს ირიბ წვიმასავით არ ჩაუვლია ხნითხნოვანი ჩვენი ქალაქისათვის, ჩვენი დღევანდელობისათვის. ახლა მინდა, მოგითხროთ ეს ღვთიური ნიჭი რა ახალი ძალით, ახალი შინაარსით გააპრწყინა თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა პაატა გულიაშვილმა.

პაატა გულიაშვილი – თანამედროვე თეატრალური სამყაროს საოცრების, ლეგენდარული რობერტ სტურუას ხელდასმული მსახიობი, არაერთი და ორი უკვდავი სცენური სახის შემოქმედი, რუსთაველის თეატრში, თუ აქ, ძველთუძველეს ჩვენს თეატრში!...

პაატა გულიაშვილი – შეიძლი თელაველთა უსაყვრლესი მსახიობის, ავთანდილ გულიაშვილისა, რომელიც სცენაზე გამოჩენისთანავე მისთვის დამახასიათებელი სიარულით, მოძრაობით, თუ გნებავთ, უბრალოდ სცენაზე დგომით, ისეთ სცენურ სახეს ქმნიდა, მაყურებელს რომ აჯადოებს და სამუდამოდ ამახსოვრებს თავს.

სამწუხაოდ, დღეს ის ჩვენ შორის აღარ არის, მაგრამ თელავის ერთი მშვენიერი ქუჩა ატარებს მის სახელს და ერთი დიდებული სიმღერისა არ იყოს – მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ დილას ვხვდები ნიკალასო, – თელაველებიც ყოველ დილას ხვდებიან ავთანდილ გულიაშვილა!...

თელავის თეატრის თანამშრომელია პაატას დედა, ქალბატონი ლალი გულიაშვილი. და აი, თეატრალური ოჯახის ეს ახალგაზრდა წარმომადგენელი, არაჩვეულებრივი მსახიობი და ორგანიზატორი ახალი შინაარსით აპრწყინებს მმობლიური ქალაქის მთავარ ფენომენს ღირსეული ადამიანების სიცოცხლეშვივე აღიარების და დაფასების ნიშნით! ეს ტენდენცია დედაქალაქში კარგა ხანია და მკვიდრდა და ქვეყნის გამორჩეული მოქალაქეებისათვის ვარსკვლავის გახსნის ტრადიცია პაატა გულიაშვილის დიდი ძალისხმევით თელავის კუთვნილებადაც იქცა!

და დაიწყო ვარსკვლავთცენა თელავში!....

31 საკვლავთცენა 31 საკვლავი

აკიაფდა პირველად თელავის თეატრის ცის ქვეშ! ათეული წლებია, ეს მომხიბვლელი ქალბატონი ამშვენებს უმდიდრესი ტრადიციების ჩვენი თეატრის სცენას, ხიბლავს მაყურებელს ხალასი ნიჭით. არ ჩამოვთვლით მის მიერ გაცოცხლებულ გმირთა გალერეას, დამსახურებულ წოდებებს თუ სხვა იმ ჯილდოებს თეატრალური სამყარო რომ ანიჭებს



ვენერა ფეიქრიშვილი

ასეთ გამორჩეულ მსახიობებს. ვინც დაესწრო ქალბატონი ვენერასათვის ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილ იმ საღამოს, თელავის თეატრში გამართულ ნამდვილ ზემის (და გეტყვით, რომ ასეთი გადაჭედილი დარბაზი კარგა ხანია არ მინახავს!) დამეთანხმება, რომ ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული, ყველა დაჯილდოებულად, დაფასებულად და ბედნიერად გრძნობდა თავს. სცენაზე იდგა პაატა გულიაშვილი, სცენაზე იდგა უმშვენიერესი დასი ჩვენი თეატრისა, დიდი და პატარა, ახალგაზრდა და ასაკოვანი, წამყვანი, დამწყები მსახიობები თუ რიგითი ტექნიკური მუშავი და მოკაშაშ-მოელვარე ვარსკვლავთა გუნდივით დაგვნათოდნენ თავს.

რასაკვირველია, წამყვან სიტყვას ქალბატონი ვენერა ფეიქრიშვილის თავანკარა ქართული და მის მიერ გაცოცხლებული გმირები ამბობდნენ, მაგრამ თითქმის ასეთივე წამყვანები იყვნენ და თავის სათქმელს ამბობდა თეატრის მთელი დასი, დიდი თუ პატარა...

და იყო ნამდვილი ზემი, ნიჭის, ქვეყნის მსახურის დაფასების დიდი დღესასწაული...

და იყო ქალბატონი ვენერა ფეიქრიშვილის გამორჩეულობის აღიარების, სიყვარულის გამულავნებისა და დაფასების ამაღლვებელი დღესასწაული!!!





თემურ ხუნაშვილის ვარსკვლავი

გახსნამ ფასეულობათა და ღირებულებათა წარმოჩენის სხვა სამყაროს გვაზიარა. თემურ ხუნაშვილის საპატიო წოდებისა და დამსახურებების ჩამოთვლას არც ამჯერად დავიწყებთ. ყველას კარგად გვახსოვს სცენური გმირები, რომლებსაც ასე დიდებულად აცოცხლებდა ჩვენ თვალწინ ბატონი თემური. მაგრამ ალბათ ბევრი თანამოაზრე მეყოლება, როცა ვიტყვი, რომ სცენურ გმირებზე მეტად თუ არა, არც ნაკლებად დაგვამასხოვრა თავი მისმა სიტყვამ, მისმა დეკლამაციამ. დაუვიწყარია მისი მონოსპექტაკლი „ლამაზი ცრემლები“. გვახსოვს სცენაზე შემოსვლისთანავე რა დიდებული უბრალოებით ჩაგვიდებდა ხელს მსახიობი და რა მომხიბლავად, რა სიყვარულით დავყავდით ჩვენი ყოფის, ჩვენი ცხოვრების სიხარულიან-წუხილიან ამბებში, ადამიანური ურთიერთობების და ქართული ხასიათის იმ რაღაც სახელდაურქმეველ გამოვლინებებთან „ლამაზი ცრემლები“ რომ დაურქმევი მწერალს და ამქვეყნად ადამიანად ყოფის, ან იქნებ ქვეყნიერების გადარჩენის სიმბოლოდ თუ მინიშნებად გვთავაზობს მსახიობი!..

ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილი ის საღ-



თემურ ხუნაშვილი

ამოც თემურ ხუნაშვილმა სულიერი არის ტოკრატიზმის დღესასწაულად აქცია და ნამდვილი სიტყვიერი სასაულები შექმნა.

გარეთ კი, გარეთ ქართული სიტყვის ნამდვილი ჯადოქარის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის ცის ქვეშ უკვე ციმიტიმებდა ვარსკვლავი სახელად „თემურ ხუნაშვილი“.

ვარსკვლავის ვარსკვლავი

14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, ბატონი ვანოს დაბადების დღეს გაიხსნა და გამორჩეული



ვანო იანტბელიძე

იყო იმითაც, რომ აქ, თელავში აღინიშნა დიდი კულტურული დღესასწაული – ქართული თეატრის დღე.

ბევრ საინტერესო ამბებთან ერთად ჩვენ აქ ქვირფასი საჩუქრებიც მივიღეთ – ქალბატონ ფიქრია ყუშიტაშვილის წიგნი „მესამე ცოლის ჩანაწერები“ და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ გიორგი ცქიტიშვილის წიგნი – „ვანო იანტბელიძე – ბერიკა მსახიობელი“.

– ამიერიდან ეს ვარსკვლავიც გაგვინათებს ათასი წვრილმანი თუ მსხვილმანი პრობლემებით სავსე წუთისოფლის გზასავალს. – ეს ერთი პატარა ამონარიდა ამ მშვენიერი წიგნიდან. „თელავმა მიიღო, სამუდამოდ დაიტოვა თავის წიაღში ქალბატონი ფიქრიაც და ბატონი ვანოც. – დღეს ორივენი ბედნიერები ვართ თელაველობით, ამ ქალაქში ერთმანეთის გაცნობით და ცხოვრების მთავარი ქალაქის აღმოჩენით!“ – ესეც ამ წიგნიდანაა.

– როგორც მსახიობს, ბევრი პრემია მაქვს მიღებული... თუკი რამ არსებობდა, ყველაფერი მომანიჭეს, მაგრამ ჩემთვის ერთი დიდი საპატიო ჯილდო ის არის, რომ ეს თელავში ჩასული კაცი თელავის – მეფის, ღვინისა და სიყვარულის ქალაქის საპატიო მოქალაქე გაგზდი, – ეს ვანო იანტბელიძის სიტყვებია!...

პავლე დამურიშვილის ვარსკვლავი



ვარსკვლავთცვენის დღესასწაულები, ბუნებრივია, გასცდა თეატრალურ სივრცეს, ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრების სხვა სფეროებშიც

შეანათა და, როგორც ამას ალბათ ყველა ელოდა, პირველი ვარსკვლავი თელავის ქალთა საგუნდო კაპელის „კახეთის ჰანგების“ დამფუძნებლის და უცვლელი ხელმძღვანელის, პავლე დემურიშვილის სახელზე აკიაფდა ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის მუსიკალური სასწავლებლის კარიბჭესთან. თუმცა ჩვენთვის – თელაველებისათვის ეს ვარსკვლავი გაიხსნა მაშინვე, როგორც კი პავლე დემურიშვილი თავისი გოგონების ანსამბლით წარდგა მშობლიური ქალაქის წინაშე ათეული წლების წინ.

ჩემი თაობა იმ დღეების მომსწრე და, შეიძლება ითქვას, მონაწილეობა კია, რადგან ისეთი დიდი შთაბეჭიდილება, ისეთი აღტაცება და კიდევ უფრო მეტი, რაღაც სახელდაურქმეველი განცდა გვეუფლებოდა მის კონცერტებზე, თითქოს ჩვენც ვიდექით სცენაზე და პავლე თავისი ჯადოსნური

ანაში, უამრავ საერთაშორისო დონის შეხვედრებზე ხიბლავდა მსმენელს ქართული მრავალხმიანობით, საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი დონით.

დღეს თელავის ქალთა საგუნდო კაპელა „კახეთის ჰანგები“ უკვე მეტუთე ათეულ წელს ითვლის და მუსიკალური სასწავლებლის კარიბჭესთან პირველად სწორედ ამ სახელგანთქმული კაპელის დამფუძნებლის და უცვლელი ხელმძღვანელის, პავლე დემურიშვილის ვარსკვლავში გააცისკროვნა და ისედაც ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის ეს მშვენიერი შენობა, რომელიც თელაველმა ქველმოქმედმა გიორგი ბარძიმოვმა ააშენა და საჩუქრად გადასცა თანაქალაქელებს, კიდევ უფრო გაბრნებინდა, კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა.



ხელების მოძრაობით, ჩვენთან ერთად ქმნიდა ქართული მრავალხმიანობის სასწავლებს, ხან ახლადა-მობიბინებული ყანასავით რომ ლივლივებდა, ხან ახლადაყვავებული ვენახის სურნელით გვაპრუებდა და გულის გულში გვიხმიანებდა გიორგი ცაბაძის და პეტრე გრუზინსკის ცნობილ სიმღერას – „ჩემი საქართველო აქ არისო!...“. მერე პავლეს ის გოგონები დედებად, ბებიებადაც იქცნენ, ახალი სახეებით, ახალი გოგონებით ივსებოდა მომღერალთა ეს შესანიშნავი გუნდი, რომელიც უამრავ ქალაქსა და ქვეყ-

ფოლკლორული ანსამბლის – „ნინანდალის“ ვარსკვლავი

თელავის მუსიკალური სასწავლებლის კარიბჭესთან, წელს, 26 იანვარს, აენთო და აკაშკაშდა. თელავის პროფესიულ თეატრში ამ დიდებული ანსამბლის 35 წლის იუბილე და ხელოვნების საერთაშორისო საბჭოში საპატიო წევრად მიღება აღინიშნა. ვისმენდით ამ სახელგანთქმული ანსამბლის მიერ ასე დიდებულად ახმიანებულ უკვდავ-უბერ-





ებელი ქართული ფოლკლორის შედევრებს და აღფრთხოვანებასთან ერთად გვქონდა ერთგვარი სინაულის განცდა, რომ ამ დღეს, ანსამბლისათვის ვარსკვლავის გახსნის პატივს ვერ დაესწრნენ თელავის ნამდვილი კოლორიტი და არაჩვეულებრივად საყვარელი მომღერალი ლევან ლაშენი და ანსამბლ „წინანდალის“ დამფუძნებელი, ხალხური სიმღერების ნამდვილი მესაიდუმლე და უნაკლოდ გახმოვანების დიდოსტატი ლევან აბაშიძე, რომელმაც ასე ლორსეულად გააგრძელა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ახალი თაობისათვის ლევანდასავით შემორჩენილი ფირუზ მახათელაშვილის ანსამბლის, მისი ლევენდარული სოლოსტების, შაქრო ლომიძის, გიორგი ამზაშვილის და კიდევ არაერთი და ორი ვარსკვლავის გზა. გულსატკენია, რომ ამ მნიშვნელოვან დღეს ვერ დაესწრო ანსამბლის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი – ლევან ლაშენი.

...სცენაზე იდგა ანსამბლი „წინანდალი“, მღეროდნენ მისი უცვლელი ვარსკვლავები – დავით გაგანშვილი, ვანო პატაშვილი, გურამ ურჩუხიშვილი, მერაბ რაზმაძე, ნუკრი მაისურაძე. მღეროდა ყველაზე ახალგაზრდა წევრი ამ დიდებული ანსამბლისა გიორგი ჭიჭაშვილი – ნიმუში და მაგალითი დიდი ილიას ბრძნული შეგონებისა მისი შესახებ, რომ შვილმა უნდა იცოდეს სად, რაზე შეჩერდა მამა და იქიდან დაინტეს უღლის განევაო!...

თეატრმცოდნე და „თელავმცოდნე“ (როგორც მე მას შევარქვი) ქალბატონი ფიქრია ყუშიტაშვილი აზრისა და სიტყვის ლვთიური ერთობლიობით გვიყვებოდა ანსამბლის მიერ განვლილ დიდ, საინტერესო და მრავალმხრივ გზებზე, მსოფლიოს დიდ სცენებზე „ხან მლოცველებივით რომ იდგნენ და ათედრიალის წინ ააღებული სანთლებივით იღვენთებოდნენ, ხან ზეცისაკენ ისარივით გაჭრილ ტოროლას, ხანაც აბობოქერებულ ზღვის ტალღებს ან ყველაფრის წამლეკავ ნიაღვარს აგონებდა მსმენელა!..“

მერე ყველამ მუსიკალური სასწავლებლის წინ გადავინაცვლეთ და ერთმანეთს ვულოცავდით სიტყვისა და სიმღერის, ხალხის მსახურის დაფასების დიდებულ დღესასწაულს.

ჯუმბერ სახეიშვილის ვარსკვლავი

წელს, 6 ივნისს, გაიხსნა ნიკო სულხანიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის წინ უკვე აკადემიული ორი ვარსკვლავის გვერდით და ვერ გეტყვით, რომელმა უფრო მეტად აგვაგსო სიხარულით და სიმოვნებით – კიდევ ერთი ვარსკვლავის აკაშქაშებამ თუ ვარსკვლავის გახსნამდე თელავის სახელმწიფო თეატრში გამართულმა ჯუმბერ სახეიშვილის დიდებულმა საავტორო საღამომ. ჩემთან ერთად ამ საღამომ ალბათ ბევრს გაახსენა როგორ დაისყრო ინტერნეტსივრცე ჯუმბერ სახეიშვილის ერთმა მუსიკალურმა კლიპმა, რომელსაც იმდენი გამოხმაურება, აღტაცება, საშემსრულებლო ხელოვნებით მოხიბლული იმდენი პროფესიონალის თუ უბრალოდ მუსიკის მოყვარულის, ახალგაზრდის



ჯუმბერ სახეიშვილი

თუ ასაკოვანი ადამიანის გამოხმაურება მოჰყვა, ნამდვილად ვერ დაითვლიდით! უკრავდა მაშინ ბატონი ჯუბი „სიყვარულის ბალადას“ ცნობილი ფრანგული კინოფილმიდან „სიყვარულის ისტორია“ და ჩვენც, მისი თანაქალაქელებიც კი ვერ ვიჯერებდით, რომ ის ქმნიდა, ის გვჩუქრიდა ამ მუსიკალურ სასწაულს! საავტორო საღამოც ასეთი სასწაული იყო. მღეროდნენ მის მშენებელ სიმღერებს ძველი თუ ახალი სახები, ახალგაზრდა, დამწყები თუ უკვე აღიარებული და დიდებით მოსილი მომღერლები, სიტყვაუზმულობით გვხიბლავდა საავტორო საღამოს წამყვანი, დიდებული მომღერალი ლეილა ლეგაშვილი. როგორც ყველთვის, ამჯერადაც დიდი სიმოვნებით ვუსმენდით ჯუმბერ სახეიშვილის ქალთა გუნდს და მის ნიჭიერ სოლისტებს, მაგრამ, ალბათ, ბევრი თანამოაზრე მეყოლება თუ ვიტყვი, რომ ყველაზე დიდი სიმოვნება და ხიბლი თავად ჯუმბერ სახეიშვილი ბრძანდებოდა, როგორც ავტორი ასობით უმშვერიერესი სიმღერისა და როგორც საფორტეპიანო ხელოვნების დიდოსტატი, საშემსრულებლო ხელოვნების მომხიბლელი წარმომადგენელი.



ისედაც ემოციური და შთამბეჭდავი ეს საღამო სხვა შინაარსით და განწყობით დაამშვენა საოპერო ხელოვნების თელაველმა ვარსკვლავმა – ლიანა კალმახელიძემ და ალავერდის ეპარქიის მიტროპოლიტმა – მეუფე დავითმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ნიჭიერ კომპოზიტორს სამრევლო სკოლაში ნაყოფიერი, პედაგოგიური, აღმზრდელობითი და საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

ადრო სიმაშვილის ვარსკვლავი

მეშვიდეა ღირსეულ თანამემამულეთა დაფასების თელავის დიდი ტრადიციის ახლებური გამოვლენის დამკვიდრებიდან. ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის და ნიკო სულხანიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის წინ აკადემიული ჩვენი სახელოვანი ადამიანების ექვსი ვარსკვლავი დიდებული ქართული ფოლელორის დიდებული მოამაგის, დიდი ტრადიციების მქონე სოფელ ართანის მკვიდრის – ანდრო სიმაშვილის ვარსკვლავმაც გააჩახახა.

„ცხოვრობს ართანაში ერთი კაცი ანუ, თუ სამყაროს მშვიდობა სურს!..“ – ამ სათაურით ჩვენს გაზითში დაიბეჭდა ვრცელი ნარკვევი ბატონი ანდრო სიმაშვილის პარიზიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი ფრანგების, კერძოდ, ქართული ხალხური სიმღერების მცოდნე და თაყვანისმცემლის, ანსამბლ „მარანის“ ხელმძღვანელის – ბერტრან ლამბლოზის მიწვევით ბრძანდებოდა და, სადაც 17 ხალხური სიმღერა შეასწავლა ფრანგებს და ორი დიდებული

კონცერტიც ჩაატარა.

– თუ სამყაროს მშვიდობა სურს, აი, ამ ძალას, ქართველების ამ სიმღერას შეუძლიაო! ფრანგი მასპინძლებიც იმეორებდნენ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში გახმიანებულ ამ შეფასებას.

იმ დღეს კი, თელავის თეატრის გადაჭედილი დარბაზი უსმენდა და გულწრფელი ოვაციებით აჯილდოებდა თავის ღირსეულ მოქალაქეს, ნიმუშს და მაგალითს – როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, შენი ხალხი, როგორ უნდა ემსახურო მას, როგორ უნდა მოხნა, მოთესო, მოიყვანო პური ჩვენი არსობისა, ახარო ვაზი, დააყენო მირონივით ღვინო, თაობიდან თაობას გადასცე შენი ცხოვრების წესი და ნირშეუცვლელად იმღერო ათასწლეულებში გამოვლილი შენი სიმღერა კაცობრიობის ზეპირი და ხელთუქმნელი მემკვიდრეობის შედევრად რომ აღიარა მსოფლიომ.

იდგა თელავის თეატრის სცენაზე თითქმის საუკუნეს მიღწეული ეს კაცი, იდგა სცენაზე ანდრო პაპა, როგორც მას ყველა ეძახის – დიდი თუ პატარა, მღეროდა მშვენიერი, კამკამა, გაუბზარავი სმით და თან ხალისით გვიყვებოდა თავის სახელგანთქმულ თანასოფლელ ჩახუტაშვილებთან ერთად როგორ აღადგინა ძველი, მივიწყებული სიმღერები, როგორ გაახმოვანა „ალილო“, ართანული „მრავალუამიერი“, შრომის სიმღერა პოპური და „ყანის მკური“ და სხვა, როგორ აღფრთოვანებით ისმენდნენ ამ სიმღერებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

...და კიაფობენ ვარსკვლავები თელავის მადლინან მიწაზე!

...და, ელოდება თელავი ახალ ვარსკვლავებს!



ქრისტიანული პოეზიის IX ფესტივალი

„მონდა ნინოს ჯვარი“

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურული უურნალი „ოლე“, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული უურნალი „საქართველოს მოამბე“.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ლია დაუგვილი

16



ჟიურნი:

მარა ილია ჩიკვაძე
ზალ გოგოვალი (თავმჯდომარე)
მარა ლიაკონიძე
ნინო ფარავალი

პადრი სულაბე

გრავალის თანი...

კაცს საუკუნო წყალობას თუ ჰეროის, გზა – სინათლეს და სიბნელეს შორის, –
მინდა რომ, წამსაც ვაქციო ზურგი, დაბადებიდან სიბერედ შობილს...
ნუთიც თუ – ტროიობის... და ყველა ტვირთის, ბოლოს თავს იყრის გრაალის თასში,
ვიხსენებ – მეც რომ, დიდ სენად ვჭირდი, სივრცეს – დარდების ქარავნით დასჯილს...
არავინ განსჯის, თუნდაც ნივთივით, ჩუმად გაყიდულ ძოწეულ ზეცას...
და სასორებაც უმაღ მიითვლის, უჭირო ჭირად ბოძებულ ვერცხლსაც...
მაგრამ თუ ცრემლსაც ავსებს მზე – ქარვის და გულისცემას სინჯავს ზვირთებით,
გოლგოთის მძიმე გზაზე შემდგარი, მეც შევიქნები ჯვრისა მტვირთველი, –
რომ სიკეთის წილ მისჯილი ცოდვის, შემსუბუქება შევძლო, უფალო, –
ბედს კი, გულიდან ახსნილი ლოდი, დიდ სინანულში გადავუცვალო...
ქვის ცხენზე მჯდომი, დიდი წვალებით, ქარებთან ჭიდილს თავსაც მივცემდი,
რადგან ამ ჭიდილს, სისხლის თვალებით, ზეცაც მოელის გაფაციცებით...
ალბათ, ის ცრემლიც უნდა შემეშრო, რაც მერცხლად ესვა ფრთაზე ნიავ-ქარს...
და ვარდის რტოთა დარი სეფე – დროც, ეკლის გვირგვინად გამეზიარა...
წყალზეც იარეს საფეხურებით, – და გზას უპოვეს ორი წერტილი,
თუმცა ფიქრები ცას შეჰყურებენ, მაინც – დამფრთხალი შოშიებივით...
კაცს საუკუნო წყალობას თუ ჰეროის, გზა – სინათლეს და სიბნელეს შორის, –
მეც ალარ მიკვირს, მძევლად რად ვსურდი, ქარს – ბობოქარი სულივით შობილს, –
რატომ მომინდა, ის მძიმე ლოდი, – ბედს სინანულში გადავუცვალო,
რასაც მადლის წილ, მისჯილი ცოდვის, შემსუბუქება ჰქვია, უფალო, –
...ყველა ტკივილი ერთად შენივთდა, სასიხარულო სხივების მაცნედ...
წამოიმართა ჩვენს წინ რწმენის მთა, – და ჯვარს ორთავე, ღვთის ნებით გვაცვეს...



ვანო ჩხილაძე

პირველი მერქანტი სამთავროში

გაზაფხულის მერცხალის
მერამდენე მოფრენა,
ვაზი, ჯვრად კურთხეული,
მადლით შეიფოთლება.

ღვთის მწყალობელ უბეში
ულურტული რომ იფეთქებს,
თაღებს რომ გააღვიძებს,
ბუდეს რომ გაიკეთებს.

ნინო, მოვეახლები,
დაუჭენობელ სახსოვარს,
შენი ლოცვის ნათელით
გაპრწყინებულ მაყვლოვანს!

ხელისგულზე სანთლები
ცვილის ცრემლებს დაღვრიან –
ღმერთო,
რა სიჩუმეა,
ღმერთო,
რა სიმაღლეა!

გულში ვინახავ გაუმხელ ფიქრებს,
ლაპა ხარივით ვლოლნი ლოდინებს,
სადღაც სულს ვითქვამ, ლონემიხდილი,
თითქოს მთელი დღე ქვა მაკოდინეს!
დამშრალა ჩემი თასი და ქვევრი,
ქარს გაჰყოლია ზეცით ზარის ხმა,
თუ ჩემს ტკივილში შემოდგი ფეხი,
მერე იცოდე, ვერსად წამიხვალ!
გადამენისლა სულის სამზერი
ჩამომეთოვა ვაზი და დაფნა,
ვეღარც ტკივილთა ვიფონე სალტე,
ვერც იცნებათა გავშალე აფრა!
პირშეუკრავი მკორტნის ჭრილობა,
გულში მტრის სისხლით ჩამოსაბანი,
თუმც უფლის ბაღში მიყვავის ვაზი,
პირზე მახურავს გლოვის საბანი!
ეკლის გვირგვინად და ჯვარცმად იმკი,
რა ზაკვაც დასცდა ბაგით იუდას,
დაგასამარებს გველის ამბორი,
თუ კვლავ უბეში შემოიბუდა!!
ალბათ, სულ მალე, ცხენთა ჯირითით,
არაგველები ამომივლიან,
შევეკიდებით ახადის აღმართს
და ცად ავიტანთ ბილიკს ივლიანს!

ელდარ ჭიშიაშვილი

წყლული თითერით...

წყლული თითებით ვიწევ ჭირნახულს,
პურს ჩემი ოფლი და სისხლი სცხია,
გულს მთხოვს სამსხვერპლო და ამიტომაც
მკერდზე ჭრილობა შემომრჩა ღია!
ნაჯაფარ ხელითა ნაპრალებიდან
ზღვად ამოხეთქილ ზვარსა და ყანობს
შუბლს ჩამოცვარულ ოფლით ვარწყულებ
და ზეცით მდინარ ზემადლით ვხარობ!
ვიცი, ერთხელაც დამსეტყვავს ცა და
გულს დამიზაფრავს მეხთა კვესება,
დაწყლულებული ხელისგულები,
ქვიშით და ღორილით ამომესება!
დადუმდეს იქნებ ყველა ტკივილი,
ჩამოერცხოს გულს ყველა წყლული,
და წყალმა რიყოს ამ ქვეყნად ყველა
დაფნის გვირგვინი და ეკალწნული.
მარტოსულობის ავგაროზებად
ბაგეზე ვიფენ სევდის ბარათებს,
წინაპრის სისხლით ნაწერი სიბრძნე
ვერ შევახდინე უძლებ წარმართებს,
ვინძლო, შენ მაინც, მაგ შენს ბაგეთა
წყლულებზე მფინო ამო სალტუნი,
ცრემლი მომზინდო გულის სიღრმიდან
ღანვზე მდუღარედ ჩამონაშური!

ვაჟა მიროტაძე

ჩემო ცრემლიანო,
ღვთისმშობელო!

ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო,
ქვეყნის მნარე ბედზე მგლოვიარე,
ისევ შენთან მოველ, სანუკვარო,
ცა და ხმელეთი რომ მოვიარე.
ნუთუ სიზმარია ყველაფერი,
ჩუმად ავტირდი და გავიოცე,
მერე შეგვევდრე, მუხლმოდრეეთ:
ჩემი საქართველო დამილოცე!
შენი წილხვდომილი მიწაწყლიდან,
დედავ, სანუგშო სიტყვას ველი,
ცხადად შემომესმა: კურთხეულ ხართ,
გიხსნით ჭირისაგან ღვთისმშობელი.
ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო,
უნდა გეამბორო, ჩაგჩურჩულო:
როგორ მოენატრე საქართველოს,
თეთრი შროშნივით გაფურჩქულო!
დედავ, უფლისაო, შეგვეწიე,
დედავ, უფლისაო, მოგვიარე,
ჩემო ნაღვლიანო ღვთისმშობელო,
ჩვენი ტკივილების მოზიარე.
ივერთა მოდგმის წინმყოფელო,
ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო!..



მარი თაბაგარი

უფროო,

ჩემს ტაოს კედლები ეშლება

ჩემს ტაოს კედლები ეშლება, მიშველა!
მის ბებერ საძირკველს ობი და ხავსი აქვს;
დარღვეულ ტაძრების გუმბათის სიშიშვლე,
აშიშვლებს ამ ქვეყნის ძალას და ხასიათს.

18



ლრიალებს, მობლავის მთებიდან ჭოროხი,
უნდა რომ ჩაახმოს გალობა მოლების
და თუ კი აწმყოში ატირდა მარუხი,
ტაოს ცრემლი ადგას სანატრელ შორეთის.

მწუხარში სევდიანი დუდუნებს საფლავი,
ქართველთა საძვალეს გვახსენებს აშოტი:
„ – ნუ შეუშინდებით, სიმტკიცე სად არის,
სად მიექანებით და რატომ დაშორდით?!"

სინას მთაზე იხმო უფალმა მოსე და
მცნებები გადასცა ადამის მოდგმისთვის;
ჩვენ კი კლარჯეთიდან ღვთის მადლი
მოგვადევს და
თან ბაგრატიონთა ძალ-ღონე მოგვიყის.

ერთია აშოტის მცნება და ანდერძი,
სიმტკიცე ერის და შენება ქალაქთა.
თუმც ჩვენი სინას მთა – ტაო და კლარჯეთი,
ერთობის აკვანი და ცოდნის ბარაქა

დღეს აზანს უსმენს და ერევა გონება,
ქარები წენავენ ჭალარას ბებერ მთის;
ჩვენც დაგვვიწყებია უფლის შეგონება,
კეისარს კეისრის ვუბოძოთ, ღმერთს კი ღმრთის.

გულს მიკლავს მინარეთს კივილი მოლის და
მდუმარედ მტირალი ოშეი და პარხალი.
გამწყრალი ღმერთისგან მადლი არ მოდის და
მიწების გაყიდვით მკლავი გვაქვს გამხმარი...

სევდით დაოსილი სდუმს გრიგოლ ხანძთელი,
უდაბნოს ხორშაკებს ცრემლი რწყავს თვალთაგან.
ვერაფერს გავხდებით ტკივილთან გაქცევით
და დავქუცმაცდებით დუმილით თანდათან.

ყოველი ქა, ლოდი იშნის თუ ოპიზის
მშობლიურია და ჩემი მაჯის ძალა.
აქ მამის დაკარგვით გული რომ მომტირის,
ტაოც ასე მტკივა, ჩემი ზურგის მალა.

მინდა, მივეხლო შატბერდს და არტანუჯას,
ქართული გალობა ვისმინო ბანაში.
სიმცირე რომ სტკივა ამ მინას დატანჯულს,
დედებმა იმძლავრონ ტკბილ იავნანაში.

ლამე რომ გამოფენს ზეცაზე ნაშიერს,
იმ ბნელში აჩრდილად მოსული მუმლია;
მერე რომ საზღვრებზე ავლებენ არშიებს,
გვართმევენ, სადაც ჩვენს წინაპრებს უვლიათ.

ხან წვიმის ნაუურს და ზოგჯერაც სტიქონის
რა ძალით გადაურჩა იშხნის ეს ფრესკები,
რომ ასომთავრულის თბილ, ნატივ სტრიქონებს
კედელზე ჩვენი აქვთ ეშხიც და ფესვებიც.

ვინც კი ალადგინა ჩამოშლილი კარი,
ლოცვებად ითხოვა ცოდვების შენდობა.
აპა, როგორ დავთმო, ღმერთო, ხერხემალი,
როცა სამშობლოსი ტერფიც არ მეთმობა?!

ერთობის ქვაუთხედს ვხედავ მე ტაოში,
ბუმბერაზ მთებში კი ცხოვრების ყავარჯენებს.
ამ მთებში ითბობდა თვის სხეულს გათოშილს
წმინდანი, ვაზის ჯვრით მოსული ჯავახეთს.

სულის ხოშკაკალა იმედებს წამოშლის,
დროს ვერ შეაშინებს გუმბათის სიშიშვლე.
არტახებ დახსნილი ჩავიკრა სამშობლო
გულში, გთხოვ უფალო, მომეცი სიმშვიდე!

მიშველე, დღეს ტაოს კედლები ეშლება!

დალი კახიანი

უფროო გვივროფომე

უფალო გვივრდომე ძეთ ღვთისა, შეცდომილთ,
ცხოვრება უფლისგან ტკირთული ჯვარია,
ულხინე მონანულს ცოდვები შენდობით,
ცოდვები, სულ ობით ნაფენი ჯავრია.

უსწორო ქადილზე მოგვეცი ნიშანი.
იბრუნოს ეგების სხვაგვარად დრო-ჟამშია,
ქერუბიმს დაღალულს, ჩაცუცქულს ნიშაში,
იუდა ეახლა, უამურს როშავდა.

ულევი სნება სდევს კვლავ ივერთ სავანეს,
მსხვერპლს ითხოვს, არ ცხრება ბებერი მოლობი,
ოთხურივ, მოჯარულ უცხო თესლს ავანებს
იუდას ეკალს თუ მოდგმას ალაპის.

ფოლიანტებად ნაკინი ცხორება მამათა,
მრავალ მონამეთა, უფლისთვის ვნებული,
გვეწყემსავდეს ამ სოფლის მოძღვარი, თამადა
ღვთის ნიშანს გვაძლევდეს, პირ-პაგით ქებული.

დაინდე ქალდეის მხცოვანი ნაგრამი,
გოლვოთით ნაგვემი განქარდეს ცოდოა,
„მოძმე“-ს წანაგლეჯი დაურჩეს არამი
რაც ენით ითქმება, ისიც რო ცოტაა.



ეგვიპტი ემედგრა ურჩ პირამიდებით
კარი გაიხურა მესოპოტამიამ,
მემატიანეა ძველი დიდების
მუხლმყურით აღვავლენ მორჩილ მეტანიას.

გვაშორე გარდასვლა ჟამის კარიბჭიდან
ერს სეფე-სიტყვა ჯერ არ აღუვლენია,
უფლითვე ნაბიქებ მაღლმოსილ ნიჭითა
იბერთა, პეტრინთა ოქროპირ ენიანს.

ჯვარის მშენ კტიტორთა, კუმურდოს ნაკვესი
ვაზის ლერწებით ქუდთავასიანი,
ჭრიალა ურმულით გულამონაკვნესი
და შოთას შაირი თავზიანი.

ფეხშიშველ თამარის ვედრებას ცას ვაწვდენ,
იქიდან მახველები ჯვარს გარდაგსახავენ,
უფალო გმადლობ იმ დღეს თუ ამაცდენ
ვიდრემდის სამშობლოს პირთავევე ვნახავდე.

მყნემსმთავარს თვალში გაუკრთა ცრემლი,
ხელალპყრობილი ლოცულობს მრევლი.

თამარ ფარჩუკიძე

უკეთე

„უკეთე თვალი შენი მარჯვენე
გაცდუნებდეს შენ, ამოილე და განაგდე...“
(მათე 5. 29.)

თუ თვალმან ჩემმან გაცდუნოს,
გაუჩინოვდეს, დაივსოს,
მე – ნენი შენი, – მხევალი,
შენ – ჩემი მწუხრის აისო.

თუ ხელმან ჩემმან გაცდუნოს,
მოიკვეთოს და დანაცრდეს,
შენ – ჩემი დღე და მოსწრება,
მე – შენი ჭირის სანაცვლე.

ენაც დადუმდეს მაცდური,
სიტყვისმიგებას ჩვეული,
მე – მარტოქმნილი უშენოდ,
შენ – პირველებნული, რჩეული.

აი, გულს, – წრფელგულს თუ იცნობ,
თუკი შენისად ჩამთვალე,
მაშინ სიფრთხილე სჯობია –
ნუმც დაენახოს ავთვალებს.

არ დაგვინდობენ, ხო იცი,
მერე, მიდი და უმტკიცე.

არ დაგიდევენ სამართალს,
აღარც ფიც-ვერცხლის სიმტკიცეს.

ხოლო, სული თუ შეიტკბე,
ინებე, იყოს ალალი,
ორთავეს მიგვგვრის ქრისტესა,
ლვთისაა, ჩემი არ არის.

თითათინ სიყაშვილი

19

გლოახაკი იგი

რა დიდი რამე... რა დიდი რამე –
იყო ერთი უძილო ღამე
და მე
ვითვლიდი წუთებს და წამებს
ლოდინში დილის...
და როცა ღამე
ჩამოიხოკა ღანვები მწარედ
და შეიწყვიტა შვიდივე ლილი,
თითქოს მომესმა ძახილი ფრთხილი...
ნეტავ ვინ არი?

მოვალე კარი,
შეგავლე თვალი:
მიხმობდი კრძალვით
უსასოო და ფერმიხდილი...
ჩემებრ ღვთისაგან გაჩენილი,
ჩემებრ ღვთისა და კაცის
შემწეობის მომლოდინე და მოიმედე
და მე
გავბედე –
მოგეახელი,

გამოგონიდე ორივე ხელი..
არცა რა გკითხე:
კვნესოდი და, მოვაგლახე
და მოვიშვიშე
მე... განუგეშე;
ტიროდი და, ცრემლები მწარე
მე... შეგიშრე, შეგიმშრალე და დაგიმტკბარე;
გტყიოდა და,
ვძებნე მალამო და რუმერამე,
ვიპოვნე და სატკივარი
მე... მოგირჩინე და დაგიამე;
გშიოდა და,
მე... დაგაპურე,
გინილადე ჩემი ჭამადი მწირე;
გწყუროდა და,
მე... პეშვით გასვი წყაროს წყალი,
კითა წამალი;
გციოდა და,
მე... გაგათბე, სამოსი ჩემი გავიძარცვე,
მოგაფარე
და მოგეფერე;
ჩამოგბანე ქვიშა და მტვერი,
გადლეგრძელე და გიდლეგრძელე



მაკა გელაშვილი

იეჟოს

ო, როგორ მინდა, ვგავდე კეთროვანს,
კურნების მადლი რომ დაგიფასა,
და იმ ავაზაკს, ცხონების მპოვნელს,
შენი ღმერთკაცად შეცნობის ფასად.

ო, როგორ მინდა, ვგავდე მეზვერეს,
ტაძრის კუთხეში მხურვალედ მლოცველს,
მებაჟე ზაქეს, რწმენამიცემულს,
შენს დასანახად ხეებზე მცოცველს.

ო, როგორ მინდა, ვგავდე მექავეს,
ცხარე ცრემლებით ფეხს რომ გილტობდა,
ხალხს, უფლის სიტყვის გაგონებისთვის,
უდაპნოში რომ შენკენ ილტვოდა.

ო, როგორ მინდა, მწამდე გულწრფელად,
რომ წყალზე მდგომი არ ჩავიძირო,
ვგავდე ასისთავს, სისხლმდინარე ქალს
და რწმენის ფსკერი მქონდეს უძირო.

თამარ გეთრეველი

შემინდე უფალო

დღეს მე ათასგზის,
ცოდვილმა და
ფარისეველმა,
ისევ დავლვარე
სისხლი შენი, ჩემო
უფალო,
ისევ შეგცოდე
უთვალავჯერ, ურჩმა
მხევალმა
და სისასტიკე თან
მაოცებს ჩემი
უგვანო...



ვიცი რომ ვცოდავ,
მაგრამ მაინც ვეხები
შენს მხრებს,
ტკივილს ცრემლები
ემატება ვხვდები
უძალო,
შემაძლებინე
ღირსეულად ვძლიო
ტკივილებს,
ნულარ გამომცდი,
მომიტევე, მტკივა
უფალო...

ჩემი ცოდვები,
უდაბნოში ქვიშის
მტვერსა ჰგავს,
შენ კი ყველასთან
პირმართალი და ხარ
უვალო,
მე კი ათასგზის,
მოღალატე ცოდვის
შვილი ვარ
და შენ ათასგზის
ჩამიხუტე მაინც
უფალო...

აკაკი ბიძინაშვილი

ვეზიარე გუშინ

ვეზიარე გუშინ, განვიწმინდე სულით,
მრეველში ძალზე ბევრმა შემომხედა შურით...
მახარობელთ ჯარი თან დამყვება ახლა,
მთავარანგელოზი წინ მეგზურად მახლავს.
სადაც წავალ ყველგან მიცავს ძალა მათი,
ალდგომაა ჩემი, ქრისტეს წმინდა ხატი!
მისი სიდიადე, აბა, რომელს უკვირს,
ეცილება მნათობს მორწმუნეთა შუქი!

ამირან გენაძე

წმინდათ ქარიაშ!

მოვილტვი შენდამი მე მონანიებით,
წმინდაო მარიამ, საწყისო ყოვლისა,
განკურნე ჩამჯდარი წყლულები სულისა,
ამ ქვეყნად სადარო სპეტავი თოვლისა.

შენ უწყი დედაო, ცოდვანი ყოველნი,
მასწავლე ბილიწინი, მე რითაც ვცხონდები,
ნუ თანარმწიფიდავ უსჯულოთა შინა,
მკვიდრ დამიცავი და შემინდე ცოდვები.

შენს მიერ ჩემს ზედა მოვლენილ ანგელოზს
მიეცი უფლება მატაროს დიდებით,
არ წაგშლი იმედებს უფლის სადიდებელს,
ყოველთვის წარმოვთქვამ, ამასაც გპირდები...

წმინდა ანგელოზმა ჩემს სულსა ჭირვეულს,
არ მისცეს უფლება მაბრუოს ქებისგან,
დამიცავ ქალწულო, ბოროტი სულისგან,
განმანთავისუფლე ყოველი ვნებისგან.

მომმადლე დედაო, სიმდაბლე ულევი,
დამიცავ ყოველთვის განკითხვად ძმებისა,
გულთა მეცნიერო და სულის მკურნალო,
დამგმობო უწმინდურთ ბოროტი ხმებისა.

შორენა გაპელაშვილი

„მკეროდა! მნამდა!”

რა უჩვეულო ღამეა ახლა
თვალებსაც როგორ გაუცვდათ ფერი,
სადლაც გაჰყვირის შორს მოლა გაღმა
და მიკანკალებს ფურცლებზე ხელი.

შემომეცვია დარდი, უფალო
მძიმეა იგი, სუსტ მხრებზე მდგარი,
ნეტავ, ოდესმე ისევ მანახა
როგორ ჩაივლის მეტებთან მტკვარი.

დედა ქართველთა და დედოფალი,
ცრემლით ნამავდა სევდიან ფურცლებს,
და უკოცნიდა ქვის ფილაქნები
ლოცვით ჩამომდნარ, იმ ლამაზ მუხლებს.

ამ სავსე მთვარის და ამ ცის მიღმა,
იქ, სადაც ჩემი სამშობლო არის,
გებარებოდეს ძენ, ღვთისმშობელო..
მიიღე ლოცვა ქართველი ქალის!

ამაღამ, თორემ, თენდება დილა
დილა კი მართლაც გოლგოთას ჰგავდა,
და დაშანთული მისი სხეული
თითქოს, ჩვენს ცოდვებს ხელახლა ჰპანდა.

სიკვდილს უფლისთვის შეხვდა და დასცა,
ჯვარცმული მაინც არაფრით გასცა!
ცოფებს ჰყრიდან შაპი ვერაგი,
შემოიგლიჯა ლამის პერანგი.

რადგან, ქეთევან სამშობლოს ჰგავდა:
ქრისტესთვის კლავდენ და მაინც სწამდა!

ჩამოიღრუბლა, მზის გაჰქრა სხივი,
თითქოს, შეიკრა ლურჯი ცის პირი.

იქ, გოლგოთაზე, იხუვლა ქარმა,
მშვიდი დინება შეწყვიტა მტკვარმა.

მეტებშიც გლოვის შემოჰკრეს ზარი,
დედებმა მყისვე ჩაიცვეს შავი.

და ის დღე, სხვა დღეს რაღაცით ჰგავდა,
რომ გაუძლებდი, მჯეროდა! მნამდა!..

გეხა ზამთარაპე

„პური არსობისა”

რისთვის ძმობილნო,
რად შემყურებთ ბოლმით და შურით?

მე ვარ სიკეთე,
არსობისა ვარ თქვენი პური.

ჯვარს მაცვათ უნდა,
მოგავლინეთ ჩემს მსგავსად რადგან,
სიყვარულისთვის

ეკლის გვირგვინს ულმობლად მადგამთ.

ნუ შემიძულებთ,
თქვენთან ერთად ვიშვი ღმერთის ძე,
სასონარკუეთილთ

ცოდვებისთვის რწმენად გელირსეთ.

ნუ გამიმეტებთ, ნუ დამჯიჯგნით,
ნუ დამკრავთ ლახვარს!

მე ვარ იმედი,
თქვენი გონი შურში რომ მმარხავთ.

ეს ხორცის გროვა
ერთმანეთს რომ ჰგლეჯთ ნაკუნებად,
ჩემი სისხლია, სხეულია
და ვერ ყუჩდება,
შხამ-ბალდამისგან ავსებული თასი რომ მასვით,
ეს მე ვარ თქვენში არსებული
სული მოყვასი.

რისთვის ძმობილნო,
რად შემყურებთ ბოლმით და შურით?

მე ვარ სიკეთე,
არსობისა ვარ თქვენი პური.

ირმა პიძინაშვილი

თითქოს უფალმა

ვარ ავსებული სევდისგან როცა,
ჩემი ტკივილი მსურს ვანდო ვისმე,
შევალ ტაძარში, დავიწყებ ლოცვას,
ასე მგონია, რომ ღმერთი მისმენს.

გამეფანტება წუხილი მძიმე,
ვიწყებ ცხოვრებას ავსებული ლხენით,
შევიძებ რწმენას, მომავლის იმედს,
თითქოს უფალმა დამადო ხელი!



ლილი გოგებაშვილი

ვეზრება

უფალო ღმერთო,
შეგვაძლებინე
ნინაპართ მსგავსად
ბრძოლა მედგარი,
შენ მოგვივლინე
ნინ რომ წარგვიძლვეს
მხეიძეების
დარი მხედარი.
მოგვეცი გონი,
შეგვაძლებინე
სამაგიროს
მიგება მტერთა,
ქრისტეს რწმენისთვის
თავის გაწირვა,
მსგავსად გარეჯში
მოწყვეტილ ბერთა.
დედაო ღვთისა,
შენ გევედრები,
გაგვაძლიერე,
მოგვეცი თმენაც,
მეტების ხიდზე
თავშეწირულთა
იმ ასიათას
ქართველის რწმენა.
დედაო ღვთისა,
შენ მოგვიმრავლე
მართლმორწმუნები,
მამულის მშვენი
და გევედრები
მალე გვაჩვენე
გაბრწყინებული
ქვეყანა ჩვენი.

ფიქრია ჩუბინიძე

მამულს მიმიხედეთ ბიჭებო!
ეს რა გასაჭირი გვჭირს,
სამშობლოს ხელიდან გვაცლიან,
სხვა რამ წაულია ჭირს.
მცხეთას ეტირება არაგვი,
ილორს თეთრი ჩადრი ჰეთარავს,
რამდენ გადამთიელს გავუძლოთ
თურქს, ირანელს თუ არაბს?
ყინწვისა ანგელოზი დამფრთხალი,
შიშით გადაჰყურებს მთებს...
მეჯვრისხევს ლორთქო ალუჩას
რუსის ჯარისკაცი კრეფს.
შეილები გვიკვდებიან შიმშილით...

ანჩხ სისხლის მირონი სდის.

დმები, ბანკის რიგში სირცხვილით
დგანან, ფულს ელიან დის.
დედები, სილარიბეს გაქცეულნი,
სხვის კართან პირისფარეშობენ.
სამშობლო კოჭამდეა დაქცეული
და ავაზაკები თარეშობენ!
მამულს მიმიხედეთ ბიჭებო!
გაუს ლექს, ცოტნეს ბაორალებს,
ვარძიას თმოგვის ციხით უდარაჯეთ,
ქსანზე ქართლის მინდვრებს, ატმის ბალებს,
ენგურს, ამორძალთა საბანაოს,
ჭოროხს, სისხლი რომ აქვს ხალიბების,
სოფლებს, წინაპართა სასაფლაოს,
მინებს, ხარჯში გვართმევს ხალიფები.
საყდრისს, გულგაფლეთილს მგლოვიარეს,
გარეჯს, უტყვი გუშაგს და მდუმარე ბერს,
მთელი საქართველო მოვიარე
თითქოს, ველარ ვეჭელი ველარაფერს.
მამულს მიმიხედეთ ბიჭებო!!!
ბიჭებო, საქართველოს მოუარეთ!!!!

ფიქრია ბროლაშვილი (ფიქრი)

**ყველა დაგვლოზავს ჩვენ
„ნინოს ჭვარი“**

ღვთისმშობლის წილხვედრ მინაზე ვცხოვრობ,
აქ, წმინდა ნინო ფეხით დიოდა,
ანგელოზების ლოცვა-კურთხევით,
ზეციდან მადლი გადმოდიოდა.
სადაც წმინდანი ენამნენ ქრისტეს,
არ უდალატეს არაფრით რწმენას,
მუხლებმოდრეკით წმინდა ტაძარში,
ისმენდნენ მხოლოდ ზეციურ ენას.
ახლა ქვეყანა მოაგავს ჯვარცმას,
სადაც სიცრუით თარეშობს ეშმა,
მხოლოდ სანთლები დალიცლიცებენ,
მათ ეს სიწმინდე უბოძა ლმერთმა.
ნალვენთ სანთელზე ცრემლები მოსჩანს,
როგორც ბალახზე მბრძყინავი ცვარი,
უფლის სიყვარულს თუ არ დავკარგავთ,
ყველას დაგვლოცავს ჩვენ „ნინოს ჯვარი“.

ავთანდილ ივანიძე

წმინდა ნინო

დამესიზმრა – ცის ლაუგარდზე
ფარფატებდა თეთრი მტრედი...
და ვაზის ჯვრით წმინდა ნინო
მხსნელად აღმდგარიყო მკვდრეთით.



გულს უკლავდა საქართველოს
განსაცდელი, ქართველთ სევდა,
ლოცვებით და ქადაგებით
ერის წყლულებს აშუშებდა:
ევროპისკენ მიპყრობილი
იყო მზერა ქართველ კაცის
და ევროპულს ითვისებდა,
რაც რომ იყო მისაბაძი.
ქართველთ ქცევა, საუბარი
იყო ბრძნული, მაინც სადა...
და პატივით ეპყრობოდნენ
მამა-პაპურ წესს და ადათს.
გულქვაობა და ღალატი
ითვლებოდა მათში უცხოდ
და პატივით ექცეოდნენ
ჭალარისანს, მათზე უფროსს.
წინაპართა საფლავებთან
მოწინებით კვლავ თავს ვხრიდით...
მეზობელ დიდ ქვეყანასთან
აღმდეგარიყო ძმობის ხიდი.
ვინც ლოცულობს, უმიზეზოდ
აღარ სწუხს და აღარ ჯავრობს...
საქართველო იხუტებდა
აფხაზეთს და სამაჩაბლოს.
და მე ღმერთთან სასაუბროდ
უფლის ნებით ვწერ ამ ლექსებს, –
რაც რომ სიზმრად მქონდა ხილვა,
ღმერთო, სინამდვილედ გვექცეს!

რომ ქვეყნად იყოს ერთობა,
ძმა ლოცულობდეს ძმისთვის.

ლია პეტარიშვილი

ლოცისმშობელს

შორი გზა მაქვს გასავლელი,
ლოცისმშობელო მარიამ,
შენი ლოცვა გამატანე,
როგორც დედის ვალია.
გამიკვალე შარაგზები,
მარტო დავალ ეული,
სევხუვები დამიწნარე
ჩემებრ გადარეული.
ამარიდე ღალატი
და ორპირობა ქარისა,
ბნელი ღამე გამინათე
შუქით სავსე მთვარისა.
გრძელი გზა მაქვს გასავლელი
ლოცისმშობელო მარიამ,
შენი ლოცვა გამატანე,
როგორც დედის ვალია.

23



მორინი მამალაშვილი

ალექსანდრა

ათასი წყალი ჩამოივლის
მწუხრის ლოცვამდე,
ასიათასჯერ დავეცემი
შენთან მოსვლამდე...

მუხლებზე ვდგავარ და შენდობას
არ ვითხოვ ღმერთო,
რადგან ეს ყოფა, ეს სიცოცხლე,
ცოდვილის მერგო.

მინას განრთხმული,
ნამოდგომას უფალო ვერ გთხოვ,
სანამდე ცოდვის ლოდი დამაქვს
მკერდით და ვერ ვთმობ.

სანამდე თვალში ცრემლის ნაცვლად
მედგება წვიმა,
იქამდე უნდა ვცოდო,
როგორც „უძლებმა შვილმა“.

სანამ არ ძალმიძს დავიხოვ
ფრჩისილით სხეული,
იქამდე უნდა ვზიდო ხორცით
სულიც სნეული.
სანამ შენდობას არა ბაგით,

მარინი ჩიხელი-ცურაშვილი

ფილის ლორწვა

იმერეთს ამოუქროლა
ნიავმა შავი ზღვისამ,
ხეზე მძინარე ტოროლას
აუწყა მოსვლა დღისა.
ტოროლას აპყვნენ მერცხლები,
მგალობელ ჩიტთა ჯარი
და მათი ჟივილ-ხივილით
აიგსო მთა და ბარი.
ზურმუხტისფერად ლივლივებს
ირგვლივ ყანა და მდელო
შავი ყვირილაც ზურმუხტობს,
ვით მთელი საქართველო.
ხევებს ჩანარები თოვლი
ვეფხვებს ამსგავსებს ქედებს,
ულამაზესი ფონი
გვირგვინად ადგას ედემს...
და აქვე კაცხის კლდეებში
ზეცად აღმართულ სვეტზე
მზის სხივით გაღვიძებული
ბერი წამოდგა ფეხზე...
ლოცვას აღავლენს ღვთისთვის
და მუხლს მოიყრის მისთვის,

ოლქ, №4, 2019





არამედ მკერდით
გეტყვი და მერე,
სინანულსაც ვატარებ მხრებით.

იქამდე ალბათ ყველა ლოცვა
იქნება ფუჭი,
გამიქვავდება
საპირჯვარედ შეკრული მუჭი.

არ მოსცილდება სანამ თვალებს
ლიბრი და ჭუჭყი,
შენდობის თხოვნას ვერ შეგბედავ
უფალო უწყი.

ათასი წყალი ჩამოივლის
მწუხრის ლოცვამდე,
ასიათასჯერ დავეცემი
შენთან მოსვლამდე.....

მავედრებლად შემომხედო.
ხატი არ ვარ,
ჩემს ნინ მუხლი მოიდრიკო,
მე ხომ ურვა მომრევია შენზე მეტად,
თავად ვითხოვ პატიებას
ღვთის ნინაშე
და შენს განსჯას ჩემი სიტყვით
ვერ გავბედავ.
გაპატიო?
მე არამაქვს მაგის ნება,
თითო ცოდვა ყველა სულდგმულს
გვაძადია,
ჩვენ ერთმანეთს რა არ უნდა
ვაპატიოთ
როცა თავად ქრისტემ ჯვარცმა გვაპატია.

მარი მაჟარაშვილი

შემინდე ლმერთო!

თოვლის ფიფქების ფარფატი მაკრთობს
უთავბოლოდ რომ ფანტაგს ქარები,
სულის სიღრმეში ტკივილებს, ნაწრთობს
დღეს უმოწყალოდ ვეცოტავები.
ფირუზისფერი კაბის შრიალით,
ვეზევი ზამთრის გულცივ ამინდებს,
გიახლოვდები გულის ფრიალით
და იმედები ლამის დამიდნეს.
არ მიყვარს, როცა წამი ჩერდება,
წვიმისული მძულს სიმარტოვე,
მხოლოდ შენი გზა მემედება,
შემინდე ლმერთო! თუ მიგატოვე!
მკლავს მონანე ნაკადი ცრემლის,
ბობოერობს, ანგრევს სულის ჯებირებს,
მოდი, უფალო, მომხვივ ხელი
ვიდრე ეშმაკი გამიზეპირებს!
მსურს სასოება ყველას ვუწვენო,
გულწრფელი ლოცვის მომეცი ძალა!
მომხედე ლმერთო, თორემ უშენოდ
ყველა საყრდენი გამომეცალა!

მარი გერუაშვილი

პილიგრიმის ლორვა

ქარებს ჩაუცვამთ თეთრი სტიქარი,
ზეცას ანვდენენ ხელებს — კელაპტრებს.
მზემ გარდამსახა დილით პირჯვარი
და ჩემი ლოცვა მიაქვს ლმერთამდე.

მადლი ამშვენებს სულის კესონებს,
ბრმა არის ცოდვა, ერლვევა კბოდე,

ციცი ფოჭეაძე-ხითარიშვილი

ლორვა შემოლამერბის

საკმევლის სუნი იდგა ტაძარში,
ეფერებოდა ხატებს ალერსით,
მისი სურნელი, მისი დიდება
სუფევდა ტაძრის წმინდა სარკმელში.
უფლისა სახლში სითბო ესვენა
და ლოცულობდნენ ჩუმად ქალები,
მლოცველთა მხრები იწყებდნენ თრთოლვას,
მსწრაფლ იქსებოდა ცრემლით თვალები.
ისმოდა ჩუმი, თბილი ღულუნი,
შეუჩერებლად რეკლენ ზარები,
ქართველთა გული იწყებდა ფეთქვას
და იყო ლოცვა შემოლამების.
უფალს დიდებით ამკობდა მღვდელი,
მირონს აფრქვევდნენ ლოცვით ხატები,
წმინდა ტაძარში გრძნობებით წრფელით
იღვენთებოდნენ ხელში სანთლები.
ტანში მივლიდა უზღვავი მაღლი,
სხეულს მითბობდა რეკვა ზარების,
ივერთ ტაძარში სიწმინდე ფეთქდა
და იყო ლოცვა შემოლამების!

ნათია გრძელიშვილი

* * *

გაპატიო?
მე რა უნდა გაპატიო,
მე ვინა ვარ, შენდობა რომ შემომშედო,
მიტევების მოლოდინით გადაღლილმა
თვალებში რომ





გთხოვ, შემინდე თუ ტალახს ვესვროდე,
უფალო, შენგან მოვლენილ მოძმეს!

თვით ქარიც ნანობს, ცუდი ჰქმნა რაიც
და თეთრ სტიქარში ხვდება მომავალს...
ჯვარცმაში არის შვება, გინდ ხსნაი
და ნაწამები ქრისტეს „ოსანა“.

თავს იყრის ხშირად შავი ღრუბელი
და იღუშება პირთეთრი ზეცა.
ავაზაკიც ვარ, შვილიც უძღები,
უფალო, ცრემლით მოვდივარ შენთან.

ჯვრის მონასტრიდან გადმოდის მადლი
საქართველოზე, ტაძრის სინმინდის.
იერუსალიმ მოვალ, თავს დავხრი,
გამომაყოლე ლოცვა პილიგრიმს.

უფალო, შენ ხარ ლოდი მართალი,
რომ შეურაცხყო ბრძომ უსამართლომ,
შენ ხარ სიკვდილის ჯვარცმით მძლეველი,
მაცხონებელი დაუსაბამო.

ჯარისკაცივით დაიგვიანა...
ლამეა, ასე ჩამოტოტვილი,
მინაა, ასე სისხლით დამხრჩეალი,
მოდიან ღმერთო, საზღვრებს წამლავენ
მუქარითა და ტყუილ-მართალით.
სულში ჩალენეს ვაზის სიმტკიცე,
თითებით მარხეს ჩვენი წარსული,
ვთქვით, რომ გვიყვარდა ჩვენი სამშობლო,
მერე გავყიდეთ ყველა ასული.
მყუდროა ღმერთო, ცის სახურავი
და უფრო ტკბილი სახლი, ბაღები,
უკვე რამდენჯერ გავყიდეთ კერა,
მაინც ვერაფრით ვერ დავლაგდებით.
მინა მეწვის და ხელისგულებზე
ჩემი ცრემლები ჩიტებს მოჰგვანან,
დღეს ხომ უბრალოდ არის ზამთარი,
მერე რა, თუკი ყველა მომკვდარა...
ღმერთო,
არსად რომ არ შეუძლიათ
ასე დალატი, ასე ერთობა,
მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში
და მტერი ასე უფრო ერთობა...
დაჭრილი მიწის სისხლი მდის ხელებს,
ვითვლი და ვმალავ შერჩენილ ტყვიებს,
დალენილ გულზე მალამოს ნაცვლად
ამ ცის ნაჭერი გადავიხვიე.
დღეს კი, უბრალოდ არის ზამთარი,
სალამო დახრა მტერთა ღრიალმა,
სამშობლომ, უცხო ომში წასულმა
ჯარისკაცივით დაიგვიანა...

ლელა აპრაშიშვილი

* * *

დღეს ხომ უბრალოდ არის ზამთარი,
სალამო დახრა ქართა ღრიალმა,
სამშობლომ, უცხო ომში წასულმა

მამუკა დემეტრაშვილი

დედა ლვისმშობელი
ანუ
ჩემი მფარველი

მე თვალწინ მიდგას ლვთისმშობელი მშვიდი, უზადო,
ჯვრის ზიდვისაგან მოქანცული მასთან ვვიშვიშებ:
ვიღვწი, სამებას სული სუფთად რომ განვუმზადო,
კაცობრიობას ცოდვებისგან მხსნელი გვიშვი შენ!

წუთისოფელი არის ციხე ცოდვის ტუსალთა!
მათი მეოხი ლვთის წინაშე შენ ხარ, მარიამ!
კაცი მონაა, სანამ სული არ გაუსალდა!
გამცხომაში მყოფს სიუხვენიც ვერ უკმარია.

უამი ნგრევაა ხელოვნურად შექმნილ ქაოსთა!
ნუგეში ხშირად მაშინ ჩნდება, როცა არ ველი.





სული დევნილი ცრუ სოფლისგან ბევრჯერ დაოსდა
მაგრამ ვიცი, რომ შენ ხარ მარად ჩემი მფარველი.

ნეტარ არს ის, ვინც ღვთისმშობელი რწმენით გინოდა.
შენი სისავსე წრფელმა გულმა როგორ არ აქოს?!
ღვთის ერს უბადლო მზრუნველობით ზრდი უბინო და
სიპრძნით ანიჭებ მაცხონებელ მადლს საარაკოს.

ცდუნება ცდილობს, ძარცვოს სულთა წმინდა გენი ცის,
თვით შენილბული ცდომილ სულთა ხელით მათ უტევს,
ყოვლადწმინდაო, როგორც დედამ, მხოლოდ შენ იცი
უბრალოება ჩემი სულის და სისათუთე.

გზები დემონმა ყველა მხრიდან შეკრა, შებოჭა,
შეპარვით ნერგავს ბოროტების იარალად გენს,
შენ ხარ, დედაო, სიცოცხლის წყლის საოცნებო ჭა!
ღმერთი აცხონებს კიდეც, მხოლოდ კი არ აღადგენს!

დედაო ღვთისავ, შენ ვერ აღგნერს კაცთა ნიჭი, როს
ლოცვას იწყებ და სულინმინდით შეიბურები,
ნუ აცდი მაცდურს, ცოდვის ბრჭყალით რომ ჩამიჭიროს
და ამაცილე ცრუ მოწმეთა ქეიბურები.

უერთგულესი შენს ძეს უკვე ბევრი შვილი ყავს,
მისთვის არ აკლდა სიყვარული მართალს არც მაშინ,
ნეტავ შენს გვერდით გოლგოთაზე მეც ვყოფილიყავ,
ნილი არა მაქვს, დედოფალო, მე ღვთის ჯვარცმაში!

მე ღვთისთვის სათნო საქმეები დავუწუნე თავს.
სულს რაში არგებს ცოდნა ცაზე ვარსკვლავთ ციალთა?
სამკვიდრებელნი განამტკიცე მართლმორწმუნეთა,
სანამ არ წახდა წარმართთაგან და გატიალდა.

როცა საწუთოს გახრენის ავხორც წესით ცხოვრება
და ის უარპყოფს წყებათ წყაროს ციურ ნიშანთა,
მაშინ შენს ივერთ უფრო მძაფრად ემახსოვრებათ,
კვლავ მოსვლის აღთქმა ღვთისა, ნებით რომ დაიშანთა.

კაცობრიობას ცოდვებისგან მხსნელი გვიშვი შენ!
ვიღვწვი, სამებას სული სუფთად რომ განვუმზადო.
ჯვრის ზიდვისაგან მოქანცული ჩუმად ვვიშვიშებ
და თვალწინ მიდგას ღვთისმშობელი მშვიდი, უზადო.

ანა გელაშვილი

ჟაფარ არა ხარ...

ამაო არის ყველაფერი... გულის ნებაზე თავის მიშვება,
სხვისი სურვილის, სხვისი სიტყვის ბანზე აგდება, თავისუფლება!

ახლა ვინანე სიხარული, ახლა ვიმტვრიე თავში ხელები,
მეტი და მეტის ძეპნაში, რომ გავლიე სავსე დღეები, წლები...



ახლა ვინანე, ჩემო თავო, ჩემივე მტერო, რაც გავიარე,
ოხ, რატომ ყოფა შენი გზებით და შენი რწმენით არ მოვიარე.

ამაო არის ცისარტყელას შვიდივე ფერი, სიტყვა, – მიყვარხარ!
ამაო არის ღმერთო ყველა და ყველაფერი, სადაც არა ხარ.

იამზე არველაპე-ხეცურიანი

ურუევი მრნამსი

მაქსიმე ალმასარებელი: ადამიანი სამჯერ იშობა:
დაბადება, ნათლობა და თავისი თავის პოვნა.

კურთხეულია, იმერეთი –
პირველმშობელი,
გზებით ნეტარით...
გაირბინა მასთან ბავშვობამ.
ყმაწვილობისას, ბედისწერით –
მე მას დავშორდი,
ვერც რა, ამოშლის...
ამ გულიდან მარად სალოცავს!
მეორედ ვიშვით, ქრისტეანნი...
მცხეთის მიწაზე,
სად გავნათლულვართ –
სვეტიცხოვლის ღვთიურ მირონით,
და რახან უნდა ვიშვეთ სამჯერ –
ვფიქრობ იმ მრნამსზე,
არის ღვთის ნება,
შეუცვლელი სიტყვა-კანონი.
დავეძებ ჩემს თავს: მცხეთის კართან, ისევ და ისევ,
ალაგი ესე – წილხვედრია დედალვთისმშობლის...
და თუ, ღმერთკაცის აგებული – ვარ დედაციხე,
მწამს, „უსათუოდ „კარდუს“ გვერდით კვლავ თავს ვიპოვნი!!

27



ლელა გაფრიდეაშვილი

ვეფრება

წმინდაო ნინო, ლოცვითა და ჩოქვით მოვედი,
შემოგავედრებ, ჩემს პატარებს, ოქროსთმებიანს...
ქრისტეს მორწმუნე მიუყვება მხურვალ ფილაქანს,
მე კი... ისევ ის არაგველნი მესიზმრებიან...
სანთელ-საკმეველს, ვიცი, ძალუძს გზების გაკვლევა.
დედალვთისმშობლის წილხვდომილზე ვინ ალარ ჰყვება...
ვედრების, ლოცვის, რწმენისაა ჩემი სანთლები:
– ბინიერებას განგვარიდე, მოგვეც ნათელი!..
– გთხოვ, სათნოებით მამსახურე, მშობელ მიწა-წყალს,
ჯვარს მივეახლე – ჩამიკონა, რწმენამ მიწამლა!
მადლიერებამ, სიყვარულმა ამიცსო გული,

ოლქ, №4, 2019





თავმდაბლობამ და სიყვარულმა სპეტაკულ სული!
 წმინდაონინ, რწმენის სანთლებს გინთებ, გადიდებ,
 მხურვალე ლოცვებს, ფიანდაზად, ფეხქვეშ გაგიფენ!..
 შემოგავედრებ, ჩემი ქვეყნის ყველა ბინადარს,
 გთხოვ, ზიარ-გვყავი უფლის რწმენის უქრობ ჩირალდან!..
 ...გაზის ჯვარით და ურყევ სულით მოჩანს შორეთი...
 დიდება იმ ჯვარს, სასნაულს რომ ახდენს ყოველთვის!..

დავით რობაჭიძე

ტკული ქრისტეშმიერი

„...მეც მიმდევარი სალვოო მცნების
 და მიწის სჯულის...
 ვით გაცრეცილი პერგამენტი
 ქვა შელანჯული...
 ადგილის დედის ალაგიდან –
 ვერრა დაძრული...
 სულმა ინდომა – ეს გზა,
 ეს ხსნა – ქრისტეანული!“

იამზე არველაძე-ხეცურიანი
 ჟურნალი „ოლე“ №4, 2018 წელი.

იმერ-ამერი მომდერალი, თბილმობასე,
 თავალერილი წინმავალი გზნებით ქართულით!
 ნეტარხსენებით წინაპართა სულს აბაასებს:
 გვეხმიანება „არვეთმნების“ ქრისტეანულით!
 ვიცოდი: მძლავრი სულისთქმაა არგალამბული,
 ნაგვირისტევი, ჩანწელი და ნაზი ჩუქურთმა...
 საიმერეთოდ ამოთქმული, „ქვაშელაჯულით“
 სჯულს – ქრისტესმიერს საქართველო პირველი მისწვდა!
 სულმა ინდომა სანუკვარი ახმიანება,
 ადგილის დედის ალაგედან მდინარებს წყაროდ,
 პერგამენტები გადაშლილა გონის თავდებად,
 მივმართოთ სულის საგრილებლად და გავახაროთ!

ვეზენა სამსონიძე

ცამი წლის მარიამი – ხაჭი ხელოუქმნელი

წყალობა ღვთისა ნატიფ სახეს გადმოჰყენია,
 უმანკო მზერას რა ჩააქრობს, გადამრჩენია,
 სილაუვარდეა – ზეციური, ნაირფერია,
 ღვთისმშობლობაა – ის რაც უფალს, დაუწერია,
 ანგელოზები საგალობელს ზეცად მღერიან,
 უფლის ნებაა, წყალობაა, შენი ჯერია,
 დიდება შენდა, ნეტარებავ, წმიდა მარიამ,
 სადიდებელს რომ ააჟღერებს – ტაძრის ზარია,
 მფარველობაა ზეციური, მტკიცე ფარია,
 უნდა ითმინო გოლგოთის გზა – მოუთმენელი,
 ცრემლით და დარდით გაჟღენთილი, ღამის მთეველი,



უკვდავებისთვის წილნაყარი, ხატად ქცეული,
ურჯულოება დამარცხება, როგორც წყეული,
მადლი უფლისა ბავშვურ სახეს გადმოჰვენია,
უმანკოება გაცისკროვნდა, გადამრჩენია!
სულის ხსნისათვის ლოცვა წრფელი, რაც დაგვრჩენია!

პესარია აპაშიძე

კაფლგრძელო

რა არის ქვეყნად პირველ სხივზე სუფთა და წმინდა,
ლაუგარდის ფერად რომ აანთებს მეცხრე ცის ტატნობს
ჩვენ საქართველო უფრო კარგი და მძლავრი გვინდა,
ჩვენ საქართველოს უფრო ლამაზს და მდიდარს ვნატრობთ.

ჩენი სამშობლო ანი ელის ნამდვილ პატრონებს
სამტროდ მოსული ანი მაინც ხომ უნდა მიხვდეს,
ველარ გაიგეს? საქართველოს ღმერთი არ ტოვებს,
ან ვის დაუთმობს თავის დროზე ღვთისმშბლის წილხვედრს?

არ დაელია საქართველოს ბოროტი მტერი,
მის დანახვაზე მრავალს მოსდის ელეთ-მელეთი,
სუყველას უნდა მიითვისოს ედემის ტევრი
და ორ ზღვასშუა მოქცეული ზურმუხტ ხმელეთი.

ეს გაუმარჯოს მთის მწვერვალებს ღრუბლებში შერგულს,
არწივის მართვეს ადრიანად დაფრთიანებულს,
ეს გაუმარჯოს საქართველოს ერთ მუშტად შეკრულს
ღვთით გაბრნებულს, აღდგენილს და
გამთლიანებულს!

გულთამზე მარგველაშვილი

გმადლობრო უფალო

გმადლობთ უფალო!
სამყარო, რომ მოგვიხატე ლამაზ ფერებით
იმ სიცოცხლისთვის, მიწით შექმნილ
სხეულს შენ, რომ შპთაბერე სული.
და პური ჩვენი არსობისა, მოვიპოვოთ
ჩვენი ხელებით
და ჩვენვე უნდა გავიკალოთ
ცხოვრების ხნული.
გმადლობ უფალო!
ყოველი დღისთვის, შენ რომ მითენებ
ვხედავ მზეს, მთვარეს, სიცისფერეს ზეცის თავანის,
რომ შემიძლია გამკლავება მუჭს ვინც მიღერებს
და გვერდის ავლა ბოროტის და მავან-მავალის.
გმადლობ უფალო!
ისევ მკერდში, რომ მიკრავს დედა
თვალებში ცრემლებს, რომ მიწმინდავს დაკოურილ ხელით
და მომიტევე ამ ქვეყნიურ ცოდვებს რომ ვბედავთ





და შენს ნათელს რომ გვირჩევნია ცხოვრება ბნელი.
 ღმერთო! რა დიდი მოთმინებით უმზერ სამყაროს
 ადამის მოდგმას ცოდვებით რომ სავსე აქვს კალთა
 შენივე მადლით და წყალობით ყველა განბანო
 და ხსნა გვიბოძო ცოდვილთ და მართალს.
 მტკივა უფალო ნაწამები შენივე ჯვარცმა
 ყველა იარა შენი სხეულის ნაფლეთები სისხლის წვეთები
 მეწვის სხეული იმ ეკლებით შენს სხეულზე რომ გადაიარა
 მტკივა და შენს წინ მუხლზე ვეცემი.
 შეგვინდე ღმერთო, ცოდვის შვილებს ამქვეყნიური
 შური, ღალატი, ვნების თარეში
 მოგვმადლე ღმერთო შენდობა და ლოცვის წყალობა
 გული წმინდა და სინანულის ცრემლი თვალებში.
 შემინდე, ვითხოვ, ვენამები და გათენება მაშინებს ხვალის
 შენ მოგვიტევე ცოდვები ჩვენი შენი სიწმინდით შენი მადლით გვაცხოვრე
 ამინ!

ელისაბედ ჯავახიშვილი

დახუჭობანა

რა გრძელი არის მანძილი ღმერთო, ჩემიდან შენთან?!
 მუხლი მეევეთის, შიში მიპყრობს, შენი დაკარგვის,
 როდესაც ფიქრი დავიწყე შეზრე და შემიყვარდი,
 მაშინ დაგვარგვე...
 ჩემი გული, მარტოობის ცრემლებით ტირის,
 მუდმივად გეძებს...
 რა გრძელი არის მანძილი, ღმერთო,
 ჩემიდან შენთან?!...
 ფიქრებითაც რომ გამიუცხოვდი,
 მაშინ როცა ანცი ბავშვი, გართობითა და ლხენით
 ვცხოვრობდი, სულ ჩემთან იყავ, ესაუბრობდით,
 ჩემში სახლობდი...
 – სად წახვედი?!
 – რად მიმატოვე?!
 ახლა უფრო მეტად მჭირდები,
 მაწვდიდი აზრებს კეთილშობილებს, სუფთა გულისთქმებს,
 ვლიმილობდით, ვთამაშობდით დახუჭობანას,
 იმალებოდი, მე გპოულობდი!...
 მოდი ახლაც მეთამაშე დახუჭობანა.
 – აი, ხედავ, უკვე ვითვლი: ენკი, ბენკი, სიკლისა...
 თვალებს ვახელ, სად ხარ გეძებ, მოდი გამოდი!...
 ვერ გპოულობ, გთხოვ დამენახვე...
 – რა გრძელი არის, მანძილი ღმერთო, ჩემიდან შენთან!...
 წლები გავიდა, აი უკვე ორმოცდაათიც...
 – აბა, სად ხარ! მოდი გამოჩნდი!..
 ვითამაშოთ ძველებურად დახუჭობანა,
 ვილიმილოთ უდარდელობით, ისევ ვიყოთ ანცი ბავშვები!..
 რა გრძელი არის მანძილი ღმერთო, ჩემიდან შენთან!..



საპავშვილო პრისტიანული ლექსეპი

თიკა გელაშვილი

თოვს და...

ეს რა ხდება, თეთრი ფიფქი ციდან მიწას ეფინება,
რა ხმაური, რის ხმაური, ჯერ ბაჭიას ეძინება.
თეთრი თოვლი ქათქათელა მოდის სწრაფად, განა ნელა,
მდინარესთან ყინვის შუქი თეთრად ბრწყინავს, როდი ბნელა.
გულში ისევ აიშალა სასწაულის მოლოდინი,
დათოვლილი ძელი ხიდი, გაყინული ნაკადული,
თოვს და თეთრი არემარე ემსგავსება სამოთხესო...
ვინც სურვილებს ჩაიფიქრებს ღმერთი ყველას აუხდენსო!
კურკანტელა წითელი და კურკანტელა შავგვრემანი,
ჩიჩილაკი – ხვეულწვერა, ლოლოები – თეთრგვრემანი,
ზარი ბაფთით გადაბმული და ხურჯინი დახუნძლული,
ნაპადმოსხმულ თოვლის პაპას თან მოჰყვება ურიამული.
ურმის ბორბალს მარხილი ცვლის, ირმის ჯოგი ცაზე ჩნდება,
მოაქროლებს, თოვლის პაპას მოვენატრეთ, ვერ გველევა.
თოვს და თეთრი არემარე ემსგავსება სამოთხესო...
ვინც სურვილებს ჩაიფიქრებს ღმერთი ყველას აუხდენსო!
დალლილი და გათოშილი, თეთრ საბანში გახვეული,
თეთრ ყაბალას მობურული და ჭალარად თმახვეული,
როცა სოფელს შუალამეს ზარის რეკვით მოადგება,
ნანატრი და ნაფერები ეს კალნდაც დაგვიდგება.
მურიკელა ძილგამფრთხალი უფრო მეტად გაავდება,
ყურადღებას არვის აქცევს, თოვლის პაპა ელანდება.
არ ცალია მისთვის პაპას, ულვაშებში ელმება,
საიდუმლო ჩასასვლელით ბუხრებს სტუმრობს, გვეფერება.
თოვს და თეთრი არემარე ემსგავსება სამოთხესო...
ვინც სურვილებს ჩაიფიქრებს ღმერთი ყველას აუხდენსო!
ოჳ, რამდენი დრო გასულა, რადგან თოვლი უკვე დწება,
თოვლის პაპა ყანწით ხელში ილოცება, ფეხზე დგება.
ეს ფუსფუსი საახალწლო, ვფიქრობ, ჯერ არ განელდება,
ხოდა, ვიდრე დაღამდება, ცის კიდენი დაბნელდება,
დაგებედოთ თეთრი წვერით ერთად ტკბილად დაბერება!!!
თოვს და თეთრი არემარე ემსგავსება სამოთხესო...
ვინც სურვილებს ჩაიფიქრებს, ნეტავ, ყველას აუხდესო!!!

31



ივეტა პავლიაშვილი

პატარა მცენარეელი

გულთამხილველო იქსო,
გული რომ რწმენით გელისო,
გთხოვ, შეისმინო ვედრება
პატარა მომლოცველისო.

გენი ვარ ქეთევანისა,
შვილი ბედურული ქვეყნისო,

მრავალჭირგადატანილი
რწმენაურყევი ერისო.
კვლავაც დაბადე გმირები,
ურყევი, მტკიცე ნებისო,
ნეტავ რა ვცოდეთ ასეთი,
მხსნელის ხმა რად არ გვესმისო?!
გამოაფხიზლე სამშობლო,
დღეს რომ ბურანში არისო,
ძალი და გონი მიეცი
გვიანი თუ არ არისო.

შენა ხარ ჩვენი იმედი,
იმ ჭირთამთმენი ერისო,

ოლე, №4, 2019





ციური მესებიშვილი

საქორთო წინდები

გუშინ, პაპამ გაპარსა,
თოვლისფერი ბატყანი,
საშობაოდ მოქსოვა,
ბებომ წინდა, – თათმანი.
ჩამომჯდარა ხის ტოტზე,
ჩიტი, ენატანია,
მას რომ არ მოუქსოვეს,
ეს, ვერ აუტანია.
წინდისჩირზე ბებიკომ,
თვლები ისევ დამარცვლა,
მოუქსოვა მასაც და
ცივ ფეხებზე ჩააცვა.

ლალი მიქაია

ნათლისლება

ნათელს იღებს მონა ღვთისა,
დღეს პატარა გაბრიელი,
პატრიარქმა დაულოცა
მას ცხოვრების სარბიელი.
განა მარტო გაბრიელი,
მწკრივში დგანან ლუკა, მათე
ბევრი კახა, ანა, ნანა,
რიგში ჩადგა საბაც მათებრ.



დღეს რომ დევნილად ქცეული,
შინ დაბრუნებას ელისო.
გთხოვ, შეისმინო ვედრება
პატარა მღაღადებლისო,
ილოცე, ჩემს საქართველოს
გამობრნყინება ელირსოს.
გამიუკვდავე სამშობლო,
ყოვლისშემწეო – იესო!...

აჩახჩახებს დღეს სამებას,
სანთლები ვით ნათურები,
ღმერთო, ღმერთო გაუმრავლე,
ჩვენს პატრიარქს ნათლულები.
განა მარტო იორდანე,
აღმა მიდის აქაც მტკვარი,
ათიათას მოწამეთა
დღემდე რომ არს სისხლით მთვრალი.

როზა (მარიამ) ქაშაკაშვილი

ჭადრის მშენებლობაზე

მიხარია მე აქ ვშრომობ,
დიდი ქვებიც დავძარი,
მოდით ხელი შეგაშველოთ,
აშენდება ტაძარი.
დღეს სკოლაში არ მივდივარ,
ტყუილად არ მოვცდები,
ადრე უნდა წამოვფრინდე,
წავიკითხო ლოცვები.
სხვა რა უნდა გავაკეთო,
კარგი ჩემს ბავშვობაში,
გული ხარობს ჩაბმული ვარ,
ტაძრის მშენებლობაში.

სოფიო ჭელიძე

ზარბარეო, ზარბარე!

– ბარბარეო, ბარბარე,
შენ ვის სახელს ატარებ?
– ჩვენზე დიდი მზრუნველის,
როცა გვტკივა მუცელი,
გადინერე პირველი,
სთხოვე წმინდა ბარბარეს,
როცა რამე გაწუხებს,
ეხმარება პატარებს.



მხატვარი
ზაქრო ფიცხელაური

სიცუვა საქართველოს მთავრობის კავშირის XXV ყრილობაზე...

(23 ივნისი, 2019 წელი)

ჩვენო, ძვირფასო თანამოკალმენო, ჩვენო, ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო, მხურ-ვალედ მოგესალმებით მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ სახელით, დიდი ერ-ეკლეს სატახტო ქალაქიდან, გისურვებთ ნაყოფი-ერ, საყრილობო, შემოქმედებით მუშაობას – ჩვე-ნი ქვეყნის, ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის სიკეთის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

ჯერაც, არ გამნელებია უურნალ „ოლეს“ საი-უბილეო, 15 წლისთავის საზემო განწყობილება, რომელიც განვიცადეთ მიმდინარე წლის 21 მაისს. ძირფესვიანად გავაანალიზეთ განვლილ დროში სალიტერატურო, შემოქმედებითი მოღვაწეობა, რითაც „ოლემ“ მტკიცედ და სახელოვნად დაიმ-კვიდრა ადგილი ქართულ მწერლობაში.

ვფიქრობთ, რომ დღევანდელ, შემოქმედებით საქეყნო და სახალხო ფორუმზე, გარკვეული ნო-ბათით მოვედით. ამის დასტურია „ოლეს“ მიმოხ-ილვები, თუ წერილები, რომლებიც ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ პრესაში და, ასევე, თვითონ, უურ-ნალის ფურცლებზე. ჩვენ თავბრუ როდი დაგვახ-ვია – გასულ ოცნებულში, კულტურის სამინ-ისტროს, ორჯერ გამოცხადებულ, კონკურსში, ორივეჯერ, „ოლეს“ გამარჯვებამ, – სტიმულთან ერთად, უფრო, მეტი პასუხისმგებლობა მოგვანი-ჭა.

რაკი ყრილობის საანგარიშო პერიოდი 5 წე-ლიწადს მოიცავს, მეც, ჩვენი, მწერალთა ასოცია-ციის ამ, ხუთწლიანი, შემოქმედებითი მუშაობის – მოკლე ანგარიშს შემოგთავაზებთ.

კახეთის მწერალთა ასოციაციის მთავარი, მაგისტრალური ხაზი, კრედო, მიზანი და ამო-ცანა გახლავთ მწერალთა ახალი თაობისათვის გზის გაკვალვა, აღზრდა, წვრთნა, დაფრთიანება, დაოსტატება. ამ მიზნით, ალბათ, რესპუბლიკაში, პირველებმა, გამოცდილ მწერალთა ორგანიზაცი-ასთან, შევქმნით ახალგაზრდა მწერალთა სექ-ცია, რომელსაც უნიფირესი საბავშვო პოეტი და უურნალის ერთ-ერთი რედაქტორი ნუნუ ძამუკაშ-ვილი ხელმძღვანელობს.

პერიოდულად ვაწყობთ კონკურსებს, – გამარჯვებულებისათვის დაწესებული გვაქვს ჯილდოები: ოქროს დიპლომი, ვერცხლის დიპლო-მი, ბრინჯაოს დიპლომი, სიგელი. ვერსიფიკაცი-ული კულტურის ამაღლებისათვის ეწყობა კონ-სულტაციები, საუბრები, ტარდება ლექციები.

ასოციაციის ასპარეზზე დაფრთიანდნენ და

მწერლური ნათლობა მიიღეს: გიორგი ელიზ-ბარაშვილმა, ნათია და გიორგი ბოტკოველებმა, ქეთევან ნათელაძემ, ალა დათუკიშვილმა, მარიამ დედაბრიშვილმა, მარიამ ქუფარაშვილმა, ანი და ფარნაოზ რაინაულებმა (უმცროსი), პაატა შალამ-ბერიძემ, თამარ ბურნაძემ, ანა ანაშვილმა, ნინო მოსახურებელმა, თეა ყავრელიშვილმა, ხატია კვიკ-ვინიამ, ქეთევან გუგებაშვილმა, მაკა ლარიბაშვ-ილმა, მიხეილ ხალიჩაშვილმა, გიორგი ესიტაშვ-ილმა და სხვებმა. მათს შემოქმედებას „ოლეში“ ეთმობა სპეციალური, ახალგაზრდული გვერდები და კუთხეები.

პერიოდულად, ეწყობა უურნალის მკითხველ-თა კონფერენციები და ასოციაციის მესვეურნი ისმენენ პირუთვნელ აზრს. ასე იყო 2016 წელსაც, – ქალაქ თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკი-სა და მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ერთობლივი ღონისძიებით, 2015 წლის ბოლო, ორი, ნომრისა და 2016 წლის პირველი და მეორე ნომრების მიმოხილვა – ანალიზები. მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები – ნანა რჩეულიშვილი და ნელი ცქიტიშვილი, პედაგოგე-ბი – ნინო ლაჩაშვილი და ლაა ნადირაშვილი.

ძალა ერთობაშიაო და... ერის ბალავარი – ერთობა და არა – დაქსაქსულობა... შემოქ-მედებითი, მეგობრული ურთიერთობა გვაქს: აჭარის, იმერეთისა და მესხეთის მწერალთა ორ-განიზაციებთან. აგვისტო-სექტემბერში გაცვლი-თი ნომრები გამოიცემა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“ და უურნალ „ოლესი“. თავისუფალი ასპარეზი აქვს ქვეყნის ყველა კუთხის ლიტერ-ატურულ ძალებს: „ოლეში“, „ჭოროხში“, „გან-თიადში“, „უქმიერიონში“, „მწვანეყვავილაძი“, „ლიტერატურულ მესხეთში“...

ერთგვარი სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ 2018 წელს, მთელ რესპუბლიკაში, ერთ-ერთმა, პირველებმა, ჩავატარეთ დიდი პოეზიის საღამო დევიზით: – „გადავარჩინოთ – საქართველო, გა-დავარჩინოთ – ქართული ენა“.

ასევე, სიამოვნებით უნდა ითქვას, რომ 2018 წლის აღმანას „ამერიმერის“ მეორე ნაწილის მომზადებაში, აღმანახის მესვეურებს გვერდში დაუდგა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურუ-ლი კახეთი“ და, ახალი ნომრის კურთხევა მოხდა დიდი ერეკლეს ქალაქში.

„ოლე“ კვარტალური უურნალი გახლავთ და, საანგარიშო პერიოდში, გამოსაცემი, 20 ნომრი-





დან, გამოიცა ოცივე.

ამ პერიოდში, ასოციაციის დაწესებული ლიტ-ერატურული ჯილდოებიდან: გიორგი ლეონიძის, რაფიელ ერისთავის, გურამ რჩეულიშვილის, ჟურნალ „ოლესი“, დაჯილდოვნენ: 2017 წელს, გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიით – ზინა სოლომინიშვილი, გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიით – მაყვალა მიქელაძე, ფიქრია ყუშიტაშვილი და რეზო ადამია, რაფიელ ერისთავის სახელობის პრემიით – ნუნუ ძამუკაშვილი, ლეილა თარალაშვილი და გიორგი ბერძნიშვილი.

2018 წელს, ჟურნალ „ოლეს“ ყოველწლიური პრემიები მიენიჭათ: ზალ ბოტკოველს, რეზო ადამიას, თინათინ მრელაშვილს, ნელი ზუროშვილს, მარიამ ძამუკაშვილს, ლანა მანველს, მაია კაკაურიძეს, ზვიად ნეფარიძესა და ნინო ძამუკაშვილს.

2018 წელს, ფართოდ აღინიშნა: ორი, ნიჭიერი პოეტის – ზინა სოლომინიშვილისა და მარინა კოზმანიშვილის იუბილეები.

დიდი მადლიერება უნდა ვთქვათ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი, – საანგარიშო პერიოდში, ორჯერ მოენცო ჩემი შემოქმედებითი საღამო და ჩემს მოღვაწეობას მიეცა ძალიან მაღალი შეფასება, რაც 2015 წელს აღინიშნა ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემიით, ხოლო, 2016 წელს, დაბადების 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებით, მომანიჭეს: ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურული პრემია, 2018 წელს კი, ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, „ლვანლმოსილის წოდება“. 2017 წელს საბავშვო პოეტი ნუნუ ძამუკაშვილი დააჯილდოვეს შიო მღვიმელის ლიტერატურული პრემიით.

მიმდინარე წლის 21 მაისს, ლირსეულად აღინიშნა ჟურნალ „ოლეს“ გამოცემის საიუბილეო, 15 წლისთავი. საქართველოს მწერალთა კავშირმა არც ახლა დაიშურა ყურადღება და „ოლეს“ საიუბილეო, საზეიმო ფონზე, ჟურნალის მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი დააჯილდოვა დავით კლდიაშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიით, რედაქტორი ფარნა რაინა – ქართული კულტურის დესპანის დიპლომით და, რედაქტორი, ნუნუ ძამუკაშვილი – ქართული კულტურის ამაგდარის დიპლომით. პარლამენტის წევრის

გელა სამხარაულისგან და ადგილობრივი ხელი-სუფლებისაგან მათვე გადაეცათ საჩუქრები.

ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო თანამოკალმენო, სათქმელი ძალიან ბევრია, დრო – ძალიან ცოტა. შეუძლებელია, – ხუთ წელიწადში თავდაუზოგავ საქმიანობაზე ხუთ წუთში ილაპარაკო, მაგრამ არ შეიძლება, ერთ-ერთ, არსებით საკითხზე, ხაზგასმით არ ვილაპარაკოთ.

ჩვენ დიდი მადლიერი ვართ კახეთის სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურთა, – კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – ირაკლი ქადაგიშვილის, თელავის მუნიციპალიტეტის მერის – შოთა ნარევლიშვილის, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის – არჩილ თხლაშვილის, რომლებიც, ამ, – ეკონომიკურად და ფინანსურად შეჭირვებულ ქვეყანაში მხარში გვიდგანან იმისათვის, რომ – მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“ და ჟურნალმა „ოლემ“ თავისი ლირსეული სიტყვა თქვან ქართულ მწერლობაში.

აქვე, განსაკუთრებული, მადლიერება გვინდა გამოვხატოთ შ.პ.ს „სერპანტინის“ თავკაცის ზურაბ ფეიქრიშვილისადმი, – საჭიროების დროს, გულისხმიერებისა და თანადგომისათვის. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა ჯეროვნად დააფასა მათი თანადგომა და... გადასცა „ქართული მწერლობის ქომაგის“ საპატიო დიპლომები. ამ, მაღალი, საყრილობო ტრიპუნიდანაც, ერთხელ, კიდევ, ვულოცავ მათ, ლირსეული ღვანლისათვის, პატივის მიგებას.

ამ, საყრილობო ფონზე, არ შემიძლია, ხაზგასმით არ აღვნიშნო – ერთი, ფრიად, სასიხარულო ამპავი, – გულს სალბუნად დაედვა, – მიმდინარე წლის 7 ივნისს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, გამოქვეყნებული ცნობა, რომ: „შეიქმნა საქართველოს მწერალთა გურიის რეგიონული ორგანიზაცია“...

გულმბურვალედ ვულოცავ – საერო და სასიხარულო მოვლენას გურიის მწერლობას, გურიის ხელისუფალთ, გურიის ხალხს და მთელ საქართველოს...

ძმურ ხელს ვუწვდით ჩვენს თანამოკალმებს.

უდიდესი მადლობა ყურადღებისათვის!..

ვარნა რაინა



ନେତ୍ରକୁଳୁଙ୍କୁ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ ଫାରମ୍ପିଲୋ, ନେଣୀ, ଥିବାରେ
କାହାରୁଙ୍କିଲାଏ ଦେଖିଲୁଛା କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ ନୁହିଲୁଛା ଯୁଗ,
ତୁମର ମନ୍ଦିରକୁଳା କୁଳାରୁଛା କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ ନେଣୀ
ହାଲୁଣି - ମନ୍ଦିରକୁଳା ତାଙ୍କିଲାଏ କୁଳାରୁଛା କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ
କୁଳାରୁଛା କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ
କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ
କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ କାହାରୁଙ୍କିଲାଏ

3. የከናዣዎች



ნათლილი ფანტაზი

საგულდაგულოდ ჩაუკავშიროდა, მუხლებზე
გაზეთს ან მიტკლის ნაჭერს გადაიცენდა, მეო-
რე, დაბალ სკამზე მთელ ბლუკა ფანქრებს დაალ-
აგებდა – ფანქარი საწერად წვეტიანი და მაგარი
უნდა ყოფილიყო, სახატავად – რბილი, ხელს
რომ მიჰყოლოდა, მინიატურული ჩანახატებით
დაემშვერინა თავისი ხელნაწერები.

ფანჯრის თლას, ვაზის შესაყელი, პირბასრი დანით შეუდგებოდა.

თლილდა... თლილდა... ფაქტზეად, სიფრთხილი-
ით, რუდუნებით... ფანქარს ქვემოდან საჩვენებ-
ელ თითს დაუყოლებდა, დანისპირსაც თანდათან
წაუცერავებდა, ზედმეტი ძალა რომ არ დაეყენე-
ბინა და წვერი არ წაეტეხა.

ნაუთლიდა ჯერ ერთს, მერე მეორეს... მოკლედ რამდენიც ჰქონდა შეძენილი, ისე ლამაზად, რომ მარტო იმათი ნახვა ღირდა – რომელი სახ-არატო დაზგა მოახერხებდა ფანქრებისთვის ეგრეთანაბრად ძაბრივით თავის წარმოშენებას.

საქმეს რომ მოათავებდა, ნაწილს საწერი მა-
გიდის უჯრაში შეინახავდა, რამდენიმეს კი ხალა-
თის გულის ჯიბეში ჩაილაგებდა ჰილზებივით თუ
ჩოხის მასრებივით.

ფანჯრებს, დედაქალაქში, უფრო ხშირად ოპერის გადმოღმა, წიგნების მაღაზია „ჩირალ-დანის“ საკანცელარიო განყოფილებაში ყიდულობდა ხოლმე. აქ არჩევანი მეტი იყო, თანაცერთი ცხვირდაჭოროვლით, წითურთმიანი გოგო მუშაობდა, რაღაცნაირი, თან შეუხედავი, თან სანდომიანი, ყველასგან განსხვავებული, იმისკენაც მიუჩარდა.

შეიძლება რომელიმე გმირს ამგვანებდა, ანდა აპირებდა რამე დაეწერა ამ გულჩათხრობილ არ-სებაზე, მნერლის დანახვაზე კეთილი ღიმილი ლოყებს რომ ჩაუტვრეტდა ხოლმე.

გოგომ უკვე იცოდა, რომელი ფაბრიკის რო-

მელი ფანქარი უნდა შეეთავაზებინა, თვითონ ურ-
ჩევდა და ამ პროცესში ზოგჯერ ისე ამოხედავ-
და, თითქოს ღრმა ჭის წყლის კამაკამა ზედაპირს
სხივი დაეცა და სინათლე აირევლაო – თქვენი
ახალი მოთხოვობა წავიკითხე „მნათობში“, მორცხ-
ვად ჩაილაპარაკებდა და ესეც უხერხულად აი-
ნიშნებოდა.

მერე? - ძლივს ამოღერლავდა ხმაათრ-თოლებული.

როგორც ყოველთვისაო.

Digitized by srujanika@gmail.com

განსაკუთრებით აი ისაო, ისიცაო... ჩამო-
ჰყვებოდა და...

ეხლა ის მითხარი, რა არ მოგეწონაო, მწერ-აოს უსკართვა აინტერესისგბდესო.

ეგვეთებს თქვენთან რა უნდაო, შეიკრავდა
ნარბს, გული მარტო იმაზე მწყდება ამბები მალე
ე. ე. ე. ე.

ორო ძალაშენებია...
— ისე, მინდა იცოდეთ, ამ ფანქრებს ლოცვას
გამოვაყოლებ ხოლმე, სულ დიდხანს და ასე ლა-
მაზად რომ წეროთ.

- კალიგრაფია მართლაც არა მაქვს ცუდი, -
ჩატარებული მომავალის მნიშვნელობა.

- არა, მე შინაარსს ვგულისხმობ! - თავს გადააწერდა გოგო.

გამოვიდოდა მაღაზიიდან გახალისებული,
გულში სითბო ჩაოვრილი.

მწერალს ბეჭდინერებისთვის სულ ცოტა ჰყოფნის და ხშირად ეს ცოტაც როგორ ენანძეათო, გაიფიქრებდა და ნელი ნაბიჯით დაუყვებოდა ხალხით აზიმზიმებულ პროსპექტს.

გააჩინა წელიწადის დროს – ქუჩაზე ან მზე იღვენთებოდა, ან წვიმდა, ფოთოლცვენა შარი-შურობდა ანდა ფიფქავდა, მშვიდად, ხვავრიელად. მოდიოდნენ ადამიანები სხვადასხვა საფიქრალით, საზრუნავით, ქვაფენილიან აღმართზე ჩამორ-





ბოდნენ ზარის ხმაზე სკოლიდან გამოშლილი ბავშვები, უიუშივებდნენ ბელურებით დახუნძლული ჭადრების ტოტები და ამ ყველაფერს იტევდა ერთი ადამიანის გული, რომელსაც ამდენ ხალხში, აქა-იქა, კელაპტრებივით გამომკრთალი მწერლის თაყვანისმცემლები ან იღლიაში საქალალდე ამოჩ-რილი კოლეგები თუ შეამჩნევდნენ, ხელს აუწევდნენ, მოიკითხავდნენ.

ცოტა ხანში პერონზე სცემდა ბოლთას.

ნავთლულის სადგურიდან დაძრული, ნელი, ზოზინა მატარებელი ზუსტად ზარმაცი კაცის ბუნებისა იყო, თუმცა მწერალს სულაც არ სწყინდა ის დინჯი ჩანჩალი – მიჯდებოდა თავისთვის ფანჯარასთან, სკამის კუთხეში და თვალყურს ადევნებდა ჩამსვლელ-ამომსვლელს, უსმენდა სკამებზე ჩარიგებულ მოსაუბრეებს, ნაქარი ხილივით კრეფდა ახალ-ახალ ამბებს, დიალოგებს, შვიათ, უცხო სიტყვებს. მისი ყურადღებიანი თვალი იმახსოვრებდა ყველაფერს, რაც სამომავლოდ სამაგილ რვეულების „საშენ მასალად“ გამოადგებოდა.

იქნებ ასეთი რამეც მოესმინა:

– აგე, ბიჭო, ჩოკინა გამოჩნდა. ნამდვილი კახეთი დაინტო, საზღვარზე გადმოვედით.

– მესაზღვრესავით კი დამდგარა, ცალი ყურიც ეგრე აქვს აცქვეტილი თითქოს „ჩესტი“ აგვილო.

– კიდევ კარგი საბუთები არ შეგვიმოწმა და ჩანთები არ გინახა, თორემ კონტრაბანდას ხომ ჩამოგართმევდა.

– აბა, აბა, ძაან გადავრჩით! – გაიცინებდნენ, გაილალებდნენ, ახორხოცდებოდნენ.

მატარებელი ფეხნამოკრულივით წაიფორხილებდა, მიანყდებოდნენ ვაგონები ერთმანეთს – ვიღაც მუტრუკი „ავტომუხრუჭს“ ჩამოჰკრავდა, თავის სახლთან დაახრჭიალებდა ბუფერებს, ჯერ ბაზრიდან წამოლებულ ცარიელ ვედროებს ჩაყრიდა, მერე თვითონაც ჩაჰყვებოდა.

უკმაყოფილო მგზავრები დაადევნებდნენ გინების კორიანტელს, მაგრამ საზღვარს აქეთ, საკახეთოში იყვნენ და გინებითა და მუქარით ვიღას გააკვირვებდნენ.

შინ მისული ცოტას შეისვენებდა, გამოიცვლიდა ტანსაცმელს, მოირგებდა სატალახო, მაღალყელიან მძიმე ბათინკებს, მერე აბგას ამოალაგებდა, ჩატოვებდა ერთ წიგნაქს, ფანქრებს, ჩაალაგებდა შოთი პურის ნატეხს, რამდენიმე თავ მწვანე ხახვს და ნივრის ორიოდე კბილს... აბგას ისევ მხარილივ გადაიკიდებდა და ტყისკენ მიმავალ საურმე გზას დაადგებოდა.

გზა რომ მორჩებოდა, ჩირგვიან აღმართზე, ალაგ-ალაგ ჩახრამულ ბილიკებს მიუყებოდა...

მიღიოდა, მიღიოდა, მანქანების, მატარებლების, ადამიანთა და სოფლის ნახირის ხმაურს

გამორიდებული. თანდათან მშვიდდებოდა, წყნარ-დებოდა მიღამოც, ჯავნარებს, შინდიანსა და მაყვლიანებს მაღალი ხეები ენაცვლებოდა, ყოვლის-მომცველ დუმილში მხოლოდ ღობემძვრალა ჩიტი თუ დაიწრიიპინებდა სადმე, ფეხდადგმული კენჭი თუ გაიხრჭიალებდა ან ხმელი წკირი დაიტკაცუნებდა, ფეხქვეშ ხმაურით დაიფშვნებოდა.

მერე თანდათან მომრავლდებოდნენ ფრინველები, ახმაურდებოდნენ, თითქოს მის გამოჩენას მოელოდნენ, აედევნებოდნენ, ბუჩქიდან ბუჩქზე, ტოტიდან ტოტზე ხტუნვა-ხტუნვით მიჰყებოდნენ ჯაფარები, სკვინჩები, ბელურები, ნარჩიტები, ბოლოქანქარები, კვირიონები, ფულუროებიდან უთვალთვალებდნენ ბრძენი ბუები, თუმცა ხმა ესმოდათ მხოლოდ, დღის სინათლეზე რას დაინახავდნენ თავიანთი თვალების პატრონები. კენწეროებს მაღლა ფრანებივით ირეოდნენ ფრთაგაშლილი ბორები... გნიასებდნენ ფრთოსნები, ჭიკჭიკებდნენ, ჭყიოდნენ, ჭყლოპინებდნენ, ჩხაოდნენ, ყრანტალებდნენ და ესეც ღიმილმორეული უსმენდა, უსმენდა... ყველა მათგანი ხომ კარგა ხანია მისი მოთხრობების ფურცლებზე იყო ჩაბუდებული და ეგონა ახლა ვიღაცამ ხელი აუქ-შია, წამოაფრინა.

ხეებშორის, საჭიდაოსავით მომრგვალებულ პატარა ველზე შეისვენებდა, გახედავდა თვალსაწირზე, რუს კლდეებშორის დაკლაკნილი ბილიკის ბოლოში, ცაში გამოკიდულ ეკლესიას, მოიხდიდა მზისგან მოსაჩრდილებელ, ფართოფარფლებიან ქუდს და პირჯვარს გადაისახავდა.

რას და ვის შეავედრებდა უფალს, ხომ გასაგებია და ცხადზე უცხადესი.

ისევ გაუყვებოდა ორხიდიანი მანქანებით ნაბულრავებ თიხნარს, წახრილი მუხები, რცხილები, ნეკერჩხლები ჩრდილებს და შეგრილებულ ჰერეს შეაგებებდნენ.

როცა იქნებოდა მიაღწევდა ნაცნობ, ბებერ ძელქვამდე, ლაფაროსავით წამოხურული ტოტებით იქვე, საგუბარში ნეშოჩაფენილ წყაროს ზემოდან რომ გადაჰჭარებოდა.

საგუბარში ორიოდე მუქა წყალი თუ გროვდებოდა, ერთი კაცი თუ გაისველებდა პირს და მერე უნდა დალოდებოდა ხელახლა როდის შეიგებოდა.

შედგებოდა, აქ უნდა „დაეცა ბანაკი“, მოათვალიერებდა იქაურობას, ჯერ ძელქვას მოიკითხავდა, მჭახე ბოლისთვერ ჯაჭვის პერანგივით მერქანზე ხელისგულს დაუსვამდა. მერე მლოცველივით დაუჩინებდა ფოთლიდან ფოთოლზე დაცურებულ წყაროს ბრჭყვალა წვეთებით გაპიპინებულ ხელისგულისოდენა საგუბარს, დაგოლვილ ყელს გაიგრილებდა და მუხის ძირში ჩამომჯდარი, თვალმოხუჭული გაირინდებოდა.

აქ ყველაფერი ახლობელი და ნაცნობი იყო.





მხატვარი სოფიო ჭელიძე

მიწაზე დაყრდნობილი ხელისგულებით გრძნობდა გამხმარ, გამოფშუტულ, შარმანდელ და მის წინანდელ ფოთლის ხაოს, გარეულ ღორებს გადარჩენილ გამხმარ რკოებს და მათ პანაკინტელა, ფიალებივით მოხდილ ქუდებს, თითებზე გრძნობდა მოფუსფუსე ჭანჭველების, ხოჭოების ნამცეცა საცეცებს... ყველა უყვარდა, დაფაჩუნებაზე სმენადქცეული მაჩვებიც და სოროებში განაბული, ვარდისფერცხვირა სინდიოთალებიც, აქა-იქა მიწოლილი ბებერი კუნძები და ახალტანაყრილი რცხილისა და მუხის კორომები – ცულიანი კაცის ჩავლისას შიში რომ შეათროთოლებდათ ხოლმე...

თვალს იტაცებდა გარეშემო წითლად დალუებული ასკილი და მნიშვნელოვანი შესასვლელად გამზადებული შინდი, გზადაგზა სერპანტინივით მოფენილი შავი და წითელი კუნძელი... ახლა ველური ზლმარტლი, სანადიროდან დაბრუნებულ პაპა-ბიძებს ჯიბეებით რომ მოჰქონდათ ბავშვებთან, ბუერას ამოფარებულ, გადაბერებულ ნიყვებს თუ დაფუტურობებულ ხის გადანაჭრებზე ჩაყვითლებულ სოკოებს ხომ ნულარ იტყვით.

შუქნიშანივით შემონათებული, დაკუნწულებული ძახველი მთლად ტყის მშვენება იყო...

ყველაფერს იტევდა მწერლის მგრძნობიარე გული, ყველას საფიქრალში იხედებოდა... მოკლედ, აქაც თითქმის იგივე ხდებოდა რაც ადამიანთა ყოფაში, აქაურობაც ცოცხლობდა, კუთავდა, იბრძოდა არსებობა-გადარჩენისთვის, მაგრამ სოფელ-ქალაქისგან განსხვავებით მიწა და ტყე აქ

უფრო ბუნებრივი, ლმობიერი, ნამდვილი მფარველი და ალალი იყო თავის ნაშიერთა მიმართ – შობდა, ზრდიდა, აპურებდა, უფრთხილდებოდა, იფარავდა ავი თვალისაგან...

ხილული თუ უხილავი ფერადი ფანქრები აქ უნდა დახარჯულიყვნენ ჯადოქარი ბუნების სამსახურში, ჩამოლეულიყვნენ სანთლებივით თითებში და მერე ეს სასწაული, წერის ნიჭით მომადლებულ ადამიანს ისე გადაეტანა ფურცელზე, რომ წითურთმიან გოგოს წიგნიდან ეგრძნო ტყის სილივით ჯიბეებით მირთმეული სიტყვების სურნელი...

მწერალი იმთავითვე კეთილი, მზრუნველი „პაპა“, ყველას ამყოფინებდა, „სამაგიდო რვეულებიდან“, კიმპალ-კიმპალ ამოკრეფილი სიკეთის მარცვლებს...

უყვარდა ადამიანი, სიძულვილით კალამს არ დაამძიმებდა.

ნამდვილ მყითხველს ახსოვს მისი „მთვრალი ხევსური“:

„არამ სისხლ მიაქვსო!“ – ზოგი ახლაც შეჰდრინოს ჭანჭყობში გაშოტილმა, მძინარე, ქინქლადახვეულმა ხევსურმა, ჩინელი ან ინდოელი ინვესტორი რომ წამოაგდებს, აქაურობა ჩემიაოდა ხმანავრილებული ფეხებს დაუბაკუნებს...

ეჭ, „არამ“ კი არა, სუფთა, კამკამა, საჯიშე სისხლი მიაქვთ... მიაქვთ... და ქარი ამაოდ აუღარუნებს ბეთლემის კარზე დაკიდულ ოუა ჯურხაის ფარ-ხმალს...

პირველად უნივერსიტეტში ვნახე.

ახლგაზრდა მწერალთა წრის წევრებითა და ლიტერატურის მოყვარულებით სავსე აუდიტორიაში, მუხრან მაჭავარიანთან და მერაბ ელიზიშვილთან ერთად მოვიდა.

ერთმა ლექსები წაიკითხა, მათ შორის ისიც, „ნაკუნ-ნაკუნ“ კი არა,“ და ლამის დაინგრა აუდიტორია.

მეორემ ბრძანა, „ბებერი მეზურნეები“ ეგეთები იყვნენ და ეგრე გადავიტანე ფურცელზე. რო არ გადამეტანა, დაიკარგებოდნენ, დაჰკარგავდა მყითხველიო და რათა, ადამიანებო, რათ უნდა დაკარგულიყვნენ თბილები, ტკბილები, თავიანთი მოფუსფუსე ცოლებითა, გორის ციხის ძველუბანშიო...

ახლაც დავცხეთ ტაში.

გამობრძანდა ესეც, გაიხსენა თავისი სტუდენტობის წლები. ნიკო კეცხოველს ემადლიერებოდა, ის რომ არა, შეიძლება უნივერსიტეტი არც დამემთავრებინა და ეგებ არც კალამი ამეღოო... ალბათ თავმდაბლობით თქვა, თორემ, როგორ წარმოვიდგენთ კალამი რომ არ აეღო (უფრო სწორად, ფანქარი)?

მთავარი, რაც დამახსომდა:

მიყვარს რუსული პროზაო, ჩამოთვალა





მისთვის ფასეული მწერლები და მგონი იური ნაგიძინზე, თუ ვიქტორ ასტაფიევზე ბრძანა, დიდ პატივს ვცემო, მაგრამ ერთი პასაჟის შემდეგ გული გამიცივდა, როცა თავის მოთხრობაში ბავშვის თხელი, სიფრიფანა ყურები „პელმენს“ შეადარა... მწერალს დიდი სიფრთხილე მართებს, კალამი რომ არ გაექცეს, ბავშვის ყურები პელმენად არ მოეჩვენოს და, მითუმეტეს, ეს მკრეხელობა წიგნში არ შეიტანოს.

თან მხრებანურული ბოდიშობდა, რა ვქნაო, მე ეგეთი ვარ, მე ეგრე ვფიქრობ და სხვამ თავისი საქმისა თვითონ იცოდესო.

სწორედ ეგეთი გვიყვარდა.

მახსოვს, მოგვიანებით, მწერალთა კავშირში, განხილვაზე, ერთ ახალგაზრდა მწერალს შეუქო მოთხრობები, მაგრამ ბოლოს ესეც უთხრა, ცოტა მომეჩვენა, რომ შენს გმირებს ზოგჯერ მომეტებული სისასტიკით ექცევი და თუ ჩემს რჩევას მიიღებ...

ალმური მოედო იმ ახალგაზრდა მწერალს, გაუანანებდა, სახეზეც დაეტყო და ლამის უკადრებელიც შეჰქადრა.

გაშალა გაოცებულმა და გულნატკენმა ხელები, შვილო და ძმაო, მეეო, ალალათაო, დანარჩენი როგორც გენებოსო...

დიდ, გაბუტულ ბელურას ჰგავდა, სიმართლეს რომ არ უჯერებენ...

გავიდა ხანი.

ამღვრეულმა დრომ დაუნდობლობის, სიძულ-

ვილის, დაპირისპირების ლორლი და შლამი მოიყოლა.

მოხდა ის, რასაც ვერაფრით წარმოიდგენდა მწერალი – გაიხლიჩა ერი და ქვეყანა.

მოიწყინეს წაუთლელმა ფანქერებმა.

დღეს ალარც ისეთი რუსთაველია, მაშინ რომ იყო, ალარც „ჩირალდანი“ – რაღაც მოდურმა ოფისებმა დაიცყრეს ჩვენი სათაყვანო და თავმოსაწონებელი პროსპექტი, წიგნს ფულმა აჯობა. ფულის წამლეკავმა ყვითელ-მწვანე ნიაღვარმა გაიტაცა, იმსხვერპლა ის ლიტერატურის მოყვარული წითელთმიანი გოგოც. ალბათ, უსამსახუროდ დარჩენილი, „ახალმა ტალლამ“ ამოაგდო თევზივით წაპირზე, მწერლის ერთი გმირივით, სადღაც „დაპლიმის ტროტუარის პირას ამობზიულ ბალახებს, მაგრამ იმნამსვე თითქოს რაღაც სამწუხარო ამბავი გაახსენდება და ადრინდებულად მოენაცრება სახე“.

და ალარც მწერალია.

წამდვილი შემოქმედი ხომ სულ ბრძოლაშია და ადრე თუ გვიან ამ ბრძოლაში იღუპება, როგორც მეკავშირე, წინა ხაზზე, სანგრების თავზე რომ გადარბის და დაწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენას ცდილობს.

მწერალიც დაეცა – ასე მგონია უფალმა არ გაიმეტა, ოთხმოცდათერთმეტის დეკემბრის ძმათამკვლელი ომით გულშეძრული, გაუკულმართების გზაზე დამდგარი ქვეყნის საცქერლად, სატანჯველად და თავისთან წაიყვანა.

ნითელი ნინაკა

– ჰოდა, იმას ვამბობდი, აუჭერს-ჩაუჭერს, ეს ჩვენი ლინდლა... თუმცა რა ჩენია, მეხი მაგას დასცემია, შემთხვევით შემოესწრო ჩემი ბიჭის ქორწილის მეორე დილას გაშლილ სუფრას.

მოეკიდა, მაგრამ მაინც ბოლომდე ყლურწავს, წვერს არა ტროვებს. მერიქიფეს, ჩემს უმცროს ბიჭს თვალით ვანიშნე, ცოტა მოუკელი, ჭიქას ბოლომდე ნუ გაუვსებ-მეთქი.

ღინდლას რამეს გამოაპარებ? ახლა იმას აუხირდა, შენაო, ძმისშვილო, ჩემი წილი არაფერი დამაკლო, თორემ ძიასთან გექნება საქმეო, გაძვალებულ მკერდზე თითო მიიკაუნა.

ამასაც რა ექნა, უფროს კაცს ხო არ აუხირდებოდა, მარტო კბილები დააკრაჭუნა და ვიცი, მამაილაა, სადამდეც მოსათმენია, მოითმენს და მერე...

მიუმარჯვა ჭიქა ამან, ღინდლამ და, ეგრევე ჩაუჩეკაფუნა, მოაპირქვავა საღვინე. ისევ „დავემუქრე“, თვალებით, რა თქმა უნდა, ჭკუას მოუხმე-მეთქი.

აიჩეჩა მხრები, ვითმენ, მეტი რა ვქნაო.

კიდევ არ ასვენებს ამ ჩემი ცოდვით სავსეს

გამჩენი. ეს ჩემი ქმარი, თან მასპინძელი, თან თამადა, აყალმაყალს ხო არ ატეხავს ოჯახში, უთმენს, ხუმრობაში უტარებს, თუ ჩემი წათქვამი არ მოგწონს, უკეთესად შენა ბრძანე, ოღონდ მაცალე, დაგამთავრო, სადღეგრძელოს ჩამორთმევა რა საკადრისიაო, ცოტა ხნით ჩააცხობს, ჩააშოშინებს, მაგრამ ღინდლა თუ ატყდა, ვიღაა ამის გამჩერებელი.

გვაჩვენეთ, ხალხო, პატარძალი, ვისია, სადაურია, თქვენ რომ დაგინათესავდნენ, შვილი გადასაგდები ჰყავდათ თუ რააო.

ღინდლამ ღიახი როგორ უნდა გიხსენოს, ქაა, თავისი მატრაკვეცა ცოლ-შვილის პატრონმა.

აპერა ალმურმა ამ ჩემ ქმარს, აენვა ღანვისთავები და მოვუარე ზურგიდან, ვიდრე ცეცხლი აბურბურდება, რომ დროულად ჩავაქრო.

ახლაც მოითმინა, მაშ, აბა, შენ ეგა თქვი, ლამაზი, წასწავლი და ყოჩალი გოგო ჩვენთვის როგორ გაიმეტეს, მაგრამ ხო გაგიგია სიყვარული ბრმა არისო.

კიდევ რაღაც გაიხუმრა, ღინდლამ უშნოდ, უგერგილოდ.



აიღო ჩემმა ქმარმა მწვანილში მიმალული ყვითელი ბულგარული წინაკა და ვითომ ხუმრობით უთხრა, ეს საჭმელად მოტანილი არ გეგონოს, ვინც სუფრას ამირევს, იმას უნდა ვაჩვენო – გაფრთხილება მივცეო.

თუ მაინც არ დაგემორჩილა, მერეო?

მერეო, ჩემო ბატონო, თუ მაინც კიდევ აურია, სხვა საშუალებაც გვაქვსო, მწვანილიდან ახლა მამლის ბიბილოსავით გადარკალული, წითელი წინაკა გამოიღო და მაღლა ასწია.

ატყდა სიცილ-ხარხარი, რასაც შენ არ მოიგონებო.

გაისუსა, მოილუშა ღინდლა, ჩაქრა წყალ-მოპურებული ნაცარტუტივით, ჩაწყვიტა ხმა, მაგრამ ნეფე-პატარძალი რომ შემოვიდნენ, დალია კიდევ და ისევ გადაუბრუნდა გონება, აუტყდა პატარძალს, მაშ მართალი არ ვყოფილვარ? ამ მაიმუნ დაგაჯულს როგორ გაჲყევიო, ვითომ თვითონ მხარბეჭს ვეღარ ერევა... ეტყობა „პლარ-წი-პლურწებით“ მოგხიბლეს, თორემ საამათოდ ვინ გაგიმეტებდაო.

ერთხელ თქვა, გაიცინეს, მეორედაც გაიცინეს, მესამედ, ძაან რო შეაწუხა ნეფე-პატარძალი, დამკვრელებს ანიშნა ჩემმა ქმარმა, აბა, ერთი თქვენებურად შეუბრეთო, გაშლილ მარჯვენა ხელში დაიჭირა წითელი წინაკა, ცეკვა-ცეკვით სუფრას შემოუარა და ღინდლასთან გაუსვა ცერი, გადმოდი, ერთი ცეკვაში გნახო რა ბიჭი ხარო.

ისიც ყინჩად გადმოხტა. დაბზრიალდა ჩიკორივით, ჩაბუქნა და ნამეტანი მოუვიდა, გადაიზნიქა, უკან ნაყირავდა, მაგრამ დაპერა ხელი მინას და მაშინვე ყოჩალად ნამოხტა. ტაში-ტუში, ტაში-ტუშიო, წრეს შემოუცევა... აცალა ჩემმა ქმარმა და გულნაჯერებმა ღინდლამ როცა სუფრასთან მოინდომა დაბრუნება, წინ ჩაუდგა, აქეთ აღარ გამოუშვა, რამდენჯერაც გამოიწია, იმდენჯერ აეფარა, თან, აკი გითხარი ცხვირთან იმ წითელ წინაკას უთამაშებს.

წვალობს ღინდლა, ხან მკლავქვეშ სცადა გა-მოძრომა, ხან შემოვურბენო, იფიქრა, მაგრამ ჩემი ქმარი კედელივით აღიმართა, გასაქანი არ მისცა,



39

მხატვარი სოფიო ჭელიძე

უკან-უკან დაახევინა და თვითონაც მიჰყვა...
მიუხვდა ღინდლა ოჯახის უფროსს განზრახვას, მაგრამ რა ექნა, იხტიბარს ხომ არ გაიტეხდა, კიდევ სცადა დასხლტომოდა, არწივივით გამოენავარდა სუფრისკენ... ვერაფერი გააწყო, თამა-დამ ეგრე, ცეკვა-ცეკვით მიაბუნდულა ეზოს ბოლომდე... ლია ჭიშკართან ჩაუდო ჯიბეში წითელი წინაკა და, აბა, როგორც მოსვლით გვასიამოვნე, ისე ნასვლით გაგვახარეო...

ღინდლა გაისტუმრა, უკანაც ცეკვა-ცეკვით წამოვიდა, პატარძალთან თავი დახარა და, ჩემო რძალო, არც ისეთი უხეიროები ვართ, როგორც დაგვახასიათეს, ეხლა მე და შენ უნდა ბური ავა-დინოთ აქაურობასაო.

ჩაეთამაშა ისიც და...

ეჰ, რა ბედნიერი დღე იყო.

არა, „პლარწი-პლურწი“ მაინც რამ მოაფიქრა, ქაა, იმ ცოდვის კოკორასა, იმასა, არ გიკვირს?



მხატვარი
ზაქრო ფიცხელაური

ოლქ, №4, 2019

თამარ კოლეგიატული

၈. ပုဂ္ဂနိုလ်ရွှေဝင်



ნეტვი, შემოქმნას...

ჩუმი სალამო... სანთლის შუქი... თეთრი ფურცელი,
თრთოლვით და განცდით იბადება ლექსი, – პატარა,
ქალალდზე, უკვე, ბინას იდებს ფიქრი უთქმელი,
მანამდე, მთელი არემარე შემომატარა...
მაგრამ, რაც მსურდა, ვერ ჩავტიე ლექსში სათქმელი,
ღამეა... სახლში ვბოლიალობ ჩუმად, მალულად,
დრომ დამიგროვა სულში დარდის კორიანტელი,
გარეთ კი უკვე ალიონი შემოპარულა...
ფურცელი დავწევი, გავაყოლე სულის ნანილი,
თითქოსდა, მუზაც, სწორედ, ამგვარ წუთებს უცდიდა,
ნეტავ, შემეძლოს ცოდვაც, ასე, ფერფლად ვაქციო,
მერი, – (კხოვრება გავაგრძელო სუფთა ფურცლიდან...)

ტევილს ჩავილავ...

ზოგჯერ, დღები უსასტიკესს ჰევანან ჯალათებს,
მიგვაქანებენ საბოლოო ბედისწერამდე,
სევდის აჩრდილი სასტუმალთან მოიკალათებს,
რა შორი გზაა, გზა, ძირფასო, ახლა, შენამდე.
გადაკარგულა იმედებით სავსე ზმანება
და ჩემი სული ახალ-ახალ ტკივილს იმატებს,
გაგა წლები და... ვიცი, მერე, დაგენანება,
შენ, ჩემთვის, ნებით გაღებული მთელი სინაზე,
ჩემში, რაც იყო - უსასოო, ახლა გამქრალა
და, თუ, ნუკრივით უბედობაც გულს დამისერავს,
ტკივილს ჩავიკლავ, თვით ტკივილი... და... ცრემლგამშრალი -
ქარს მივენდობი, ლერნამივით, ნირშეუცვლელად...



წვიმს

წვიმს... მოლზე, ჩუმად, განერთხა წვიმა,
სულს ჩამელვარა ცივი წვეთები,
ზეცა ქვითინით შესჩივლებს მინას
და ჩემს სარკმელზე მოეხეთქება...
ფერი შეცვლიათ გალუმპულ ფოთლებს,
ზეცა, ხანდახან, წვეთებით ტირის,
ცა უნანიებს მოკვდავებს ცოდვებს,
მინას აესხა ცრემლების მძივი...

წალკოტს ედრება სიტურფე შენი,
ვავედრებ უფალს, რომ გააბრნებინოს:
ქართველთა მოდგმის ჯიში და გენი...

წაჭვრა...

ჭრელაჭრულა მინდვრები,
ფეხით მომავლევინა,
ყაყაჩო და გვირილა
გულზე დამაბნევინა...
ტყეში – ცივი, ანკარა,
წყარო დამალევინა,
შორს, მიუვალ მწვერვალზე,
ფეხი დამადგმევინა...
ზეცის – მაღალ, კიდეზე,
ხელი შემახებინა,
ყველა, – ჩემი ნაგრამის
ლხენა მანატრებინა,
მერე? – უფლის კალთაზე,
თავი დამადებინა...

გაზაფხულს ველი...

აბორგებულა გული და ნერვი,
ფერი წასულა ყაყაჩოს მსგავსი
და ზამთრის ბინდში გაზაფხულს ველი,
მოუთმენელი და რწმენით სავსე...
ზოგჯერ, – არაფრის, არა ვარ ლირსი,
თითქოს, სამყაროც გამხდარა კუშტი,
ბედისწერაა: ესეც და... ისიც,
რაც არის დღეს და რაც იყო გუშინ...
ავიტან მარცხს და... ხვალ, აღარ მოვთქვამ,
თვითგემით ტანჯულს მეხდება სული,
დამღალა, მუდამ, ყინულზე ფორთხვამ,
შენც, სწორედ, ახლა, მატკინე გული...

მშობლებს...

ჩემო მშობლებო, ო, გული მტკივა,
ისევ, უთქვენოდ, მოსულა მარტი,
დედას ჰგავხარო, – მეტყვიან ხშირად,
მე კი მეგონა, რომ მამას ვგავდი...
მაშინ, ვერ ვგრძნობდი, – მუხთალი უამი,
ჩასაფრებული თუ, იდგა კართან,
რომ ჩვენ, ყველა, ვართ დროის სტუმარი
და, ბოლოს, მაინც ეშვება ფარდა...
როცა თქვენ მყავდით, „გულში მზე მენთო“
და არ ვიცოდი, რა იყო დარდი,
როგორ მაკლიხართ... საით გეძებოთ?..
ისევ უთქვენოდ, მოსულა მარტი...

მამულო, ჩემო...

მე, ყველაფერი, მიყვარს ქართული,
მე ეს – ხეც მიყვარს, ეს – მთაც,
ეს – მდელოც,
სხვა საფიცარი არ გამაჩინია,
მე შენით ვცოცხლობ, მამულო, ჩემო...
შენი ცა გვხურავს წმინდა მანდილად,

41



ოლქ, №4, 2019



ირეა კეპელიപი

42



ოქროს ზოდი

სამოცდათვრამეტ წლამდე მიღწეული ჭარმაგი
მამაკაცი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. არ უყ-
ვარდა დიდხანს ძილი, ზოზინი. გამოენისას, უთე-
ნია წამოდგებოდა ხოლმე და ადრე გაზაფხულის
სუსტიან, ცივ დილას ეზოში გამოვიდოდა. კოური-
ან უხეშ ხელებს ცივი წყლით დაიზელდა და ცას
გახედავდა. იმ დილასაც ასე იყო. შინდან გარეთ
გამოსულმა ჩვეულებრივ ხელები დაიზილა და ცას
გახედა. მთის მწვავე მზემ თვალებში შეანათა, მა-
გრამ მხოლოდ თვალები კი არა, გულიც გაუნათა.
იდგა უხმოდ, გარინდული და ცას გაპყურებდა.
შემდეგ მისმა მზერამ ირგვლივ დათვალილ მოები-
სკენ გადაინაცვლა. ფეხებზე ვიღაცის ხელის შეხება
იგრძნო. დახედა და გაეღიმა. პატარა წუცა ბაბუს
ფეხებზე შემოხვეოდა. გაზაფხულის ნიავი წაბლის-
ფერ გამლილ თმებს უწენვადა. გოგო ცდილობდა
ერთი ხელით თმები მოეწესრიგბინა, მეორეთი კი
ბაბუს ფეხს ჩასჭიდებოდა. თვალებმოჭუტულმა
მოხუცს ახედა და წკრიალა ხმით წაუტიტინა: „გრი-
შა ბაბუ, დედა შენზე გაპრაზებულია“. მაღალმა,
ახოვანმა მოხუცმა სქელი ჭალარა წარპები შეკრა
და ისე უპასუხა; „რატომ, ჩემო პატარავ, რას
ვაშავებ?“ გოგომ ისევ წაიტიტინა; „არც ისაუზმა,
არც წამალი დალია და ამ სუსხიან დილას გარეთ
ისე გავარდა თბილი ქურქიც არ ჩაიცვაო“. ბაბუს
გაეღიმა. პატარა, თმაგანენილი გოგო ხელში აიყ-
ვანა და სიცივისგან განითლებულ ცხვირის წვერზე
აკოცა. შემდეგ ცისკენ აიხედა და წუცასაც ანიშნა
ზემოთ აეხედა. „ხედავ, ბაბუ, მზე გამოვიდა, შიგ
თვალებში გვანათებს. თვალების გავლით გულამდე
ჩადის და მთლიანად მალამოდ ედება მთელს ჩვენს
სულს, გულსა და სხეულს. რომელი წამალი შეედრე-
ბა?! მზის სხივებზე უკეთესი წამალი არ არსებობს“.
თვალებმოჭუტული პატარა გოგო უაზროდ იყურე-
ბოდა ხან ცისკენ, ხანაც ბაბუს ნაოჭებიან შუბლს
მიშტერებოდა. შემდეგ გრიშას გულმკერდზე მიადო
თავი და ისევ გაუმეორა: „დედა ძალიან გაპრაზდება
თუ წამდვილ წამალს არ დალევ“. წუციკომ ბაბუს
მკერდთან რაღაც სიმაგრეზე შეხება იგრძნო. დაინ-

კულონის დირექტორმა, ჭაბაშვილიმა, თბილის უნივერსიტეტის დოცონმა თავი ვერ შეიკავა და გენოს ეკითხა: „რას აჩვინო, გენო, რა ოქრო, გრძელს ხომ კულონის ჭაბაშვილი მუდავ „ვეფხისტესანას“ ადამიერდა?...“ ხომ ქადაგს თვალწირებულის ახელა და უპასუხა: წორედ მაგ გრძელზე ვლიანდოკუნდოთ. გრძელს ხომ ეფხისტესანას“ ოქროს ზოდს ეძსხდა. ნაძირლერ-მოსულს თავში რაღაც ჩავარდეს და ტყე-ლრეში დაავადეს. ეგონათ ხელში მაჯალულო იქრო შერჩეოთ. გრძელს თავთან ფაგილებული უტოვნია პოლიტიკას ეს გნი და ამ დილით მე გადამიწეს”.

o. კუცონიძე

ჟერესდა, ბაბუს გულის ჯიბე ხელით მოსანვა და მოხუცს ჰქითხა: „აქ რა გიდევს, ბაბუ, რა არის ეს მაგარი?“... გრიშა შვილიშვილს წაბლისფერ განენილ თმებზე მოეფერა და სხადაბლა უპასუხა: „ეს ოქროს ზოდია, ბაბუ... ოქროს ზოდი...“ ბავშვმა თვალებში შეხედა და ისევ მიუტიტინა: „შენია ეს ოქრო, ბაბუ? აქ ინახავ?“... მოხუცმა ცას გახედა და ძალიან სხადაბლა, თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა: „მხოლოდ ჩემი არა, ბაბუ... ჩვენია, ყველასი!“ შემდეგ ხელში აყვანილ შვილიშვილთან ერთად სახლისკენ შებრუნდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „შინ შევიდეთ, ბაბუ, ჩემს თავს არ ვჩივი, შენ არ გამიცივდე. დედიკოსაც ძალიან ნუ გავაბრაზებთ...“

შეუადლე უფრო მეტად მზიანი იყო. სვანეთის მთის ძირას, პატარა შეფენილ სოფელს, მთის მწვავე მზე დაუზოგავი სოუხვით აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს. სოფლის შარავგზაზე გაყინულმა, გაქვავე-ბულმა თოვლმა დონბა დაინწყო. მინა დარბილდა და ალაგ-ალაგ თოვლა ტალახი შეერია. სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები ტალახარეულ თოვლში ტყაპა-ტყუპით მიაბიჯებდნენ და მობუზულები სასკოლო ჩანთებით ხელში ცდილობდნენ ჩქარი ნაბიჯებით ევლოთ და შინ დღოულად მისულიყვნენ. სოფლის შეუაღლები ძველისძველი ქვის პატარა სახლი იდგა, სადაც გრიშას უმცროს მეგობარს, გენოს დუქანი გაეხსნა... დუქანი არა მხოლოდ სურსათით ამარ-აგებდა სოფლის მოსახლეობას, არამედ სოფლის თავკაცთა შეკრებისა და შეზარხოშების ადგილ-იც გახლდათ... ფოლადის მძიმე, სვანური ლუმელი დუქნის კუთხეში იდგა, რომელშიც საგულდაგუ-ლოდ შეწყობილ და ცეცხლმოკიდებულ შეშას სასი-ამოგნო ტკაცატკუცი გაჰქონდა. იქვე მდგარ დაბალ ხის მაგიდას სამი ახალგაზრდა შემოსხდომოდა. მე-დუქნე გენოს სტუმრებისთვის სახელდახელოდ გაე-შალა სუფრა. სახლში გამომცხვარი პური, სვანური სულგუნი, შეხვილად დაჭრილი მოხარშული ლორი, მოხარშული კარტოფილი, ლუმელში გაფიცხებუ-

ლი კუბდარი, მწვანე პომიდორის მწნილი, სვანური მარილი და სვანური რახი, ერთი სიტყვით, რაც კი მოახერხა, ყველაფერი გულით მიართვა გზად მიმავალ და მის დუქანში შემთხვევით შემოსულ სტუმრებს. მასპინძელს არც კი უკითხავს, ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდნენ ან სად მიდიოდნენ. დუქნის კართან გაჩერებული შავი ჯაიძან გადმოსული სამი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ახლა მის დუქანში სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ისხდნენ და მადიანად სადილობდნენ, კარგად შეზარხობულები იყვნენ, როდესაც დუქანში ძლიერი ნაბიჯებით სოფლის ბრძენებაცმა შეაბიჯა. „მობრძანდი, გრიშა ბატონი, მობრძანდი! დაბრძანდი ღუმელთან, გათბი“, მიაძახა მედუქნემ ახლადშემოსულს და პატარა ხის დაბალი სკამი მიაწოდა ახლადშემოსწრებულს. მოხუცმა დაბალ სკამზე საგულდაგულოდ მოკალათა და გაციებული, გაყინული ხელები მოგიზგიზე, გახურებულ ღუმელს მიუშვირა. გენო სტუმრებს მიუბრუნდა, ორივე ხელი გაშალა და ხმამალო მიმართა: „ბედი გქონიათ, რომ გრიშამ შემოგისწროთ. ეს კაცი სოფლის თავკაცია, სოფლის ბურჯია, სოფლის ტვინია, სოფლის იმედია. შეზარხობულმა სამეულმა ალმაცერად შეხედეს „სოფლის ბურჯა“ და ერთმანეთს უღიმდამოდ გადახედეს. „დროზე უნდა გავაგრძელოთ გზა, თორემ დაგვიღამდება, სერიოზულ საქმეზე ვართ ჩამოსულები“, – წარმოსთქვა ტყავის შავ ქურთუკში გამონაყობილმა, თავგადაპარსულმა ახალგაზრდა მამაკაცმა და გენოს თვალი თვალში გაუყარა. „მართალი ხარ, ბესო, დროი წავიდეთ“, – დაეთანხმა გვერდით მჯდომი წითერი მეგობარი. „ანგარიში მოგვიტანეთ და წავედით, თორემ დაგვიღამდება წამდვილად“. აჟყვა მესამე, შავგვრემანი მამაკაცი.

გენომ შუბლი შეკრა და მკაცრი ხმით უპასუხა: „რა ანგარიში, რას ბრძანებთ. ჩემი ოვახიდან მოტანილი რაღაც ერთი-ორი ლუკა მოგართვით გზად მიმავალ სტუმრებს და ამას როგორ გიანგარიშებთ. რომ დაგავინანდათ, არც მაგაზე იდარდოთ. ღამეს ისე გაგათევინებთ, რომ არ შევრცხვებით. ასე არ არის, გრიშა?!“ გრიშამ თანხმობის წიწნად თავი უხმოდ დაუქნია და მის გვერდით მჯდომ შავგვრემან მამაკაცს მხარზე ხელი დაადო.

შუბლშეკრულ ახალგაზრდებს სახეზე ღიმილი მოერიათ და ერთმანეთს რაღაც ამოუცნობი იდუმალი მზერით გადახედეს. „დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ დღის ბოლომდე ადგილზე უნდა ვიყოთ. მნიშვნელოვან საქმეზე მივდივართ, ძალიან რომ არ გვეჩარებოდეს, თქვენთან ყოფნას რა სჯოს, დამეც სიმოწინებით დავრჩებოდით“. – წარმოსთქვა თავგადაპარსულმა და რახით საესე ჭიქა მეგობრებს მიუჭასუნა... „ნამდვილად ასეა, ისეთ სერიოზულ საქმეზე მივდივართ, რომ ციხის აღება, ჩვენს საქმესთან შედარებით, არაფერია!“ – წარმოსთქვა წითერიმიანმა, რახით საესე ჭიქა ბოლომდე დაცალა და მაგიდაზე დაახეთქა. „გეთანხმები, ასეა, მაგრამ კაცი არ ვიყო, თუ ეს „ქაჯეთის ციხე“ არ ავიღო! დამიჯერე, ფრიდონ, ყველაფერი

მაგრად იქნება!“ – მიმართა შავგვრემანმა წითერს. „მჯერა შენი, მიხო, ჯიგარო, მჯერა! შენი იმედით წამოვედით. „ქაჯეთის ციხის“ აღებას გაუმარჯოს!“ – ხმამალლა წარმოსთქვა წითერმა და შავგვრემანს იმედის თვალით შეხედა.

ღუმელის გვერდით მჯდომმა გრიშამ ჭალარა წვერზე ხელი ჩამოისვა და ახალგაზრდებს შეხედა. შემდეგ ჭიქაში რახი თვითონვე ჩაისხა და დინჯად წარმოსთქვა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან, სვანეთში. თქვენს შორის ერთ-ერთი ფრიდონიც ყოფილა. თან „ქაჯეთის ციხის“ აღებაც გადაგინყვეტიათ. თქვენმა საუბარმა ნურადინ ფრიდონის თათბირი გამახსენა „ქაჯეთის ციხის“ აღების წინ...“ მოხუცმა ლექსის კითხვა დაიწყო:

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნო, სამუშაითოდ
მზრდიდიან,
მასწავლენ მათი საქმენი, მახლტუნვებდიან,
მწვრთნიდიან,
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ
მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა
ინატრიდიან...

გრიშამ რახით საესე ჭიქა პირთან მიიტანა და ცოტა მოსვა. ახალგაზრდები მოხუცს მიშტერებოდნენ. გენომ მათი მზერა იგრძნო და დინჯად მიმართა: „ეს გრიშაა, სოფლის ტვინი, სოფლის ბურჯი. მან შოთას „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის. ის ჩვენი განძია, ჩვენი სინდის-ნამუსია. გაგიმართლათ, რომ თქვენ, შემთხვევითმა მგზავრებმა, იგი გაიცნით“. გრიშა წამოდგა, მარცხენა ხელით პირვევარი გადაიწერა და თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ისე დაიწყო: „მე რა განძი ვარ, ერთი ბეხრენი ბერიკაცი ვარ. ანკი ისეთი რა გამიკეთებია, რომ „სოფლის ტვინს“ მეძახი. ამ სოფლის განძი ჩვენ ყველანი ერთადა ვართ... რაც შეხება წამდვილ განძს ჩვენი ქვეყნისას, ჩვენი ერისას, მე მას ყოველთვის თან ვატარებ. ის ჩემი ოქროს ზოდია. აი, აქ, გულის ჯიბეში მიდევს. არ ვიცა, რამდენ ხანს ვიკოცხლებ, მაგრამ ჩემს ბადიშს სულ იმას ვუმეორებ, რომ ეს „ოქროს ზოდი“ ჩემი ჯიბიდან არ ამოიღონ, თან გამატანონ... იმ ქვეყნადაც გამიჭირდება ჩემი „ოქროს ზოდის“ გარეშე ყოფნა. სული უკვდავიაო და თუკი ასეა, ჩემს სულს ამ განძის, ამ „ოქროს ზოდის“ გარეშე იმ ქვეყნად ყოფნა გაუჭირდება. ჩემი „ოქროს ზოდი“ ჩემთან უნდა იყოს. ის ყველაზე დიდი შენაძენია, რაც კი ამ ქვეყნად შემიძენია...“ გრიშამ თავის სათქმელი თქვა და დინჯად დაეშვა დაბალ ხის სკამზე...

გრიშას შემცურე თავგადაპარსულმა ბესომ კისერი წაიგრძელა და მზერა მის მარცხენა გულისპირთან არსებულ ჯიბეს მიაპყრო. შემდეგ მზერას არ დასჯერდა და გრიშას ჯიბე მარჯვენა ხელის თითებით საგულდაგულოდ მოსინჯა. ხელში რაღაც მაგარი საგანი მართლაც იგრძნო. საესე შეეცვალა და მოხუცს ინტერესით ჩაეკითხა: „რა სტევი, ბაბუ, რაო, რაო? ამ ჯიბეში ოქროს ზოდს ინახავ?“ გრიშა თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ



იღებდა. ბესოს წითური ფრიდონიც აპყვა და მოხუცს შეზარხოშებულმა, თავჩაქინდრულმა გაუმეორა: „რას ამბობ, ბაბუ, ჯიბით ოქროს ზოდს ატარებ?... თანაც ასე თავისუფლად, ასე სოფელ-სოფელ და არ გეშინა?“ მოხუცმა წითურს გაოცებულმა შეხედა და დინჯად უპასუხა: „რისი უნდა მეშინოდეს?... ამის გამონე შავგვრემანმა მიხომ ხელი ხელს შემოჰკრა და შეჰვირია: „ვაჲ, გენაცვალე, რა ვაჲკაცი ყოფილხარ! ოქროს ზოდი ჯიბეში გიდევს და არაფრის გეშინა? ბაბუ, ერთი ეს მითხარი, ნაღდი ოქროა?“ მოხუცმა თავი დაუკრა და ისე უპასუხა: „დიახ, ნაღდი ოქროს ზოდია, თანაც ბაჯალლო, შეუფასებელი ბაჯალლოა!“ შემდეგ გენოს მიუბრუნდენ და სამივემ კითხვების კორიანტელი დააყარეს: „ვინ არის ეს კაცი, რა გვარის კაცია, საიდან აქვს ამხელა ოქროს ზოდი?... მთლიანი ჯიბე გამოტენილი აქვს ამხელა ზოდით?... ნაღდი ბაჯალლოა თუ ხუმრობს და გვასიაფანდებს?... დაუკერებელია, საიდან ამ მოხუცს ეს ოქროს ზოდი?“ გენო ალალად, ღიმილით სამთავეს თავს უქნევდა და ისე პასუხობდა: „კი, ნამდვილად ოქროს ზოდი უდევს ჯიბეში. ხომ გეუბნებით, გრიშა ამ ოქროს ზოდის, ამ განძის გარეშე არსად არ მიდის. აკი თვითონაც ამბობს, გარდაცვალების შემდეგაც თან გამაყოლეთ, იქაც მჭირდებაო!“ პირზე დუშმორეულმა, უკვე საქმაოდ შეზარხოშებულმა ბესომ თავი ველარ შეიკავა და ხმამალლა შესახა: „იქ რაღაში სჭირდება. სანამ ცოცხლები ვართ განდი მანამ უნდა მოვიხმაროთ“. წითურმა ფრიდონმა არ დააყოვნა, ისე შეაგება: „თანაც რა განძი, ოქროს ზოდი!“ შავგვრემანმა მიხომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „ბაჯალლოს ზოდი, ნაღდი ბაჯალლოს!“ შემდეგ დაცლილი ჭიქები კვლავ რახით შეავსო და ფეხზე წამომდგარმა წარმოსთქა: „ბატონო გრიშა, თქვენ გაგიმარჯოთ! თქვენი სახით თუ ასეთ განძს ნავაწყდებოდით, რას ვიფიქრებდით?!“

დაფიქრებული გრიშა სამიეცს აკეირდებოდა, შემდეგ თვალზე ცრემლმომდგარმა თავისი ჩვეული დაბალი ხმით დინჯად დაიწყო:

მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,

ნუ ამოპფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა...

ამასობაში დუქანში ნუციკომ მოაკითხა გრიშას. მოხუცთან მივიდა, მუხლებზე ჩამოუჯდა და ყურში უჩურჩულა: „ბაბუ, წამოდი, დედა გაბრაზდება, წამალი გაქვს დასალევი, წევეაც უნდა გაგიზომოს“. მოხუცმა ბავშვს თეთრ, ფუმფულა ლოცაზე აკოცა და ხმადაბლა უთხრა: „შენ წადი, ბაბუ, და დედა დააწყნარე, მეც მალე მივალ...“ ნუციკომ განაწყენებულმა შეხედა გრიშას და უთხრა: „ბაბუ, წუ დალევ, დედა გაბრაზდება, წამალი გაქვს დასალევი!“... გრიშამ შვილიშვილს გაულიმა და ანიშნა, რომ წასულიყო. განაწყენებული ნუციკომ დუქნიდან მარტო გავიდა და სირბილით დაადგა შინისაკენ მიმავალ თოვლჭყაპიან გზას.

მოსალამოვდა. გენოს დუქანში მჯდომ და მოქიფე სამ ახალგაზრდა მამაკაცს „ქაჯეთის ციხის“



მხატვარი სოფიო ჭელიძე

აღებაც დავიწყებოდათ და ალბათ ისიც აღარ ახსოვდათ, რისთვის ჩამოვიდნენ სვანეთში, რატომ გჩჩერდნენ გენოს დუქანში, სად მიდიოდნენ და საიდან მოდიოდნენ. მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: „ოქროს ზოდი... საიდან, როგორ?... ნაღდი ბაჯალლო!... საოცარია, რა უნდა გრიშას ჯიბეში ოქროს ზოდს... გაგვიგია, სვანეთში მდინარეშიც პოულობენ ოქროს კენჭებსო...“ – გაიძახოდნენ და თან შეშლილი სახით და გადიდებული, ამღვრეული თვალებით გრიშას გულ-მკერდზე მარცხენა ჯიბეს მიშტერებოდნენ.

გრიშამ იგრძნო, რომ სასმელი მოერია და ფეხზე წამოდგა. ახალგაზრდებს შეხედა და მორიცებით მიმართა: „შინ უნდა წავიდე, შეილიშვილი გავანაწყნე, შეილიც განიცდის, წამლის მიღება დავაგვაანე“. წითურმა ფრიდონმა გრიშას ხელი გადახვია და ჩურჩულით უთხრა: „ბაბუ, შენ აქედან მარტოს, ფეხით ვერ გაგიშვებ, ჩვენ მიგაცილებთ სახლამდე...“ მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ხმადაბლა უპასუხა: „კი ბატონო, თანახმა ვარ, ამაღამ ჩემი სტუმრები იქნებით, ხვალ გააგრძელეთ გზა, სადაც მიდიხართ. მადლობა ვუთხრათ გენოს მასპინძლობისთვის, დროა ჩემს ოჯახში გადავინაცვლოთ!“

მოხუცი და სტუმრები ფეხზე წამოდგნენ. გრიშა კიდევ ერთხელ მიუბრუნდა გენოს და მადლიერების ნიშნად თავი დაუხარა. შემდეგ ახალგაზრდებთან ერთად დუქანი დატოვა. წითურმა ფრიდონმა შავი ჯიპის კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. ბესომ და მიხომ უკანა კარებები გამოაღეს და მოხუცს მანქა-

ნის უკანა სავარძელზე დაჯდომაში მიეხმარნენ. თვითონ კი აქეთ-იქით შემოუსხდნენ. დუქანში დარჩენილი დაღლილი გენო მანქანის უკანა კარებების დახურვისა და ადგილიდან სწრაფად მოწყვეტის ძლიერმა ხმამ რაღაცნაირად შეაშფოთა და გამოაფხიზლა.

* * *

მოხუცმა თვალი გაახილა. „უაზროდ აქეთ-იქით იცქირებოდა. „სად ვარ, რა მჭირს, ვისთან ვარ?... – გაიფიქრა და თეთრხალათიან ახალგაზრდა გოგოს უაზროდ შეხედა. ახალგაზრდა მედდამ მოხუცს გაულიმა და გახარებულმა ჰკითხა: „გაიღვიძე, ბაბუ? კარგია გონს თუ მოხვედით!“

საავადმყოფოს ფოიეში პატარა ნუცა და დედამისი წინ და უკან გადი-გამოდიოდნენ. შენობის გარეთ თითქმის მთელი სოფელი შეკრებილიყო. მე-დუქნე გენო იქვე ხის გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო, თავი ხელებში ჩაერგო და ხმამაღლა მოსთქვამდა: „ჩემი ბრალია, მე დავდუჭე. ვის ვენდე, ვის გავატანე მოხუცი კაცი. ვის ვენდე, ვის?... ადამიანები მეგონენ, თურმე ყაჩალები ყოფილან. მეზობელ სოფელში „ქაჯეთის ციხის“ ასაღებად მივდივართო. თურმე მათი ახლობლისთვის შვილს უცხოეთიდან ფული გამოუგზავნია სოფელში სახლის ასაშენებლად და მის გასაქურდად მიდიოდნენ. საცოდავ კაცს ნიღბებით შევარდნიან, იმასაც წინააღმდეგობა გაუწევია და მოუკლავთ ამ სულძალებს, ამ ტარტარობებს. დღეს დილით მესტის პოლიციაში ყველაფერი დაუფექვავთ... ნაძირლები!... მე ვარ მოსაყალავი, მე! როგორ ვანდე ჩვენი სოფლის იმედი ვიღაც ნაძირლებს. იმ უწმინდურებს ეგონათ, რომ მოხუცს ჯიბეში მართლა ოქრო ჰქონდა“. გაოგნებული მეზობლები გენოს მიშტერებოდნენ. სკოლის დირექტორმა, ტანმორჩილმა, თმაჭალარა ქალბატონმა დიდომ თავი ვერ შეიკავა და გენოს ჩაეკითხა: „რას ამბობ, გენო, რა ოქრო, გრიშა ხომ გულის ჯიბით მუდამ „ვეფხისტყაოსანს“ ატარებდა?... გენომ ქალს თვალცრუმლიანმა ახედა და უპასუხა: „სწორედ მაგ განძზე ვლაპარაკობდით. გრიშა ხომ „ვეფხისტყაოსანს“ ოქროს ზოდს ეძახდა. ნაძირლებმა მოხუცს თავში რაღაც ჩაარტყეს და ტყე-ლრეში გადააგდეს. ეგონათ ხელში ბაჯაღლო ოქრო შერჩებოდათ. გრიშას თავთან დაგდებული უპოვნია პოლიციას ეს წიგნი და ამ დილით მე გადმომცეს“. გენომ სკოლის დირექტორს დასისხლიანებული „ოქროს ზოდი“ მიაწოდა და უხეში ხელებით ცრემლები მოიწმინდა. ქალბატონმა დოდომ წიგნი ხელის კანკალით გადაშალა. სისხლის ლაქებს შორის გადარჩენილი სტროფები ქალმა მისდაუნებურად ხმამაღლა ამოკითხა:

მო, დავსხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი გვდის
შეუშრობელი:
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა
შობილი!
დავჯე, რესტველმან გავლექსე, მისთვის
გულლახვარსობილი,

აქამდე ამბათ ნათქვამი, ან მარგალიტი ნუობილი.

პატარა ნუციკო საავადმყოფოს შენობიდან ეზოში შეძახილით გამოვარდა და ხმამაღლა გაჰყვირდოდა: „ბაბუმ გამოიღვიძა! ბაბუმ თვალი გაახილა!“ მთელი სოფელი გარს შემოერტყა პატარა გოგოს. ზოგი სახეგაღიმებული შესცეკროდა, ზოგსაც გული აჩუყებოდა და ცრემლს ვერ მალავდა. ნუციკო კი ხელებში იდგა და ყელმოღერებული ტიტ-ინებდა და არ ჩერდებოდა: „ბაბუმ გაიღვიძა თუ არა, ლექსად დაიწყო ლაპარაკი. „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა დაიწყო... მოიცა... მოიცა... გამახსენდა, რაც თქვა: „ვა, სოფელო, რას შეგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზენ გჭირსა! ყოვლი შენი მინდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად ალფებრი სადათ ძირსა! მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“ სოფლის მოსახლეობა გაოგნებული უყურებდა პატარა გოგოს, რომელმაც სულმოუთემელად ჩამოარაკრაკა „ვეფხისტყაოსნის“ პატარა ეპიზოდი. გენომ თავი ვერ შეიკავა, ხელი ხელს შემოჰკრა და გახარებულმა შესძახა: „ნახეთ, ამ პატარა კუდრაჭამაც როგორ ზეპირად ჩამოარაკრაკა „ოქროს ზოდის“ სტროფები?!“ აქეთ-იქიდან შეძახილები გაისმა: „რა გასაკვირია, ვისი შვილიშვილია არ იცით?!... ესეც ბაბუის კვალზე დგას!“ ნუციკომ ყელი მოიღერა და ლაპარაკი განაგრძო: „ბაბუამ მე და დედა ვერ გვიცნო. „ვეფხისტყაოსანი“ კი მაინც ახსოვს. ექიმმა სთხოვა, „ავთანდილის ანდერძი“ წამიკითხეო და ისიც უშეცდომოდ წაიკითხა. ექიმმა მე და დედა დაგვამშვიდა და იმედი მოგვცა, რომ ცოტა დრო სჭირდება და თქვენც გიცნობთ და ყველაფერს ძალიან კარგად გაიხსენებსო...“

* * *

სამოცდათვრამეტი წლის მოხუცს არ უყვარდა დიდხანს წოლა და ზოზინი. უთენია ადრიანად წამოდგა და ზაფხულის ლამაზ, მზიან დილას ამ-წვანებულ ეზოში გამოვიდა. ხელები დაიზილა და ცას გახედა. მთის მზემ თვალებში შეანათა, მაგრამ მხოლოდ თვალები კი არა, გულიც გაუნათა. იდგა გარნიდებული და ცას გაჰყურებდა. შემდეგ მისმა მზერამ ირგვლივ ამწვანებულ მთებისკენ გადაინაცვლა. ფეხებზე ხელის შეხება იგრძნო. გაიღიმა. პატარა, თმაგაწენილი გოგო ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. ნუციკომ ბაბუს გულის ჯიბეში მაგარ საგანს ხელი შეახო. მოხუცი შვილიშვილს წაბლისფერ, განენილ თმებზე მოეფერა და ხმადაბლა ყურში უწურჩულა: „ეს ოქროს ზოდია, ბაბუ, ოქროს ზოდი!“ ბაბუმა თვალებში შეანათა და ისე უპასუხა: „შენს ოქროს ზოდს ისევ აქ ინახავ, ბაბუ?“ მოხუცმა ცას გახედა და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უპასუხა: „მარტო ჩემი არა, ბაბუ, ჩვენია, ყველასია!... შემდეგ ხელში აყვანილ პატარასთან ერთად სვანეთის მოკრიალებულ ცას გახედა, მზის სხივებს კვლავ თვალებში შეხედა და გულში ჩახუტებულ შვილიშვილს წაბლისფერ თმებზე ეამბორა...“

ରାଜ୍ୟାନ୍ତେ
ବୀରପାତ୍ର

46



ଫୋଟୋ, ଫୋଟୋ...

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლქ“ №4, 2018 წელი, №1, №2, 2019 წელი.

* * *

სამხრობისას წვიმამ ისევ წამოუშინა. გივიმ მსხლის ნერგის შემოთხოვნა მიატოვა. უცებ მანქანის სიგნალი გაისმა. თოხი საწვიმარ ღარს მიუმარჯვა და თავიშველი ჭიშკრისკენ გაემართა. კარი გააღო. კართან უცხოური მარკის მანქანა იდგა. გაუკეირდა, ნეტავ ვინ უნდა იყოსო. სანამ მიუხლოვდებოდა, მანქანის კარი გაიღო, მოხდენილი ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვიდა და ახორბელივით გადაეხვია.

- მგონი ველარ მიცანი, - მხიარულად წარმოთქ-
ვა ქლალომიანმა. ოდნავ შემცბარმა გივიმ დაკვირვე-
ბით შეათვალიერა უცნობი და თვითონაც გაედიმა,
მერე ხელუბი დაიფერთხა, შარვალზე გაისვა და ისე
ჩამოართვა ხელი.

— სად დაგვეკარგე, კაცო. აკი შემოგვილითო, თუ მაინცდამაინც წვიმას ელოდებოდი. ეს ორი დღეა დროგამოშვებით ცრის. გადაიღებს — მოწვიმს, გა- დაიღებს — მოწვიმს, თავი მოგვაპეზრა. აა, გადაიღო კიდევ, მგონი თქვენი მოსვლა გაუხარდა. ხედავ, მზე- მაც მონატრებულივით გადმოგვედა, — თქვა გახ- ალისებულმა. — ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, ხომ არაფერი ეწყინა-მეოქი. კარში რას ვდგავართ, ახორავ გავალის, შემოიყვანი მანქანა.

გივი შებრუნდა და ჭიშკარი ფართოდ გააღმ. ასწავლაში მანქანა გზიში შეიძლოს რაოდ.

— ირინე, გამოდი, ნახე ვინ გვეწვია, — შესძახა
მიღოლის დედოფლი.

კარმა გაიჭრიალა. პარმალზე გამოსული, შილი-ფად ჩაცმული ირინე ყუალთმიანს შეეფეთა, რომელ-საც ლომილო არ შორიობითა სახითან.

— უა! — შეჰკველა ქალმა და ისევ სახლში შევარ-
და. გივი და ულალთმიანი დიდი ხნის ნაცნობებივით
საუბრობონა.

- აქამდეც მინდოდა თქვენთან მოსვლა, -
თოძილი თავი ისროლა საჭურავისა - მარტამ ვერ

— მეტმის შენი, ჩემო კარგო, — ობილად დაი-
ნუ ულალთიანიანია, — ვიუ, ამ მოვიქერა მანერულამინი
სწორად. მართალია, როგორმე უნდა შემცეცყორინებინა,
მაგრამ ვერ მოვახერხე. გარაუფერელი საქმე მქონდა,
ჩემი ჩამოსკლით კი ის საქმე გაფუჭდებოდა. მოვაგვარე
და ჩამოვეწი. შენ რას ფიქრობდი, დავიყიკოგებოდი? ამ
ფულს აგახედვი? ჩემო კარგო, მე შენთან დიდი გეგმე-
რი მაქვს. ნინ დიდი საქმეებია, რომელსაც მარცო ვერ
მოვერევი. ის ფულის ჩამოგიჭანე თავისი პროექტებით,
როგორც შეგვიძლია.

၁၀၂

ଶୁଦ୍ଧାଲ୍ପତମିଳାନ୍ତି ମାସକିନ୍ଦେଇଲ୍ସ ନର୍ଦନାବ ହିମାଳୟରେ,
ଓଜ୍ବେଳି ମନୋନାଚୁପ୍ରଳା, ଆୟାବେଳ୍ପୁଲ ବାରଦୀରେ ଦୁଃଖିଙ୍ଗ ଗାନ୍ଧେରା
ରୁ ବିର୍କାତାର ତଥା:

- მგონი გავუტიე, ჯობია ასეთ თემებზე სხვა
ორისა ვისაუბროთ

ବୀରପାତ୍ର କାହିଁ

— გონი ბატონი! რა დაუვინწყარი სალამონ მომიწყვეტ მაშინ, მთელი ცხოვრება არ დამავიწყდება. ასეთ მოკლე დროში, ასეთი განწყობილი სუფრა არ-სად შემზევდრია. დღემდე ვერ ვმალავ განცვითრებას. ბარაქიანი ოჯახი გაქეს, გივი, ბარაქიანი და ლმერთმა ბარაქა ნუ მოვაშაოოს.

— კარგი კაცო, — თავი დალუნა გივიმ, დაიმორცხ-
ვა. — რა საოაძო. ერთი წელილიძევი ვაჩშეაძი იყო.

ამასობაში ორინე ბავშვთან ერთად მოწესრიგებული, კეკლუცი და მომზიბელებული გამოვიდა. უდალ-თმიანს სახეგაცისკროვნებული მიუჟახლოვდა და მიესაომა.

ულალთმიანმა ყურადღება დედასავით ლამაზ,
ხეთიორე წლის პიჭქ მიაპყრო, რომელიც დაიდის კა-



ბას ისე ჩაჰაფრენოდა, თითქოს ვინმე მის წართმევას აპირებდა. პატარა სტუმარს ცნობისმოყვარეობით უცეკრდა. ულალთმიანი ბავშვს მიუხალოვდა, ხელში აიყვანა და მიეალერსა. თან ეკითხებოდა: „რამდენი წლის ხარ, მალე სკოლაში წახვალ და დედიეოს უნდა დაუჯერო, კარგად უნდა ისწავლოო“.

ყველანი ეზოში გამოეფინენ.

— სახლში შევიდეთ, ხალხო, ნამგზავრ სტუმარს ასე ვინ ხვდება, მომჭერით თავი და ეგაა, — თქვა საკმაოდ სიმპათიურმა მხცოვანმა მამაკაცმა. ულალთმიანი ბერიკაცს გახედა და ფიქრმა გაუჟღვა, ახლა ასე გამოიყურება და ახალგაზრდობაში ალბათ ბადალი არ ეყოლებოდა. წამიერად წაიოცნება, ნეტა მეც ასე ლამაზად დავბერდეო.

— უი, მომიკვდეს თავი, — შეიცხადა ირინემ და ისევ სახლში შევარდა.

— რა გვეჩქარება, ბატონო, სახლში შესვლა, თქვენი თვალი შეჩვეულია ამ სილამაზეს, მე კი მინდა, კიდევ ცოტა ხანს დავტკბე ამ პატარა წალკოტს ცეკრით. მაშინ, უდრობის გამო, ყველაფრის წახვა ვერ მოვასნარი. ეს ვარდები სულ აყვავებული როგორაა, კაცო? — მისწვდა და დაყნოსა, — რა საამური სურნელი აქეს, გაგაბრუებს კაცს.

— აქ სხვადასხვა ჯიშის ვარდი ერთ მწკრივში მიჯრითაა დარღული და მორიგეობით ყვავილობს. უცხოს ეგონება, მარად მოყვაილე ბუჩქიაო. — უპასუხა გივიმ და ფაქიზად გადაუსვა ხელი აყვავებულ ვარდებს. სტუმარი ისევ ეზოს ათვალიერებდა. მორიგეობით ხან ერთ მსხმოიარე ხეს შეავლებდა თვალს და ხან მეორეს.

— ეს რა ჯიშის მსხალია, ორშიმოებივით რომ ჰკიდია ხეს?

— ჯიშის რა მოგახსენო, მაგრამ გემო მართლაც საამო აქვს. დიდხანს რჩება ხეზე, ლამის პირველი თოვლის მოსვლამდე. სიმწიფემდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია, მაგრამ რომ დამზიფდება, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. — პასუხობდა გივი.

— ეგ ხები არსად გაგეჩევათ, შინ შემოდით, ყველაფერი უკვე მზად მაქვს, — დაუძახათ ირინემ.

მას შემდეგ ულალთმიანი კიდევ არაერთხელ ეწვია გივის ოჯახს. ყველანი კარგად გაიცნო და ყველას თავი შეაყვარა, განსაკუთრებით მათ პატარა ვაჟს. უსაჩუქროდ არასდროს მიდიოდა. ერთ დღესაც გივიმ და ირინემ მორიდებით უთხრეს: „თუ არ გვიუკადრისებთ, მეგობრული ურთიერთობა წათესაურმი გადავზარდოთ, იქნებ ბავშვი მოგვინათლოთ“.

— კეთილო ხალხო, — გაუხარდა ულალთმიანს, — ეს ჩემთვის დიდი პატივია. ნათლიობაზე უარს როგორ გეტყვით. მართალი გითხრათ, მეც ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ თქმა ვერ გავბედე. ნათლია ლვთის წინაშეა პასუხისმგებელი ნათლულის სულიერ აღზრდაზე.

— არა მგონია თქვენზე უკეთ შეძლოს ვინმემ ამის გაკეთება, — თქვა ცრემლმორეულმა ირინემ.

— ერთი თხოვნა მექნება, ხალხმრავალ წვეულებას წუ გავმართავთ, ცხოვრება ჭირს და ხალხს წუ გავაღიზიანებთ.

ნათლობა მაინც უხესტუმრიანი გამოვიდა. ულალ-

თმიანმა თავისი ხელგაშლილობით ყველა გააოცა. პატარას ძვირფასი საჩუქარი აჩუქა. არც დიასახლისი დავიწყებია და ულამაზესი კულონი — ხელოვნების ნამდვილი ნიმუში თავისი ხელით ჩამოჰკიდა ყელზე, რომელიც ფიქრივით თეთრი მერდის ღრულში გველივით ჩასრიალდა. ქალს სახე აელენა და მადლიერებისგან თვალზე ცრემლიც კი მოაწვა.

დრო ზოგისთვის ჩეარა გადის, ზოგისთვის — ტა-ატით და მოსაბეზრებლად. ულალთმიანი ხან გამოჩნდებოდა და ხან გადაიკარგებოდა. როცა გამოჩნდებოდა, ხალის შემოჰკინდა არა მარტო გივის ოჯახში, არამედ სამეზობლოშიც. ყველას თბილად მოიკითხავდა და დაამატებდა, ხომ არაფრით შემიძლია დაგეხმაროთ. უბანში კარგა ხანს სხვა სალპარაკო არაფერი ჰქონდათ, — ნეტავ ეგეთი ნათლია ჩვენც შეგახვედროს ღმერთმან. ზოგიერთი შურიანი კი იტყოდა, ტყუილად არავინ არაფერს გაგიკეთებსო. ულალთმიანი კი ისე გაუშინაურდა ოჯახს, აღარც დაძხება სჭირდებოდა და არც კარზე დაკაკუნება. უსაჩუქროდ არასოდეს მოდიოდა.

პატარას ამჯერად სათამაშო მანქანა ჩამოუტანა, რომელიც ჰედლებით გადაადგილდებოდა. ბავშვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მეზობლის ბავშვებს დაუძახა და იყო ერთი ურიამული — ხან ერთი იჯდა საჭესთან, ხან მეორე. ოქროსკულულა ნათლულს ხელი ნათლიისთვის ჩაეჭიდა და ბავშვებს გახარებული უცეკრდა. უფროსებიდან ეზოში არავინ გამოსულა.

— დედიკო სადაა? — ჰკითხა ნათლულს.

— ბაბუასთან. ავადა ბაბუა. — პატარამ ისე უპასუხა თანატოლებისთვის თვალი არ მოუცილებია.

ულალთმიანმა მოურიამულე ბავშვები მიატოვა და სახლში შევიდა. ოჯახის ნათლიას დიასახლისი გამოეგება. შეწუხებული სახე ჰქონდა. ულალთმიანმა ჩვეულებისამებრ სიყვარულით მოიკითხა და ბოლოს ჰკითხა:

— რა დაემართა ბაბუას, რა სჭირს?

— უჱ, — შეიცხადა დიასახლისმა, — მთლად გამოვშტერდი, სკამიც კი არ შემოგთავაზე. ჩამოჯექი, ძმაო, ჩამოჯექი, — და სკამი გამოუწია.

ულალთმიანი ჩამოჯდა. ირინემ კი თხრობა განაგრძო:

— რაღაც უცნაური სენი შეეყარა, ჩამოხმა, მახსოვრობა დაუქვეითდა, ითიშება, სულ გალიზიანებულია, ჭირვებული გახდა. ძლივს ველაპარაკებით. გვითხრეს, თავში აქვს პრობლემები, სასწრაფო პერაციასა საჭიროო. გივი ფულის საშოვნელადაა წასული. არ ვიცი, რა გვემველება. მაგრის საცოდაობით ვკვდებით. — ცრემლი გადმოლვარა შეწუხებულმა ქალმა.

ულალთმიანი წამოდგა, მხრებზე ხელი მოხვია და დამშვიდებას შეეცადა.

— ნუ გეშინია, გამოსავალი აუცილებლად გამოჩნდება.

— ბავშვსაც კი გაურბის. — ფშლუკუნს აგრძელებდა ქალი. — ბავშვმა რაღა დაუშავა.

— დაწყნარდი, ტირილი რას უშველის, — და ლა-





მხატვარი სოფიო ჭელიძე

მაზ პირისახეზე ცრემლი მოუწმინდა. — მოვიდეს გივი და ერთად გადავწყვიტოთ როგორ მოვიქცეთ. ცოცხალი ადამიანი გამოსავალს ყოველთვის ნახავს. გალიზიანება და ნერვიულობა საქმეს უფრო გააფუჭებს. დაველოდოთ გივის. ავალ, მოხუცს მოვინახულებ.

შესაბრალისად გამოიყურებოდა სწეული. მოეფერა და გაამხნევა. არც ღიმილი დავიწყნია და არც ჩეელი იუმორი. ყელა ღონეს მოვიხმარ და აუცილებლად გამოკეთდებიო, — დაამედა. მოხუცს ცრემლი მოერია და თვალში იმედის სხივი გაუკრთა.

— ეგ ყველაფერი ქალების ბრალია, ქალების, — თვალი ჩაუკრა უდალომიანმა.

— რა ქალების, კაცო, — გამოცოცხლდა ბერიკაცი.

— ახალგაზრდობაში ალბათ მოსვენება არ გექნებოდა, შენისთანა ლამაზი კაცი აქ მეორე არ შემხედრია. — გულ უკეთებდა ნათლია.

— ქალები რამ გაახსენა, — ღიმილი გაუკრთა დამჭუნარ სახეზე მოხუცს.

უდალომიანს ცოლაქმრის საუბარი შემოესმა.

— ძერფასი საჩუქრებით ბავშვს ნამეტნავად გვინებივრებს, როგორ უყვარს, როგორ ეფერება. ბავშვიც რომ არ სცილდება?

— ბავშვები გულწრფელები არიან, სადაც სითბოს ნახავენ, იქით მიუწევთ გული. ამ კაცს სითბო არ აკლია.

ირინე სუფრას შლიდა და თან ქმარს ელაპარაკებოდა.

— იქნებ ჭური მოგეხადა, ხომ იცი, როგორ უყ-

ვარს ჭურიდან ახლად ამოლებული ღვინო.

— ახლავე, ახლავე, — დაფაცურდა გივი, — რა დიდი საქმე ეგ არის. გამოვიცვლი და გაგალ.

დიასახლისმა ჭიქები მაგიდაზე ჩამოაწყო და სანამ ქმარი ფაციფულობდა, ჰეითხა:

— ფული იძოვე?

გივიმ მხრები აინურა და ნაღვლიანად უპასუხა:

— ვერა. ალარ ვიცი რა გზას დავადგე.

ქლი სკამზე მოწყვეტით დაეშვა. უდალომიანმა ბერიკაცს მოუბოდიშა, კიბეზე სწრაფად დაეშვა და გივის გასძახა:

— არ გინდა, გივი, ნუ შეწუხდები. არავითარი ღვინო, მექქარება. საქმეზე მივდობი და ბავშვის სანახავად შემოვირბინე. მთავარზე მინდა გესაუბროთ. იცით, ეს ოჯახი რომ უზომოდ მიყვარს, ისიც იცით, რომ თქვენთვის უკან არაფერზე დავიხევ. ახლა იმას ვფიქრობ, რით დაგეხმაროთ. რაც ფული მქონდა, საქმეში დავაბანდე. მანქანაც გავყიდე, ასე რომ, დროებით უფულოდ ვარ, მაგრამ რჩევა შემოძლია მოგცეთ, — უდალომიანი ჩაფიქრდა, თითქოს ჭოჭმანობდა. მერე ირინეს მიაპყრო თავისი ზღვასავით იდუმალი მზრა, — შენი ძვირფასეულობა უნდა დაგაღომბარდოთ. საჭირო თანხას ავიღებთ და მოხუცს გადავარჩენთ. ძვირფასეულობის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი მე ვარ. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს. იფიქრეთ და გადაწყვიტეთ.

ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ბოლოს ირინემ თავი წამოსწია და თქვა:

— სხვა გამოსავალი მართლაც არ გვაქვს, კაცის სიცოცხლე ბენზიზე ჰეიდია.

ბევრი ალარ უმსჯელიათ. ირინე მეორე ოთახში გავიდა და მალევე სამუალებიანი მომცრო ზარდახშით დაბრუნდა. ზარდახშა უდალომიანს გაუწოდა და ცრემლიანი თვალები შეანათა. კაცს გააურულა და სწრაფად თქვა:

— ფულს ორ დღეში მოგაწვდით.

სტუმარი ჭიშკრამდე მიაცილეს. გასვლისას უდალომიანმა ცოლაქმრის გამოხედა, გაულიმა და კარი გაიხურა.

* * *

სიცხისაგან დაოსებული მაღაზიის მომსახურე პერსონალი სულის მოსათქმელად რიგრიგობით გამოდიოდა ეზოში. მოსახევიდან შუქაბდლვრიალებული უცხოური მარკების ავტომანქანა გამოჩნდა და მაღაზიასთან გაჩერდა. საიდანაც უკანასკნელ მოდაზე ჩატული შაგპიჯაკიანი და შაგსათვალიანი მამაკაცი გადმოვიდა. თეორ პერანგს გემოვნებით შერჩეული ჰალსტუხი უმშვენებდა. ხელში დიპლომატის შავი ჩანთა ეჭირა. მანქანის კარმა დაიკაპუნა და დაიხურა, რომელზედაც ინგლისურად ენერა „კრაისლერ ბარონი“. მგონი ვიღაც ბარონი გვეწვია, ვის არ გადაეყრები მაღაზიაში, — გაიფიქრა სულის მოსათქმელად გამოსულმა ეკამ. მამაკაცი ეკას მიუახლოვდა, თავი მდაბლად დაუკრა და მიესალმა:

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ეკა!





ეკა დაიბნა, აიწურა, თვალები აახამხამა და ენის ბორძიკით მორიდებით უთხრა: – გმადლოპთ, კარგა-ლო. მისმა დაბნეულობამ ღიმილი მოჰვარა მამაკაცს, მერე კიდევ ცოტა ხანს უცქირა, თავი გააკანტურა და სათვალე მოიხსნა. ახლაც ველარ მიცანიო, და გული-ანად გადაიხარხა.

– შენ! შენ! შენ ხარ?! – რამდენჯერმე გაიმეორა აღტაცებულმა და აკისეისებული ყელზე ჩამოეკიდა. მოურიდებლად ეხვეოდა და ფეხებს პერში ასავსავებდა. მერე მოწყდა და გახარებული მაღაზი-აში შევარდა. – ბარონი გვეწვია, ბარონი გვეწვიაო, – გაიძახოდა და დახლებსა და ვიტრინებს შორის დარბოდა. ხმაურზე ზორბამაც გამოყო თავი კაბინეტიდან:

– რა მოგივიდა, გოგო! ხომ არ გაგიუდი! რა ბარონი, რის ბარონი?

– გადი გარეთ და თავად ნახავ, – ნიშნისმოგებით თქვა ეკამ.

ყველანი ეზოში გამოიკრიფნენ. ეკა კი ვერ ის-ვერდა, ხომ გეუძნებოდით, აუცილებლად გამორჩდება-მეთქი. ზორბას არ გაჭირვებია უღალთმიანის ცნობა, ცოტა ხანს უმზირა და უკანმოუხედავად მაღაზიაში შევარდა.

– აბა რა გეგონა, ჩემსავით ყელზე ჩამოეკიდებოდა? სად დაიკარგე! ასე როგორ შეიძლება! – უსაყველურა დასერიოზულებულმა ეკამ. – ნადი ახლა და მოუბოდიშე, როგორც გინდა შემოირიგე. გვცოფას და გვჭამს, თითქოს ჩევნი ბრალი იყოს რამე.

– გეყოფათ, დამთავრდა ცირკი, საქმეს მიხე-დეთ! – შემოუძახა ეკამ თანამშრომლებს. – ხალი გველოდება, ესენი თვითონ გაარკვევენ თავიანთ საქმეს.

უღალთმიანი მაღაზიაში შევიდა, გაცდა ვიტ-რინებს და ზორბას კართან შეჩერდა, ერთი გაფიქრება გაიფიქრა, დავაკაკუნო თუ არაო. არ დაუკაკუნებია და მოურიდებლად შეაბიჯა. ზორბა ფანჯარაში იხედებოდა, არ შემობრუნებულა.

– მესმის შენი, ჩემო კარგო, – თბილად დაიწყო უღალთმიანმა, – ვიცი, არ მოვიქეცი მაინცდამანც სწორად. მართალია, როგორმე უნდა შემეტყობინებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე, გადაუდებელი საქმე მქონდა, ჩემი ჩამოსვლით კი ის საქმე გაფუჭდებოდა. მოვაგვარე და ჩამოვედი. შენ რას ფიქრობდი, დავიკარგებოდი? ან ფულს აგახევდი? ჩემო კარგო, მე შენთან დიდი გეგმები მაქვს. წინ დიდი საქმებია, რომელსაც მარტო ვერ მოვერევი. ის ფულიც ჩამოგიტანე თავისი პროცენტებით, როგორც შეგპირდი.

უღალთმიანმა დაბლომატის ჩანთა მაგიდაზე დადო, საკეტი გაჩჩაკუნა და გახსნა. ჩანთა სავსე იყო ფულით.

– მე საქმის კაცი ვარ და არა ვიღაც უიგოლო. – ვერანაირი რეაცია რომ ვერ შეამჩნია ზორბას, კიდევ უფრო დატკბა და ლამის ენის მოჩლექით უთხრა, – კარგი, გეყოფა, შევრიგდეთ. ასეთი იყო საქმის ვითარება.

უღალთმიანი ზორბას მიუახლოვდა და ხელი გადახვია. ქალმა გველნაკენივით მოიშორა ხელი, ისევ ფანჯარაში იცქირებოდა და უაზროდ გაჰყურებ-

და ქუჩას. მერე მხრები აუცახცახდა და ხმამაღლა ატირდა.

– როგორ შეგეძლო, როგორ! ერთი სიტყვა მაინც როგორ არ მომაწვდინე, რა არ ვიფიქრე, თუ ცოცხალია, ხმას რატომ არ მაწვდის-მეთქი. კარგ ხანია გამოგიგლოვე, გამოგიტირე და დაგმარხე. ბიძა-შენმაც ვერაფერი მითხრა.

– არ შეიძლებოდა ჩემი გამოჩინა, საყვარელო, საქმეს ჭირდებოდა ასე. მე დიდ საქმეს ვარ შე-ჭიდებული. ფულს კარგად ვშოულობ, მაგრამ უფრო დიდი ფულია საჭირო.

უღალთმიანი ისევ მიუახლოვდა ქალს, ხელები შემოხვია და თავი მხარზე ჩამოადო. ქალი გაყუჩდა. მერე შემობრუნდა და აზლუქუნებული მკერდში ჩაეკრა. ცრემლებს ღვრიდა, ზურგზე მუშტებს უბრახუნებდა და გაიძახოდა, – არ უნდა მიგეტოვებინე ამდენ ხანსო.

ის ღამე სიყვარულში გაატარეს. მეორე დღეს უღალთმიანმა დამცხრალი და დამშვიდებული ზორბა გვერდზე მოისვა და საუბარი გაუბა:

– ამ ჩანთაში დიდი ფულია, მე რამდენიმე დღით ისევ გავალ. კიდევ მჭირდება ფული. ძალიან დიდ საქმეს შევეჭიდე და შენი დახმარება დამჭირდება, იქნებ შენც დამიმარტო, ან ვინმეს გამოართვა. ამ საქმეს რომ მოვრჩებით, მერე ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცემა. ფული ბევრი გვექნება და დასვენებაც არ გვანებუნს. ჰა, რას იტყვი? რა მოხდება, ჩვენც რომ გავინავარდოთ სადმე? მაგალითად, მოიცა მოვიფიქრო, – თავი მოიქეა, თვალები მოჭუტა და მერე მხარულად თქვა, – კანარის კუნძულებზე. ხო, კანარის კუნძულებზე. გვანებუნს თუ რა? რითი ვართ სხვაზე ნაკლები. მოვწყდეთ ამ ქაოსს და ახალი მიზნები და გეგმები დავისახოთ.

ქალიც აჲყვა ოცნებაში:

– რომ გაიგებენ, არ დასკდებიან შურით?

– ახლა ერთი დღით გავალ, ფულს შენ დაგიტოვებ, სად ვიარო ამდენი ფულით. ფული ჩგანსაცდელია. ადამიანი არ უნდა ეძებდეს განსაცდელს. ის თვითონ მოვა, როცა საჭირო იქნება. და მთავარი, არ უნდა შეგეშინდეს, განსაცდელი განწრთობს და ჭკუას გასწავლის. ოლონდ კიდევ ვიმეორებ, შენ არ უნდა შეყო თავი ძალით განსაცდელში. – კიდევ ბევრი იყიდებოს სოფორული უღალთმიანმა და ბოლოს უთხრა, – აქ თრი ტელეფონია. ერთი ჩემთვის, ერთი შენთვის, ახალი ხილია, ერთეულებს აქვთ მხოლოდ. ნებისმიერ დროს შეგიძლია დამიკავშირდე. წავედი ახლა, დაფაცურდი, მარიფათი არ გაკლია, რაც მეტი – მით უკეთესი.

ორი დღის შემდეგ უღალთმიანმა თავის ფულს ზორბას მოგროვილი დაამატა და ქალაქიდან გავი-და. არც დამშვიდობებია – ვერ ვიტან ზედმეტ სენტიმეტებსო, გააზრებას ვერ მოასწრებ, ისე მალე დაებრუნდები... მას შემდეგ ზორბას უღალთმიანი აღარასოდეს უნახავს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)





ବ୍ୟାଜ
ଗିରାଶଳ

ჩემი სოფელი

მეუფეს სიყვარულისას
რა ნოსტალგია მქონია
ჩემი სოფელი – ანური,
ედუმის ბალი მგონია.

მომნატრებია კორდები
და... ზეცა ლურჯი, ლივლივა,
მინდვრები, — ეკლანები,
სულ — თეხშიტელას მიკლია....

მინდვრის და მოლის ყვავილებს
რა სურნელება ჰქონია,
ყვავილთან ფუტკრის ალერსი, —
დედის ალერსი მანია.

ცის კაბადონის ვარსკვლავებს,
რა ელვარება ჰქონია,
ტყებში ოლოლის ძახილი,
მამის ძახილი მარნია.

საუფლისნულო მამული,
ძველთაგან, რაც, ნაქებია,
მეფე ერეკლეს უსტარით
გმირთათვის ორუქებია.

კიურშა სულხანიშვილსაც,
ურმული, აქ, უმღერია,
ვიქტორს და დავით ანბურელს, –
თავატრი უბრნებინძიათ.

ალექსი სულხანიშვილი
ძმად შეჰვიცერია ქაქუცას
თავდადებით და გმირობით
ქართული მიწა დაუკავთ.

სასიქადულო წინაპრებს,
სოფელი უმშვენებიათ,
თეთრი გიორგის სახელზე
ჭაძარი უძინაბიათ.

תְּבִ�ְמָנָה

ଏହି ମନୋନ୍ୟବିନ୍ଦୁ! ଶ୍ଵେତୀଳିକ ବ୍ୟକ୍ତିର ମନୁଗସ୍ତରିଣୀ,
ଶୈଖିତ୍ୱାବଳୀର ଲ୍ରାମକଥିବ ତାଙ୍ଗପ୍ରକାଶିତ,
ଅଳ୍ପବ୍ରଦ୍ଧିକିର ଫ୍ରାଙ୍ଗିଳିକ ବନ୍ଦବନରେ ମନ୍ଦପ୍ରାୟରେ,
ଫାର୍ମଗିଷ୍ଟର ପ୍ରାଣମିତିବେ, ନିର୍ବିଜ୍ଞାନକିରିବା...

କୁନ୍ତେକ ଅଗ୍ରହୀର ମିଳିଲ ପ୍ରାଚୀନ୍ତ୍ୟରେ,
ଶ୍ରୀମଦ୍ ଶ୍ରୀନିଃ ଫା ଅନ୍ତକ୍ଷେତ୍ରରେ,
ଗିନ୍ଧର୍ମଣି ଶ୍ରୀପ୍ରାଚୀନ୍ତ୍ୟକୁ, ମିଳିଲେ ଦ୍ୱାରକାଶୀ,
ଅନ୍ତକ୍ଷେତ୍ରକିଂଦ୍ରୀ ଅନ୍ତକ୍ଷେତ୍ର...

3. გიგანტი

ԵՐԵՎԱԿԱՆ

ანტურელ გიგაურებს

გიგაურები ლხინობენ,
შემოსხდომან ტაბლასა,
ჯიხვის მწვადს შეეჭცევან,
ლოკვენ: ძირს მინას, მალოა ჯას.

თამადად უზიო მგელიკა, –
ლუდის სვამენ ჯიხვის ყანითა,
სადლეგრძელოებს ამბობენ
ხიცურითა ათათ-წესითა...

მაღალი ღმერთი ადიდეს,
ისურვეს ქვეყნის მშვიდობა,
ბლოს სალოცავებს შესთხოვეს
ჩვინი სამშობლოს დიდება!

შენდობა უთხრეს წინაპრებს, –
ვისი გორისაც არიან:
ბითურათ აბას გმირობა,
დღეს ლეგნანდების დარია...

შემდეგ, გასწიეს გარმონი,
თქვეს სიღლერები ბევრია,
გამართეს ცეკვა-თამაშიც,
დანდორს ჩამოჰკურის ხელია...

გიგაურთ – ყველას დავლოცავ,
ბარში, ქალაქს და მთაშია,
იბედნიერეთ, იმრავლეთ,
ვით ჭიმბა მრავლობს ზოვაშა...

PS

თქვენ, ახლანდელნო, ხევსურნო,
მთაში, რად, აღარ ახვალთო?!.
მარტო გვარ-სახელ შემოგრჩათ,
ჭაობის არწივებს გაახართო....



ზლოში წაგიყვან...

ხელში აყვანილს ბლოში წაგიყვან,
გავეჯიბრები სვლაში, ნიავსა,
მთის ყვავილების გვირგვინს დაგადგამ,
თმებში ჩაგაწნავ ვარდს და იასა;

კლდეთა ფიქალით ციხეს აგიგებ,
თალიანსა და ქონგურიანსა,
შურთხის ბუმბულის ლოგინს დაგიგებ,
საწოლად მოგცემ ჩემს მკერდს მზიანსა...

ტანზე ჩაგაცმევ ლამაზ ტალავარს,
ყელზე დაგკიდებ ვერცხლის შიბეჭსა,
ზვავის წყლით დაგბან, მაგ, ბროლის სხეულს,
დაგიკოცნ ბაგეს, პირიძიანსა;

წყლისა მაგივრად, რძეს შეგინაცვლებ,
მოგიწველ ირემს, – ხალებიანსა,
დეკაზე შემწვარ ჯიხვის მწვადს გაჭმევ,
ქადებს დაგიცხობ ხავიწიანსა;

არ მოიწყონ! შველის ნუკრს მოგგვრი,
შენსავით ლამაზ თოლებიანსა,
ალაზნის ჭალის ხოხობს მოგიყვან,
დაგიჭრ კალმახს, წინწკლებიანსა...

ციხეს აგივსებ მთის ყვავილებით,
ბლოს რომ შვენის და ათასფერია,
გიძლვნი სიყვარულს, მასზე ძვირფასი,
ამქვეყანაზე არაფერია...

ჩემო, პატარა ხევსურო

ჩემო, პატარა ხევსურო,
არწივის მართვეს გადარებ,
სამშობლოსათვის – პრძოლებში,
ხელში აყვანილს გატარებ.

ნეტავი, გიგი, მე და შენ,
ავმაღლდეთ ხატის კარზედა,
ჩვენც შევენიოთ სამშობლოს,
არაგველების კვალზედა.

ღმერთო, მაღალო, მადლობა,
ჩვენს სალოცავებს, – დიდება!
გიგაურების ბუდიდან
არწივი ამოფრინდება.

ნელის

მოფრინავენ ციდან,
ფანტელები სველი,
გაათეთრა თოვლმა,
მინდორი და ველი.

აყვავილდა ნუში,
დაჩინდა მთათა წვერი,
ეფერება ყვავილს
ფუტკარი და მწერი.

ჩამოსულან ტყიდან
კურდლელი და შველი,
შენ, კი, არა ჩანხარ, –
ნალვლიანი გელი.

მომიურინდი ახლოს,
შემოგხვიო ხელი,
შენგან მიტოვებულს,
გულში მათოვს, ნელი.

ბარტყებისთვის ზრუნავს –
შაშვი მგალობელი,
ნუ დამტოვებ, – მარტოს,
გევედრები ნელი...

ლალის წყარო

თხილების ძირში, შირიმის ლოდებით,
წყარო ავაშენე ლალის სახებით,
წყაროს სახებით, – შენ მესახები,
შორ გზას გავცერ, და... კვლავ გელოდები...

შენს გარეშე, ტრფობის სიმი გამიწყდება,
თუმც, არ მწყალობ, მაინც, ისევ, გელოდები,
ასე მწყურვალს ლალის წყარო დამიშრება,
მოლი, მომხსენ, მოლოდინის, მე, ლოდები.

შენზე ფიქრებში დლეებს ვალამებ,
შენა ხარ ჩემი ოცნების ქალი,
მე, – სიყვარულის მუზას გადარებ,
გნატრობ, უსაზღვროდ მიყვარხარ ლალი.



გიორგი შარვაშიძე

52



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის ბრძანების სამინისტრო

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის ბრძანების სამინისტრო

...ლექტრია დამთაცრდა. კულტონი წამოფენები და გარა-
აცვლელისკენ გაემართნენ. იგი რაჭომლარ აჭიათურებრდა
აფეხმას, რადგან ახლოვდებოდა ის საათი, როგა იმ
ვაჟა უნდა შეხვედროდა. მას კი ჟურ ვერ გადაეწყვიტა,
წასულიყო თუ არა შეხვედრაზე.

წოლოს წამოფენა, ხელი წამოავლო თავის მინი-
ტურულ ხელჩანთას და გარეთ გამოვიდა.

გ. შარვაშიძე

პირველი სიყვარული

იტალიის ქალაქ სან-რემოში, სიმღერების

XXXIII ფესტივალზე მეორე პრემია

დამსახურა იტალიელმა მომღერალმა ქალმა
ლონატელა მილანიშ.

გვერდზე მჯდომას საათი ჰკითხა. კიდევ ხუთი აკლია ლექციის დამთავრებას. არც გაუგია როგორ ჩაიარა ამ ლექციამ, ისე იყო ფიქრებში გართული, თუმცა მაინც ხანგრძლივი ეჩვენა. მისთვის ამ დროს არც ლექტორი არსებობდა და არც ამხანაგები, რომლებიც დიდის გულისყურით უსმენდნენ საინტერესო საუბარს რენესანსის ხანის უკვდავ ხელოვნებაზე.

„ორშაბათს გელოდებიო“, – ასე დაუბარა იმ საღამოს. ადგილიც ახსოვს, სადაც შეხვედრა დაუნიშნა. ხშირად უხდებოდა იმ ადგილის მონახულება, როცა სევდის განსაკარვებლად ქალაქის დასათვალიერებლად გაემართებოდა ხოლმე. უყვარდა მშობლიური ქალაქის სილამაზე, ხელოვნების ნიმუშები. უყვარდა ასევე მსოფლიო კულტურა, კულაფერი ის, რასაც შეეძლო გაემდიდრებინა მისი სული. ის ადგილიც საკუთარი ხელის ხუთი თითოვით იცოდა და ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად თვლიდა, რადგან იქ იყო მშვენიერი ბალი, რომელსაც სკულპტურული ნამუშევრები ამშვენებდა.

სწორედ ამ ბალში დაუთქვა შეხვედრა. ახლაც კარგად ახსოვს: შაბათ საღამოს „ორფეოსის“ სცენაზე გაიმართა ტრადიციული მუსიკალური ფესტივალის დასკვნითი ნაწილი. ეს მისი პირველი გამოსვლა იყო ასეთ დიდ ავტორიტეტულ კონცერტში. მასში საზღვარგარეთის ესტრადის ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ. თავიდან საკმაოდ ღელავდა. ფესტივალს მისი მშობლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც ქალიშვილის ნიჭის

მკაცრი შემფასებლები იყვნენ. მაგრამ დაიწყო კონკურსი და ჩვეული სიმშვიდე დაეუფლა.

...ლექცია დამთავრდა. კულტონი წამოდგნენ და გასასვლელისკენ გაემართნენ. იგი რაჭომლაც აჭიათურებდა ადგომას, რადგან ახლოვდებოდა ის საათი, როცა იმ ვაჟს უნდა შეხვედროდა. მას კი ჯერ ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა შეხვედრაზე.

ბოლოს წამოდგა, ხელი წამოავლო თავის მინიატურულ ხელჩანთას და გარეთ გამოვიდა.

ლომის პირის ღრუდან ამომავალ შადრევანში თვალი მოკერა მზის სხივებზე ნაირფერად მოელვარე ცისარტყელას.

„მოდი ხელოვნების მუზეუმში გავივლი“. ნელა გაუყვა რეკლამებით აჭრელებულ ხალხმრავალ ქუჩას. შავი, ხვეული თმები მხრებზე ჩამოყარა და მკერდზე გადმოეფინა, რომელსაც მოსაცმელი უფარავდა. ეს მოსაცმელი და „ველვეტის“ შარვალი, რომელიც ახლა ჩინებულად მორგებოდა ტანზე, ამას წინათ გამოუგზავნა ძმამ მონტე-კარლოდან.

კვლავ შაბათის საღამო დაუდგა თვალწინ. სიმღერის ეროვნულმა სტილმა განსაზღვრა მისი წარმატება. „მეგონა შემიყვარებდი“ – ასე ერქვა სიმღერას, რომელმაც მეორე პრემია მოუტანა მას. ეს თავისთავად დიდი აღიარება იყო ახალგაზრდა შემსრულებლისა. თავიდან მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ასეთი წარმატება ელოდა. ოვაცია, როგორიც მას გაუმართეს, არავის რებია წილად. ყვავილების თაიგულებს ველარ აუდიოდა. ზოგი ადგილიდანვე ისროდა, ზოგმა თავად მოართვა ვარდ-ყვავილთა გვირგვინი. ახლა კი, მართლაც ველარ მოერია თავის თავს, ამდენ ოვაციას და აფორიაქებული გავარდა სცენიდან. ღელავდა სიხარულისაგან, ღელავდა და ვერცხლისფრად უკიაფებდა ღანვზე ჩამოგორებული



სიხარულის კურცხლები. ყვავილების თაიგული კულისებში მდგომ პირველივე შემხვედრს გაუწოდა ისე, რომ არც შეუხედავს და გასახდელისაკენ გაემართა. მაყურებელთა ტაშის გრიალი არ ცხრებოდა. უნდოდა გასახდელში განმარტოებულიყო თავის მოზღვავებულ სიხარულთან ერთად. ვილაცამ მკლავზე მოსწია. ყვავილები რომ გაუწოდა ის ქალი იყო. „ეს თაიგულიდან ჩამოვარდა, ალბათ თქვენია“. არც დაუხედავს, ისე გამოართვა და გასახდელში შეიკეტა. სარკის წინ აღმოჩნდა. „ოჟ ეს პროდიუსერები, ყველა თავის ნებაზე გათამაშებს“. სასწრაფოდ გადაიძრო მინი კაბა და სარკეში თავის მოშიშვლებულ მკერდს მოჰკრა თვალი, რომელიც მღელვარებისგან ზევით-ქვევით აუდიოდა. გრძელი, ცისფერი კაბა მონახა და გადაიცვა. მხოლოდ ახლა გაახსენდა კულისებში ქალის მიერ გადმოცემული, რომელიც სარკის წინ დაეგდო. ხელში აიღო. ოთხად გაკეცილი ბარათი აღმოჩნდა. „სინიორინა ვილანის“ – ენერა ზემოდან. სწრაფად გაშალა. „ყვავილებთან ერთად მინდა მოგიძლვნათ გული და თავს უფლებას მივცემ ნახევარი საათის შემდეგ შემოსასვლელ კართან დაგელოდოთ. მარიო ბეტი“.

კიდევ ერთხელ გადაიკითხა. ეს სახელი არაფერს უქნებოდა. ვის უნდოდა მისი ნახვა? „ასეთები აღარ მომეშვებიან. იდგეს და მელოდოს თუ არ მოსწყინდება“.

კარზე დააკაცუნეს. მისი მშობლები აღმოჩნდნენ. სათითაოდ მიულოცეს წარმატებით გამოსვლა, მაგრამ რომელ ადგილს ულოცავდნენ, ჯერ არც ერთმა არ იცოდა. კონკურსი ხომ კვლავ გრძელდებოდა. „მე ახლავე დავპრუნდები, აქ დამელოდეთ“, – და გარეთ გავიდა. თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ მიატოვა მშობლები, გულის გამანყალებელ დარიგებას მოერიდა, თუ უნდოდა გაეგო ვინ იყო ის კადნიერი, რომელიც შეხვედრას სთხოვდა.

შეუმჩნევლად გამოვიდა გარეთ. ახლომახლო არავინ იყო. მოშორებითაც მოათვალიერა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ჯგუფ „მატია ბაზარის“ მელოდიები არღვევდა მყუდროებას, რომელიც დარბაზიდან ყრუდ აღნევდა. „ალბათ ვილაცამ ჩემი გამასხარავება განიზრახა“. შეტრიალდა და ის-ის იყო უნდა შესულიყო, რომ უკანიდან ვიღაცის ხმა მოესმა.


– იქნებ ჩემგანაც მიგელოთ მოკრძალებული მოლოცვე?

შემობრუნდა. მის წინ ახალგაზრდა, თმახუჭუჭა ვაჟი იღიმებოდა.

– კი მაგრამ...

– ნება მიბოძეთ გაგეცნოთ, თქვენი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი მარიო ბეტი.

სინათლის მკრთალ შუქზე არცთუ ისე სიმპათიური ეჩვენა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

– ისლა დამრჩენია ამ ქათინაურისთვის მადლობა მოგახსენოთ, ოლონდ მეორედ ნულარ შეწუხდებით ნურც ქათინაურისთვის და ნურც ნერილის დაწერისთვის.

შეტრიალდა და კარისკენ გაეშურა.

– სინიორინა, თუ შეიძლება მომისმინეთ.

„მართლა როგორი კადნიერი ყოფილა“. შეჩერდა.

– სინიორინა, იქნებ დაგეთმოთ რამოდენიმე წუთი. თქვენ ამით არაფერს დაკარგავთ. სამაგიეროდ, თქვენი ერთი შეხედვით შეგიძლიათ უდიდესი სიამოვნება მიანიჭოთ და სიცოცხლის წყურვილით აღანთოთ ადამიანი.

– კარგი, გისმენ, ოლონდ დიდხანს არ გააჭიანურო.

– მხოლოდ ერთი პირობით.

„ახლა პირობების წამოყენებაც მომინდომა“. ალბათ იმიტომ უპასუხა ასე დაუფიქრებლად, რომ თავიდან მოშორება სურდა მისი.

– კარგი, თანახმა ვარ!

– თქვენ უნდა შემხვდეთ მხოლოდ ორშაბათს, რადგან დღეს თქვენი ღიმილი თქვენვე გეკუთვნით და თქვენს ბედნიერებას სხვას ვერ გაუწინილებთ... ორშაბათს, საღამოს ხუთ საათზე გელოდებით სიყვარულის ღმერთთა წალკოტში. ნახვამდის!..

ცოტა ხანს კიდევ იდგა და გაკვირვებული მისჩერებოდა ნელი ნაბიჯით სიბნელეში შემავალი ახალგაზრდის ფართო მხრებს. „რა უცნაური





ახალგაზრდაა”, ჩაიცინა და წერილის ჭმუჭვნით, რომელიც ხელში შერჩენოდა, თეატრში შევიდა,

...ყველა გვერდს უქცევს ჩაფიქრებულ ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელსაც ნელი სიმ საამოდ ესალბუნება გამლილ თმაზე.

დღევანდლამდე არც გახსენებია იმ ვაჟის საქციელი და დანაბარები. მთელი კვირა დღე საქმეებზე სირბილს მოანდომა, რაც კონკურსის შედეგებთან იყო დაკავშირებული. საღამოს ფესტივალში მონაწილეთა პატივსაცემად მოწყობილ ბანეტს დაესწრო. დღეს კი, როცა ვიღაცამ ორშაბათი დღე ახსენა, უეცრად ამოუტივტივდა თავში, „ორშაბათს საღამოს...“ და დილას აქეთ მოსვენებას არ აძლევს ფიქრი იმაზე, წავიდეს თუ არა. არა, ნაცნობი რომ იყოს უეჭველად წავიდოდა, მაგრამ მთლად უცხოს ენდოს?.. „არა, არა! არ წავალ!“ გადაწყვეტდა ამას და მსწრაფლ თვალწინ უდგებოდა ვაჟის სახე, როდესაც ეუბნებოდა: „შეგიძლიათ სიცოცხლის წყურვილით აავსოთ ადამიანი“.

„რა უცნაური ახალგაზრდობაა, როგორ საინტერესოდ იციან სიყვარულის ახსნა“.

მთავარი ქუჩიდან გადაუხვია. აქ მანქანები შედარებით ნაკლებ ხვდებოდა. ესიამოვნა, ვერ იტანდა მანქანების ხმაურს, თუმცა თვითონაც ახალთახალი კადილაკი ჰყავდა, მაგრამ უფრო ხშირად ფეხით დადიოდა, რადგან უყვარდა სიწყნარე და ბუნების წიაღში განმარტოება. ცდილობდა ბუნებისგან შეეცნო ის საიდუმლო, რომელსაც სულის დამშვიდება შეეძლო და ბუნების შრიალი მუსიკალურ ნაწარმოებებში აეხმიანებინა. ფესტივალში წარმატებასაც ხომ ამას უმაღლიდა, ბუნების ხმოვანებას, საიდანაც შექმნა ის საინტერესო კომპოზიცია, რომელიც ასე გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

ფიქრებში გართული შეუმჩნევლად მიუახლოვდა ბაღს. შესასვლელ კართან აყუდებული ორი უზარმაზარი ქანდაკება გულლიად ეპატიუება ეულად შთენილ ქალიშვილს „სიყვარულის

ბალში“. გრძელთმიანი, უწვერულვაშო აპოლონი ლირით ხელში, თითქოს მისივე სიმღერებით ეხმიანება, ხოლო მის გვერდით მდგარი დიანა ჩირალდანს უნათებს და გზას ულოცავს სიყვარულის ღმერთებისკენ მიმავალ ქალიშვილს. ევკალიპტებისა და მაგნოლიების იქით, აუზის შუაგულში ორი შეყვარებულის ქანდაკება შენიშნა. ადონისსა და ვენუსს ვერაფერს აკლებდა თავზე დადენილი შადრევნის ძლიერი ნაკადი, რომელიც მათივე ხელის თითებიდან ატყორცნილი ელვრებოდათ ზედ. ამიტომაც უწოდებდნენ „სიყვარულის წალკოტს“ ამ ბაღს.

შადრევანსა და ქანდაკებას მოჰკრა თვალი და მყისვე მოეგო გონს. მიხვდა, დაფიქრებული შემთხვევით წამოსულიყო აქეთ მუზეუმის მაგივრად. ხელზე დაიხედა. „ყვავილებთან ერთად მინდა მოგიძლვნათ გული...“ აღარ ახსოვდა როდის ამოილო წერილი, რომელსაც ახლა ასე ნერვულად ჭმუჭნიდა და ვერაფერი მოეხერხებინა. „იქნებ კიდევ შემიძლია უკან გაბრუნება?.. ალბათ უკვე გვიანი იქნება...“ კვლავ შადრევანს ჰკეიდა თვალი, საიდანაც მზერა ნელ-ნელა დაბლა ჩამოაცოცა. ყმაწვილი შენიშნა, რომელიც ყვავილებით ხელში ვიღაცას ელოდა. დააკვირდა, მაგრამ ვერ შეიცნო, რადგან სიბრძეში კარგად ვერ დაემახსოვრებინა მისი სახე. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს მხარბეჭიანი და თმახუჭუჭა ახალგაზრდა სხვა არავინ იყო, თუ არა ის და გული ძალუმად აუძგერდა. ახლა უკვე ნამდვილად გვიანი იყო უკან გაბრუნება და გაბედული ნაბიჯით ვაჟისკენ გაემართა, რომელიც უკვე სხივჩამდგარი თვალებით მოსჩერებოდა მას.

ასეთი რამ მას მაშინაც არ დამართნია, როცა კონკურსის შედეგები გამოაცხადეს. ახლა სულ სხვანაირი გულის ძეგრა იგრძნო. მიხვდა, რომ მის სულში ჩაიღვარა ახალი სხივი, რაღაც უცხო გრძნობა, რომელიც მოულოდნელად შემოიჭრა და ვაჟის გამოწვდილი თაიგულისკენ თავისთავად იზიდავდა.



შალვა ტვარდოვის
ზენო ფიცხელაური



„სხვათაგედა“ ქალატონი

ახლაც სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროისთვის კახეთის ავტორიტეტულ გაზეთ „აღლაზნის განთიადში“ დამწყები უურნალისტების ერთად მუშაობის წლებს, როცა გამოუცდელები, მაგრამ ენთუზიაზმით აღსავსენი, ცხოვრების შუაგულიდან ამოკრებილი პრობლემური წერილებით ვქმნიდით გაზეთის სახეს. მაგრამ, აი, გამოხდა ხანი და ჩემ კოლეგა ლამარას გულმა მეცნიერებისკენ გაუწია... თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, წლების განმავლობაში მუშაობდა პრორექტორად, შემდეგ მრავალპროფილიანი ფაკულტეტის დეკანად, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ, რასაც საუნივერსიტეტო გაზეთ „მოძღვარის“ რედაქტორობასაც უნარიანად უთავსებდა. ყოველივე ამის პარალელურად არ იზარებდა და თეთრნყლების სკოლაში, სადაც სწავლა-აღზრდის საქმე საქმაოდ მოიკოჭებდა, საოჯახო ეთიკისა და ფსიქოლოგიის კურსის წაკითხვასაც ახერხებდა.

თელავის უნივერსიტეტის მაშინდელი ინგილო სტუდენტები დღესაც სიყვარულით იხსენებენ „ლამარა დედად“ მონათლული პრორექტორის მიერ მათ სასიკეთოდ განეულ რიგ ღონისძიებათა მადლს, რამაც ისინი ცხოვრების დიდ გზაზე გამოსაყვანად მოამზადა. სასწავლებლის ხელმძღვანელობამ იცვდა, რომ საერთო საცხოვრებელში დაბინავებულ ინგილოებს უჭირდათ და ჩასაცმელითა და საკვებითაც ეხმარებოდნენ, არც საინგილოში მოქმედ ქართულ სკოლებს ივიწყებდნენ და ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში საჭირო სახელმძღვანელო წიგნებითა და დამხმარე ლიტერატურით ამარაგებდნენ.

ლამარა იანვარაშვილისგან ხშირად გაიგონებთ – ბავშვები ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია და თავად შვილების არმყოლი ქალბატონი სხვათა შვილების სიყვარულით იამებს ამ ტკივილს, ძმისშვილებისთვის განეულ ზრაპრულ ამაგზე რომ აღარაფერი ვთქვათ... როგორც უნივერსიტეტში, ისე თელავექალაქში მას ბავშვების სასიკეთოდ იმდენი ჭაპანწყვეტა გადაუტანია, რომ ომში მეომარი ვაჟუაცის გმირობას არაფრით ჩამოუვარდება. ამის დასტურია მაშინდელი თელავის სკოლა-ინტერნატი, სადაც მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვების გასაჭიროს ლამარას მზრუნველი ხელის მადლი მაღამოსავით ეცხობოდა. ლამარა იანვარაშვილი ისხენებს:

ის 2500 ლარი, იაკობ გოგებაშვილის პრემიაში რომ მომცეს, მთლიანად სკოლა-ინტერნატს გადავურიცხე, ამავე მიზნით გამოვიყენე აკაკი წერეთლის სახელობის პრემია, თეთრნყლების სკოლასა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თელავის ფილიალში წაკითხული ლექციების საფასურად აღებული თანხები. ერთ ცივ ზამთარში 14 ათასი ლარიც შევაგროვეთ და ინტერნატის მოსწავლეებს იმ ფულით თბილი ტანსაცმელი შევუძინეთ.

სხვათა ბედზე ერთთავად მაფიქრალ ლამარა იანვარაშვილს (ეტყობა, „სხვათაბედა“ ამიტომ შეარქვეს), ბავშვებზე ფიქრი მაშინაც არ მოსცილებია, როცა ტურისტული საგზურით გერმანიაში იმოგზაურა. დღემდე შეძრულია იმ არაადამიანური სისასტიკით, რაც ოსვენციმისა და ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკებში იხილა. გერმანელმა ხალხმა სვასტიკიანი ფაშისტების მიერ ჩადენილი ამ გაუგონარი დანაშაულისთვის მსოფლიოს მოუბოდიშა და განაწყენებულთა გულის მოსალბობად გახსნა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ ავადმყოფ და ტრამვირებულ ბავშვებს უფასოდ მკურნალობენ. იმ ცენტრში მოხვედრა იოლი არ გახდავთ, მაგრამ გერმანიიდან დაბრუნებულმა ლამარამ პარლამენტსა და მთავრობაში იმდენი ირბინა, ვიდრე თელავიდან გერმანიაში სამკურნალოდ 6 ბავშვი აეროპორტში პირადად არ გააცილა. სამაგიეროდ, იმ ბავშვების მშობლებთან ერთად გულით გაიხარა, როცა თელავში დაბრუნებული ის ტრამვირებული მოზარდები სრულიად ჯანმრთელი და საღასაღამათნი იხილა.

დაუჯერებლად შეიძლება მოგეჩენოთ, როცა გაიგებთ, რომ ქალბატონმა ლამარამ, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, მოზარდების სურვილებზეც იზრუნა და ერთ მშვენიერ დღეს 21 ბავშვი ალავერდის მონასტრის მახლობლად გამომავალ აღაზნის ფშანის კამკამა წყალში მამა აღექსანდრეს მოანათვლინა. მათ შორის ერთი ქისტი გოგოც იყო, რომელიც თავისი სურვილით ქრისტიანად მოექცა. აქვე მინდა გაგაცნოთ ლამარას შვილობილები – ანა, თამარი, გიორგი, ანდრია და სხვანი, რომლებიც დედობილს მრავლად ჰყავს თელავში. მათგან ზოგი ბებიას ეძახის, ზოგი – დიდედა ლამარიას, ზოგნიც ქუჩაში შეხვედრისას ყვავილების თაიგულებით ესიყვარულებიან.

ასეა, ლამარა იანვარაშვილის მოღვაწეობის



სათავეში მარადუცვლელად ბავშვები დგანან, მაგრამ მისთვის არც საზოგადოების პოლიტიკურ-სოციალურ პროცესებში მონაწილეობა გახლავთ უცხო ხილი, უკვე წლებია, ნაყოფიერად საქმიანობს ლამარას მიერ დაფუძნებული თელაველ მხცოვან ინტელექტუალთა საკრებულო და შარშან მაისში მისივე ინიციატივით შექმნილი შუამთის ეროვნული სამმ-სამეგობრო, რომელიც მუშაობს დევიზით – ჩვენ ქართული საქართველო გვინდა, ჭეშმარიტად სუვერენული საქართველო, ლალი, ქედუხრელი, ფესვმაგარი,

გაუტეხელი ქართველების საქართველო, სადაც ერი და ბერი გაერთიანდება დასავლეთიდან მოძალებულ უზნეობასთან საპრძოლველად, ეროვნული ღირებულებების დაცვა-გამრავლება-ში აქტიური მონაწილეობით ღირსების გრძნობას დაუბრუნებს თითოეულ ჩვენგანს.

დღეგრძელობა და მზეგრძელობა ჩვენო კოლეგავ და მეგობარო, „სხვათაბედა“ ქალბატონო – ლამარა იანვარაშვილი!

ოთარ ხუციშვილი

56



ღვაწლმოსილ, თელაველთათვის უსაყვარლეს და პატივსაცემ ქალბატონ ლამარა იანვარაშვილს უზლოცავთ საიუბილე თარიღს. ქალბატონი ლამარა დღესაც დაუცხრომლად იღვნის ყოველივე ქართულის შენარჩუნება-განვითარებისათვის და მშობლიური თელავის უკეთ წარმოჩენისათვის. ქალბატონ ლამარას ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ამოუწურავ სიმხნევესა და შთაგონებას!

მცენარეთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“,
შურალ „ოლეს“ რედაქცია

პოეტის ეხთი ღესი

დარევან ზანკოტაძე

ჰერა!

ეძლვნება თანაკლასელის – ექიმ ჰერა ჯეჯილაშვილ-ხუცაიძის
სსოვნას, რომელიც, 1977 წელს,
თელავის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში
გაზის აფეთქების შედეგად,
რამდენიმე თანამშრომელთან ერთად დაიღუპა.

გამორჩეული იყავ სიკეთით,
მიტომ გვიყვარდი, უზომოდ, ყველას,
გახალისებდა მზე სიცოცხლისა,
სხივად რომ ადგა მშობლიურ თელავს.

იმ დღეს... თელავი ფორიაქობდა,
შემოგვწოლოდა დარდი და სევდა,
ირგვლივ ისმოდა: კვნესა, ტირილი,
ცასა სწვდებოდა – „ვაიმე დედა...“

ბოლოს რომ გნახე, უკვე, თბილისში,
ითვლიდი წუთებს, თითქმის დათვლილებს,
გაკოცე ნაზად, შენ კი მითხარი,
როგორ ხედავდი ბინდის აჩრდილებს.

ვაი, ჰირველი წახვედი ჩვენგან,
სამოთხეში ხარ... ჩვენ ყველას გვივრა,
როგორ დაგვაკლდი თანაკლასელებს,
როგორ აკლიხარ, შენ, შვილებს — ჰერა.



Ծաշմշանօն յիշոն յանիքուն

၁၅၉

בְּשָׂרֶב נִמְלָא

გვაქაძლისი გვალევაა. იწვის ყველაფერი, გრადატორი
და გრადატორია მოსტორი, მაგრინხევი თოთქმის ფაშირა-
ლია. ვერაბში და მოსტორში მინა დახურულია, ფეხი ჩა-
ვარდება გვალევისაგან ფაშიკარ მინაში. „ნელს არაფერი ი-
არ გვექნება”, მალობრივ გამოიხერ სოფელში თუ უმანში
უფროსხემისაგან. თამაშებ არა აქვთ ხალისი, ხიჯისაგან
ძილი გვერდა ყველას. ჩრდილოებში კი აუცილოდ წელა.
ხალის ერთიმეტრებს ხორცის სარწყავი წყლისთვის, ვინდ
ძაგარია, წყალის იმას მისაცვალს, ალარჯ მერუს უსმერნობ და
ალარჯ საწყოს თავიშიფილია. უმნის დედაკუნძულია გრა-
ვანუკიდეს ლაზარე ჩამოაცაროს სოფელში.

၂၀၁၈



57

ଓয়ম ফু কলা ইয়ম লু

იყო და არა იყო რა

გავორბივართ წივილ-კივილით
ვინ წინ, ვინ უკან, რომ ბებერ კა-
კლებზე და მუხებზე დაჭერობა-
ნა ვითამაშოთ. არ გაგიკორდეთ,
როცა ვამშობ ზედ დაჭერობანა
უნდა ვითამაშოთ მეტქი. ძველისძ-
ველი მუხები და რამდენიმე კავა-
ლის ხე ერთიმეორები გადახლარ-
თული ტოტებით ჩვენი გართობის
ყველაზე კარგი ადგილია, ისე ვართ
განაფულები, რომ ჯერგლების მაი-
მუნებიც ვერ გვაჯობებენ ხებზე
სირბილში. ორ გუნდად ვიყოფით,
და, ერთიმეორის დასაჭრად, ვი-
წყებთ ტოტებზე თავბრუდამხვევ
სირბილს. რომელი გუნდის წევრსაც
შემთხვევით ფეხი აუცდება, ტოტზე
მოჭიდებას და თავის შველას ვერ მო-
ჩამოვარდება და მინას ფეხით შეეხებ
არის. მარტო ჩვენ კი არ ვთამაშობთ ა-
სული ახალგაზრდა მწყემსები, ცოლი
კი ერთობა ასე, როცა საქონელი სა
და ყოფილა შემთხვევა, რომ ბევრს
ვრევია და მელავიც მოუტეხავს და
ცვლად, უფროსი ხალხის შეჩვენება
დაუმსახურება.

გაუსაძლისი გვალვაა. იწევის ყველაფერი, გადამწვარი და გადამხმარი ბოსტნები, მატნიხევიც თითქმის დამშრალია. ვენაბში და ბოსტანში მინა დახეთქილია, ფეხი ჩავარდება გვალვისაგან დამსკდარ მინაში. „წელს არაფერიც არ გვექნება“, მალმალ გაიგონებ სოფელში თუ უპანში უფროსებისაგან. თამაშსაც აღარ აქვს ხალისი, სიცხისაგან ძილი გვერდა ყველას. ჩრდილუბშიც კი აუტანლად ცხელა. ხალხი ერთიმეორეს ხოცავს სარჩყავი წყლისათვის, ვინც მაგარია, წყალიც იმას მიჰყავს, აღარც მერუეს უსმენენ და აღარც საბჭოს თავ-მცვდომარეს. უბინის დედაკაცებმა გადაწყვიტეს ლაზარე ჩამოატარონ სოფელში. შეკერეს დიდი ნაჭრის თოვევინა, ჩაცვეს გრძელი კაბა, ნახშირით დაუხატეს თავ-პირი, ხელების მაგივრად გრძელი ჯოხი მიაკერეს ტაზი,



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ორმა დედაკაცმა აქეთ-იქიდან ჩავპლო ხელი, დანარჩენბმა, თორმეტიოდე დედაკაცმა, წყლით სავსე ვედროები და კოკები დაიჭირეს და ლაზარეს საქეპარი სიძლერით დაიძარნენ სოფლის შემოსავლელად, მთელი გუნდი მიღდევთ ბალლებისა, მიდიან, მიიქნევენ უზარმაზარ თოჯინას, მიიძლერიან და თან ერთიმერეს წულავენ. არის ერთი ქრიამული და სიცილ-ხარხარი. პროცესიას ჭაჭიას ქალი, ანუა და მასტიაანთ გენუა მიუძღვიან და რაც ძალი დაღოხე აქვთ, მღერინ, სხვები ბანს აძლევენ:

ახ, ლაზარე, ლაზარე,
კას ღრუბლები აპყარე!

აღარ გვინდა გორახი,
ლერთო, მოგვეც ტალახი!
ახ, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბლები აპყარე!
ლაზარ მოდგა კარსაო,
გვიბრიალებს თვალსაო,
ახ, ლაზარე, ლაზარე...

გზადაგზა სხვებიც გვიერთდებოდნენ, თავიანთი არებითა და მოწუნავე დედაკაცებითა და ბავშვები, მთელი სოფელი ლაზარეს ევედრება, რომ წეიმა ცვანოს და გვალვისაგან იხსნას მოსავალი. თითქმის საათი ვუვლიდით ასე სოფელს ამოწუნულები და თხვრილები. საღამო ხანს, დასავლეთის მხრიდან თლაც აიშალა შავი ღრუბელი და იმ ღამეს იმისთა-ოქები წამოვიდა, კინალამ წალეკა სოფელი. ალბათ ლი არ დარჩა სოფელში, რომ წვიმა არ ჩასვლოდა მიტებითან. მეორე დილით საოცარი სანახავი ციდგა ოვალწინ. მოვარდნილ თქებში ჩვენი ბოს-ტო მოეგლივა და მთელი მიწა, თავის ბოსტინიანად, ხე გაეტანა. სახლის ნინ ორმეტრიანი კლდე იყო ეთებული. ქვეითა უბნებში სახლებში შევარდნოდა ხს წყალი და თუ რამე ებადათ პირველ სართულზე, გარეთ გამოტანა.





Ծաշկաբույս շիտո շնորհու

ივერია

კულტურული მუზეუმი

პარტს ყოველთვის უკარდა, რამა ეს კუზიანი ხე
ამოჩიჩებეთ, ამხელა ეზოში უკეთესი აფგილი ველარ
მოძებნეთ სათამაშოდ? კუზიან ხეს ჩრდილი კუზ-
იანი ჰქონდა. ვინ ირჩ, იქნებ, თავისი გამორჩეული
შესახედაობითაც გვიზიდავდა. ისე კი გვაინტერესებდა,
უკვები კუზიანი ჰქონდა თუ არ. ისი დარგული
იყო ვერ იხსენებდნენ, ზოლოს დადგინეს, რომ კურ-
კაზე იყო ამოხული.

၈. အေဒီးလွှာစံချိန်

კუზიანი 60

ମାନ୍ଦୁରାମାନ୍ଦୁ କୁଞ୍ଚିତାନ୍ତି ତ୍ର୍ୟେମଲ୍ଲିର କ୍ଷେତ୍ର ଗ୍ରୀକ-
ବାରଦ୍ଵା ତାମାଶୀ. ଡିଏଫୋଟଲ୍ଯେବ୍ ମିନଡ୍ରେରିସ ମତ୍ରେନାର୍କେସ,
ଶାଖିପ୍ପେବୀ ରନ୍ଧ କ୍ରୋଲଗାସ କ୍ଷେତ୍ରଦିତ ଦା ଶିଲ୍ପିକ୍ଷେତ୍ରରେ,
ତ୍ରୈକ୍ରିଲ୍ଯେବୀ ତାମାମାଦ ପ୍ରାଣ ମନ୍ଦର୍ବ୍ୟଳୀ, ମନ୍ଦାଶାକ୍ଷିତ
ଶୈଙ୍ଗାଗର୍ବନ୍ଦ୍ୟେବ୍ଦିତ, ମିଳ ଗର୍ଦ୍ଧେଲ ପ୍ଲାନ୍ଟର୍ଟ୍ରେବୀ ଗ୍ରାମନ୍ଦ୍ୟେତ-
ଶି ହିଙ୍ଗାନ୍ଦ୍ରାନ୍ଦ୍ୟେତ, କୁଞ୍ଚିତାନ୍ତ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଗ୍ରେନର୍ଫେବ୍ରାଦ ମନ୍ଦାଶାକ୍ଷିତ-
ଦିତ ଦା ଶିଖେନ୍ଦ୍ରିଯିର ସାହିତ୍ୟକ୍ରିଲ୍ଯେବୀ ଗାମିଲ୍ଲିକ୍ରିଲ୍ଲା.
ଶାକାଶ ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ରରେ ଉପରେତ୍ରିତ ରାଜା ଏବଂ କୁଞ୍ଚିତାନ୍ତର ଶ୍ରେଷ୍ଠ-
ଶି ଅମିନିର୍ବିନ୍ଦୁ, ଅମ୍ବେଲ୍ଲା ଚିଠିମଶି ଉପରେତ୍ରିତ ଅଧିକାରୀ କ୍ଷେତ୍ରର
ମନ୍ଦର୍ବ୍ୟଳୀରେ ସାତାମାମନ୍ଦିର? କୁଞ୍ଚିତାନ୍ତ ଶ୍ରେଷ୍ଠ ହିନ୍ଦୁକ୍ରିଲ୍ଲିକ୍ରିଲ୍ଲା
ଶିନ୍ଦାନ୍ତ କ୍ଷେତ୍ରରେ. ବିନ ପିତ୍ରିଲ୍, ପିନ୍ଦିବୀ, ତାଙ୍କିଲ୍ ଗାମିନର୍କର୍ତ୍ତ୍ଵୀର୍ଦ୍ଦିଲ୍
ଶ୍ରେଷ୍ଠାକ୍ରିଲ୍ଲିକ୍ରିଲ୍ଲା କ୍ଷେତ୍ରରେ ଗ୍ରେନର୍ଫେବ୍ରାଦ. ଏହି କି ଗ୍ରେନର୍ଫେବ୍ରାଦ
ଶ୍ରେଷ୍ଠାକ୍ରିଲ୍ଲିକ୍ରିଲ୍ଲା କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ
କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ

გავიდა დრო, ჩვენც გავიზარდეთ, იმ კუზიან-
მა ხემაც აიყარა ტანი. მის ჩრდილქვეშ სახლობან-
ას თამაშიც გადაგვავიწყდა და ის დიდფოთლება
მცენარეც, რომლის ისფერ ბირკებს, ანცები, ერთ-
მანეთს რომ ვესროდით და ვაი იმას, ვისაც თავზე
დაესობოდა.

ერთ ზაფხულს, თბილისიდან ჩასულს, ეზო
რაღაცნაირად იერშეცვლილი მეჩვენა. მივხვდი, პა-
პას კუზიანი ტყემალი მოექრა და იმასაც მივხვდი,
რომ სიყმანვილეს ფეხი აედგა და სადღაც განიზნუ-
ლიყო, მაგრამ მის ძირში, ალაგ-ალაგ, სათამაშოს პა-
ტარა ნამსხვრევები სამახსოვროდ მაინც დაეტოვე-
ბინა. მხოლოდ მაშინდა გავათვითცნობირე, რომ
ბავშვი აღარ ვიყავი. ჩემი ცხოვრების დღიურს ჩემს
უკითხავად გადაემალა ახალი ფურცელი და გულუ-
ბრყვილო ბავშვის გაკვირვებული თვალებით მე-
კითხებოდა: „ეს შენ ხარ? – დაბრუნდი?“

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ჩემს წარმო-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

სახახაში კი ის ტყემლის ხე ისევ იქ დგას, ჩემს თანა-ტოლებთან ერთად ისევ მის ჩრდილში ვსხედვართ, ძველებურად ლალად ვკისკისებთ და წუთისოფლის ჭრელაჭრულა ამბეჭს ერთმანეთს გულიანად ვუყვე-ბით.

დიმიტრი
ლიხაჩოვი

ჭუპჩარიტი ხელოვნების ყოველგვარი გამოვლინება არის სიკეთის წყარო. იგი თავის საფუძველშივე ზნეობრივია სანორედ იმიტომ, რომ მკითხველებში, მა-კურებელში და ყველა იმპაში, ვინჯ მთს შეიგრძნობს, იწვევს თანაგრძნობას და თანაღმიობას ადამიანებისადამი, მთელი კარიბრიობისადმი.

፩. ጽጋብታኬንዥ



ԵՐԱՐՈՒԾԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱՍԱ ԴԱ ՑԱՅՑԵԿՈՂԵՐԵՔԱՑ

1990 წელს ვთარგმნე რუსი აკადემიკოსის, ცნობილი ლიტერატურათმცოდნისა და კულტუროლოგის პატარა წიგნი „წერილები სიკეთესა და მშვენიერებაზე“. აქ მოთავსებული წერილები ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდობისადმია მიმართული, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ზრდასრულ ადამიანებსაც გამოვგადგება მისი რჩევები. ამიტომ გთავაზობთ ერთ წერილს ამ წიგნიდან.

გევიგაცნოთ სალოვარი

სიცოცხლე ყველაზე დიდი ფასეულობაა, რასაც
კი ადამიანი ფლობს. თუ შეადარებთ უძვირფასეს
სასახლეში დარბაზებს, რომლებიც გრძელდება უს-
ასრულო ანფილადებით, რომლებიც სხვადასხვაგ-
ვარია და არც ერთი მათგანი მეორეს არ ჰგავს, მაშინ
ყველაზე დიდი დარბაზი ამ სასახლეში, ნამდვილი
სამეფო დარბაზი, იქნება ის დარბაზი, რომელშიც
მეფობს ხელოვნება. ეს არის საოცარი სასწაულების
დარბაზი და პირველი სასწაული რომელსაც იგი ახ-
დებს, ეუფლება არა მხოლოდ ამ სასახლის მფლო-
ბელს, არამედ ყველას, ვინც ამ დღესასწაულზეა
მოწვეული.

ეს უსასრულო ზეიმბების დაბაზია, რომლებიც
ადამიანის ცხოვრებას ხდის საინტერესოს, უფრო
საზეიმოს, მხიარულს, მნიშვნელოვანს... მე არ ვიცი,
კიდევ როგორი ეპითეტებით შეიძლება გამოყხატო
ის აღტაცება ხელოვნების წინაშე, მისი ნაწარმოე-
ბების წინაშე, იმ როლის წინაშე, რომელსაც იგი ას-
რულებს კაცობრიობის ცხოვრებაში. ყველაზე დიდი
განძი, რითაც ადამიანებს ხელოვნება აჯილდოვებს,
სიკეთეა. ხელოვნების გაგების ნიჭით დაჯილდოვე-
ბული ადამიანი ზნეობრივად უკეთესი ხდება და
ამისდაკვალად, უფრო ბედნიერიც, დიახ, უფრო
ბედნიერიც! რადგან ხელოვნების საშუალებით იგი
კეთილგანწყობით შეიმეცნებს სამყაროსაც, გარშე-
მო მყოფ ადამიანებს, წარსულსა და შორეულს;
ასეთი ადამიანი ადგილად უმეგობრდება სხვა ადა-
მიანებს, სხვა კულტურებს, სხვა ეროვნებებს; მას

უადვილდება ცხოვრება.

ე.ა. მაიმინი თავისი წიგნში უფროსკლასელ-
თათვის „სახეებით აზროვნების ხელოვნება“ წერს:
„აღმოჩენები, რომელთაც ჩვენ ხელოვნების სა-
შუალებით ვაკეთებთ, არა მხოლოდ ცოცხალი და
შთამბეჭდავია, არამედ კეთილი აღმოჩენებიცაა.
ხელოვნების საშუალებით მიღებული ცოდნა სინამ-
დვილისა, არის ცოდნა, რომელიც გამოიპარია ადა-
მიანური გრძნობებით, თანაგრძნობით. ეს თვისება
აქცევს სწორედ ხელოვნებას განუზომელი ზნეო-
ბრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივ მოვლენად.
გოგოლი თეატრის შესახებ წერდა: „ეს ისეთი კათე-
დრაა, რომლიდნაც მრავალი კეთილი სიტყვა შეი-
ძლება უთხრა მსოფლიოს“. ჭეშმარიტი ხელოვნების
ყოველგვარი გამოვლინება არის სიკეთის წყარო.
იგი თავის საფუძველშივე ზნეობრივია სწორედ იმ-
იტომ, რომ მკითხველებში, მაყურებელში და ყველა
იმათში, ვინც მას შეიგრძნობს, იწვევს თანაგრძნო-
ბასა და თანალმობას ადამიანებისადმი, მთელი
კაცობრიობისადმი. ლევ ტოლსტოი ლაპარაკობდა
ხელოვნების „გამაერთიანებულ საწყისზე“ და მის ამ
თვისებას პირველხარისხოვნა მნიშვნელობას ანი-
ჭებდა. „თავისი ხატოვანი გამომსახველობით ხე-
ლოვნება საუკეთესო საშუალებაა ადამიანის ურთ-
იერთობისა კაცობრიობასთან. იგი გვაიძულებს,
დიდი ყურადღებითა და გაგებით მოვეკიდოთ სხვის
ტკივილსა თუ სიხარულს. ხელოვნების საშუალებით
ამ სხვის ტკივილსა და სიხარულს მრავალწილად





გაითავისებს ადამიანი. ხელოვნება ადამიანურია ამ სიტყვის ყველაზე ღრმა გაგებით; იგი მომდინარეობს ადამიანიდან და მიემართება ადამიანისაკენ – მისი ყველაზე ცოცხალის, კეთილისა და საუკეთესოსაკენ. იგი ადამიანთა სულების ერთობას ემსახურება⁹. კარგად, ძალიან კარგად არის ნათქვამი! აქ რიგი აზრებისა ისე ულერს, როგორც მშვენიერი აფორიზები. სიმდიდრეს, რომელსაც აძლევს ადამიანს ხელოვნების ნიმუშების გაგება, ვერავინ წართმევს; ეს ნიმუშები ყველგან არის, მათ მხოლოდ დანახვა უნდა.

ბოროტება კი ადამიანში ყოველთვის დაკავშირებულია მეორე ადამიანისადმი გაუგებარ დამოკიდებულებასთან, სულის მტანჯველ გრძნობასთან და კიდევ უფრო მტანჯველ არაკეთილგანწყობასთან. როცა ადამიანს ჭამს ეს მუდმივი ბოროტების გრძნობა, მისთვის ცხოვრებას ეკარგება ხიბლი. ბოროტი ადამიანი თავის თავს თავისივე ბოროტებით სჯის, იგი სიბრუნეში თავის თავს ნთქავს, პირველ ყოვლისა.

ხელოვნება თავისთავად სინათლეა და ამავდროულად ანათებს ადამიანის ცხოვრებასაც; კვლავ ვიმეორებ: იგი აკეთილშობილებს ადამიანს, ანიჭებს მას ბედნიერებას.

მაგრამ ხელოვნების ნიმუშების გაგება არც თუ ისე ადვილია. ეს უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ ხანგრძლივად, მთელი სიცოცხლე, რამეთუ ხანგრძლივი შესვენებები ხელოვნების შეცნობისაკენ სწრაფვაში არ შეიძლება. ამით მხოლოდ უკან, გაურკვევლობის ბურუსში გადავდგამთ ნაბიჯეს. ხელოვნება ხომ ყოველთვის ახალი მოვლენებისკენ გვიპიძებს და ამაშია მისი უზარმაზარი სიკეთე. გაისხანა ჩვენთვის სასახლის ერთი კარი, მის მიღმა სხვა კართა გაღების ჯერია.

როგორ ვისწავლოთ ხელოვნების გაგება? როგორ სრულვყოთ ეს გაგება ჩვენში? რა თვისებებს უნდა ვფლობდეთ ამისთვის? მე არ ვაპირებ რეცეპტების მოცემას. მე არაფრის მტკიცება არ მინდა კატეგორიულად, მაგრამ არის თვისებები, რომლებიც მეტნაკლებად საჭიროდ მესახება ხელოვნების ნამდვილი გაგებისთვის. ეს თვისებებია: გულწრფელობა, პატიოსნება, გულის გახსნა ხელოვნების ნაწარმოებთა მისაღებად.

ხელოვნების შემეცნების შესწავლა უპირველესად საკუთარი თავიდან, საკუთარი გულწრფელობიდან უნდა დავიწყოთ.

ხშირად ამბობენ ვიღაც-ვიღაცების შესახებ: მას თანდაყოლილი გემოვნება აქვს. სულაც არა! თუ თქვენ დააკვირდებით ადამიანებს, რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი გემოვნებიანი არიან, ყველას ერთ საერთო ნიშანს შეამჩნევთ – ისინი თავიანთი ბუნებით პატიოსნები და გულახდილები არიან, ამიტომაც შეითვისეს ბევრი რამ.

მე არასოდეს შემიმჩნევია, რომ გემოვნება მემკვიდრეობით გადაეცემოდეს. გემოვნება იმ თვისებებში არ შედის, რომლებიც გენებით გადაეცემა,

თუმცა გემოვნება ოჯახში ყალიბდება. ოჯახზე, მის კეთილშობილებაზე ბევრია დამოკიდებული.

ხელოვნების ნაწარმოებს არ უნდა მივუდგეთ წინასწარი განწყობით, არ უნდა შევაფასოთ ის უკვე ჩამოყალიბებული „შეხედულებით“, მოდის თვალსაზრისით, მეგობრების შეხედულებებზე დაყრდნობით, ანდა არამეგობრულად განწყობილთა უარყოფითი შეხედულებებიდან გამომდინარე. უნდა შეგვეძლოს ხელოვნების ნაწარმოებთან „პირისპირ“ დარჩენა.

თუ თქვენ ხელოვნების ნიმუშის შეცნობისას აჟყვებით მოდას, სხვების თვალსაზრისას, ეცდებით, სხვებს დახვეწილად და ნატიფად მოაჩვენოთ თავი, თქვენ თქვენს თავში ჩახშობთ იმ ბედნიერებას, რომელსაც სიცოცხლე ხელოვნებას ანიჭებს, ხოლო ხელოვნება – სიცოცხლეს.

თავის მოჩვენებით, თითქოს გაიგეთ, რაც სინამდვილეში ვერ გაიგეთ, ატყუებთ არა სხვებს, არამედ საკუთარ თავს. თქვენ ცდილობთ, დაარწმუნოთ საკუთარი თავი, რომ რალაც გაიგეთ; ბედნიერება კი, რომელსაც ხელოვნება გვანიჭებს, თავისთავადია, როგორც ყოველგვარი ბედნიერება.

მოგწონთ? – ასეც უთხარით საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ მოგწონთ, ოლონდ თავს ნუ მოახვევთ მათ თქვენს შეხედულებებს, ანდა, რაც უფრო ცუდია, თქვენს ვერგაგებას; ნუ ჩათვლით, რომ თქვენ ისევე აბსოლუტური გემოვნება გაქვთ, როგორც აბსოლუტური ცოდნა: პირველი შეუძლებელია ხელოვნებაში, ხოლო მეორე – მეცნიერებაში. პატივი ეცით ხელოვნებისადმი დამოკიდებულებას საკუთარ თავშიც და სხვებშიც და გახსოვდეთ დრძნული შეგონება: „გემოვნებაზე არ კამათობენ“.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საკუთარ თავში ჩავიკეტოთ, დავკამაყოფილდეთ საკუთარი თავით, ჩვენი დამოკიდებულებით ხელოვნების ნაწარმოებისადმი? „მე ეს მომწონს! ეს კი არ მომწონს!“ და მორჩა, აქ დაგსვათ წერტილი. არავითარ შემთხვევაში. ხელოვნების ნიმუშების აღქმამ არ უნდა მოგვგაროს კმაყოფილების გრძნობა (არ უნდა დაგვაკამაყოფილოს – ნ.ა.). უნდა ვისწავლოდეთ, გავიგოთ ისიც, რაც ვერ გავიგეთ, ანდა ჩავულრმავდეთ იმსა, რაც გავიგეთ, ან, რაც ნაწილობრივ გავიგეთ. ხელოვნების ნიმუშის შეცნობა ყოველთვის არასრულია, რადგან ხელოვნების ნამდვილი ნიმუში თავისი სიმდიდრით ამოუწურავია.

ამოსავალად, როგორც უკვე ვთქვი, სხვების თვალსაზრისი არ უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ მათ აზრს პატივი უნდა ვცეთ, ანგარიში უნდა გავუწიოთ. თუ სხვების აზრი ხელოვნების ნაწარმოების შესახებ უარყოფითია, იგი, ძირითადად, აღარც არის საინტერესო. საინტერესო სხვაა: თუ ბევრი გამოთქვამს დადებით აზრს, თუ რომელიმე მსატვრისა, რომელიმე სამხატვრო სკოლისა ესმით ათასებსა, მაშინ ქედმალლობა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ყველა დღება და მხოლოდ თქვენ ხართ მართალი.

მართალია, გემოვნებაზე არ კამათობენ, მაგრამ



გემოვნებას ავითარებენ, ავითარებენ საკუთარ თავშიც და სხვებშიც. უნდა ვისწრაფოდეთ იქითკენ, რომ გავიგოთ ის, რაც სხვებს ესმით, განსაკუთრებით, თუ ეს სხვა – ბევრია. ხომ არ შეიძლება, რომ ეს სხვანი და სხვანი მატყუარები იყვნენ, თუ ისინი ამტკიცებენ, რომ მათ რაღაც მოსწონთ, რომ მხატვარი თუ კომპოზიტორი, პოეტი თუ სკულპტორი სარგებლობს უზარმაზარი და შეიძლება ითქვას, მსოფლიო აღიარებთაც. საერთოდ, არსებობს მოდა და არსებობს ყოვლად გაუმართლებელი უყურადღებო დამოკიდებულება ახლისა და უცხოსადმი; ხმირად სიძულევილით დასწროვნება „უცხოსა“ და ძალზე რთულისადმი და ა.შ.

საკითხი ეხება იმას, რომ არ შეიძლება უცებ გავიგოთ რთული, თუ ჯერ გაცილებით ადვილი არ გავიგოთ. ყოველგარი გაებისას, მეცნიერული იქნება ის თუ მხატვრული, არ შეიძლება, გადავახტეთ საფეხურებს. რომ გავიგოთ კლასიკური მუსიკა, უნდა ვიცოდეთ მუსიკის საფეხულები, ასევე მხატვრობასა და პოეზიაში. არ შეიძლება დავეუფლოთ უმაღლეს მათემატიკას, თუ არ ვიცით ელემენტორული.

გულწრფელობა პირველი პირობა ხელოვნების ნაწარმოებებთან დამოკიდებულებაში, მაგრამ პირველი პირობა ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ხელოვნების გაგებისათვის საჭიროა ცოდნა: ფაქტობრივი მონაცემები ხელოვნების ისტორიიდან, ძეგლის ისტორიიდან, ბიოგრაფიული მონაცემები მისი შემქმნელისა, გვეხმარება ხელოვნების ესთეტიკურ აღქმაში, მაგრამ არ ზღუდავს ამ აღქმას. ეს მონაცემები არ აიძულებენ მკითხველს, მაყურებელსა თუ მშენელს რაიმე გრკვეული ნიშნით შეაფასოს ან განსაზღვრული დამოკიდებულება იქნიოს ხელოვნების ნაწარმოების მიმართ, მაგრამ ერთგვარ კომენტარს უკეთებენ მას, გვეხმარებიან მის შეცნობაში.

ფაქტობრივი მონაცემების ცოდნა გვჭირდება, უპირველეს ყოვლასა, იმიტომ რომ ხელოვნების ნაწარმოების აღქმა მოხდეს ისტორიულ პერსპექტივაში, გამსჭვალული იყოს ისტორიზმით, თორემ ესთეტიკური დამოკიდებულება ძეგლისადმი ისედაც ყოველთვის ისტორიულია.

თუ ჩვენს წინაშეა თანამედროვე ძეგლი, უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვეობაც ისტორიის გარკვეული მონაკვეთია და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ძეგლი შექმნილია ჩვენს დროში. თუ ჩვენ ვიცით, რომ ძეგლი შექმნილია ძველ ეგვიპტეში, ეს ქმნის მისადმი ისტორიულ დამოკიდებულებას და გვიადვილებს ძეგლის აღქმას; ხოლო ძველეგვიპტური კულტურის უფრო მძაფრი აღქმისათვის დაგვჭირდება იმის ცოდნაც თუ ძველი ეგვიპტის ისტორიის რომელ ეპოქაშია შექმნილი ეს თუ ის ძეგლი.

ცოდნა გვიხსნის კარებს, ხოლო შიგნით შესვლა უკვე ჩვენი საქმეა. განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი დეტალების მნიშვნელობას. ხშირად წვრილმანი გვაძლევს საშუალებას, ჩავრცდეთ მთავარს. რაოდენ

საჭიროა იმის ცოდნა, თუ რისთვის იწერებოდა ან იხატებოდა ესა თუ ის ნაწარმოები!

ერმიტაჟში ერთხელ გამოიფინა რუსეთში მოლვანე დეკორატორის, პავლოვსკის ბალების გამშენებლის პეტრო გონზაგოს ნამუშევრები. პეტრო გონზაგო მოლვანებიდა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მისი ნახატები, რომელთა ძირითადი სიუჟეტი არქიტექტურაა, განსაცვიფრებელია ნაგებობათა პერსპექტივის მშვენებით. იგი თავს იწონებს თავისი ოსტატობით, მიუთითებს რა ყველა ხაზზე, რომლებიც ნატურაში ჰორიზონტალურია, მაგრამ ნახატებში ჰორიზონტს ერწყმიან, როგორც უნდა იყოს სინამდვილეში ნაგებობათა პერსპექტივის. თანაც რამდენია მასთან ეს ჰორიზონტალური ხაზები ნატურაში, ქონგურები, სახურავები. ეს ჰორიზონტალური ხაზები ყველგან გაცილებით უფრო მსუყეა, ვიდრე საჭიროა, თუმცა ზოგჯერ ისინი სცილდებიან იმ „აუცილებლობის“ საზღვრებს, რომლებიც ნატურაშია.

და კიდევ ერთი: ყველა ამ საოცარი პერსპექტივის აღქმის წერტილი გონზაგოს მიერ არჩეულია როგორლაც ქვემოდან. რატომ? დამთვალიერებელი ხომ ნახატს პირდაპირ უცქერის. იმიტომ, რომ ყველა ეს ესკიზი თეატრალური დეკორაციის ესკაზია, დეკორატორის ნახატი. თეატრში კი მაყურებელთა დარბაზი (ყოველ შემთხვევაში, ყველაზე „პატივსაცემი“ მაყურებლის ადგილი) ქვემოთაა და გონზაგოც თავისი კომპოზიციის აღქმას სწორედ მაყურებელზე, პარტერში მსხდომებზე გათვლის. ეს უნდა ვიცოდეთ.

ყოველთვის, როცა გვსურს გავიგოთ ხელოვნების ნაწარმოები, უნდა ვიცოდეთ ამ ნაწარმოების შექმნის პირობები, მიზანი შექმნისა, მხატვრის პიროვნება და ეპოქა. ხელოვნებას შიშველი ხელებით ვერ დაიჭირ. მაყურებელი, მსმენელი, მეთხველი ვალდებული არიან „შეიარაღდნენ“, – შეიარაღდნენ ცოდნით, მონაცემებით. აი, რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა შესავალ წერილებს, კომენტარებს და საერთოდ, ნაშრომებს ხელოვნებაზე, ლიტერატურასა და მუსიკაზე.

შეიარაღდით ცოდნით! ტყუილად არ არის ნათექამი, – ცოდნა ძალაა, მაგრამ ძალაა არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ ხელოვნებაშიც; ხელოვნება უძლურთათვის მიუწვდომელია. ცოდნის იარაღი მშვიდობიანი იარაღია.

თუ ბოლომდე ჩავრცდებით ხალხის ხელოვნებას და არ შევხედავთ მას როგორც პრიმიტიულს, იგი შეიძლება მივიწიოთ ამოსავალ წერტილად ყოველგვარი ხელოვნების გაგებისას – როგორც ერთგვარი სიხარულის, თავისითავად ფასეულობის, ხელოვნების აღქმის სხვადასხვა ხელისშემძლელი მომენტებისგან დამოუკიდებლის, ყოველგვარი მოთხოვნებისაგან (პირველ რიგში, უცილობელი „მსგავსების“ მოთხოვნისგან) თავისუფალის. ხალხური შემოქმედება გვასწავლის ხელოვნების მოთხოვნათა გაგებას. რატომ არის ეს ასე? რატომ არის





მაინცდამაინც ხალხური შემოქმედება ამოსავალი და საუკეთესო მასწავლებელი? იმიტომ, რომ ხალხურ შემოქმედებაში ათასნლეულების გამოცდილებაა ხორცშესხმული. ადამიანების დაყოფა „კულტურულებად“ და „უკულტურობად“, უმეტეს შემთხვევაში, გამოწვეულია საკუთარი თვალსაზრისის უკიდურესობით და მოქალაქეთა ერთგვარი გადაფასებით. გლეხებს თავიანთი რთული კულტურა აქვთ, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ ფოლკლორში (შეადარეთ თავისი შინაარსით ღრმა რუსული ტრადიციული გლეხური სიმღერა), არა მხოლოდ ხალხურ შემოქმედებაში, ჩრდილოეთში ხის მხატვრულ დამუშავებაში, არამედ იქაურ მძიმე ყოფაშიც, გლეხური თავაზიანობის მძიმე ჩვევებში, მშვენიერ რუსულ საქორწილო ადათებში, სტუმრის მიღების წესში, საერთო საოჯახო ტრაპეზშა თუ მძიმე შრომით ჩვევებში, შრომით დღესასწაულებში.

წეს-ჩვეულებანი ტყუილად როდი იქმნება. ისინი შედეგია მიზანშენონილობის მიხედვით მათთვის მრავალსაუკუნოვანი შერჩევისა, ხოლო ხალხის ხელოვნება – მშვენიერების მიხედვით შერჩევისა. ეს არ ნიშნავს, რომ ტრადიციული ფორმები ყოველთვის საუკეთესოა და ყოველთვის მხოლოდ მათ უნდა მივსდიოთ; უნდა ვისწავლით სიახლისკენაც, მხატვრული ალმოჩენებისენ (ტრადიციული ფორმებიც თავის დროზე აღმოჩენა იყო), მაგრამ ახალი ძველის, ტრადიციულის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას, როგორც შედეგი და არა როგორც შეცვლა ძველისა და მოპოვებულისა.

* * *

ხალხური ხელოვნება ბევრის მომცემია სკულპტურის შეცნობაშიც: მასალის გრძნობა, მისი წონა, სიმკვრივე, ფორმის მშვენიერება გამოკვეთილად ჩანს სოფლურ ხის ჭურჭელზე: ხისგან გამოჭრილ სამარილებზე, ხის დოქ-სასმურებზე, რომლებიც გამოჰქონდათ სადღესასწაულო სუფრებზე. ი.ი.ბოგესლავსკაია თავის წიგნში „ჩრდილოეთის განძი“ წერს დოქ-სასმურებსა და სამარილებზე, რომლებსაც აკეთებდნენ იხვის ფორმისას: „დიდებულად მშვიდი, მოცურავე ფრინველის გამოსახულება ამშვენებდა მაგიდას, თანამეინახეებს კი იგი ხალხური გადმოცემების პოეზიით აბრუებდა. ოსტატთა მრავალი თაობის მიერ იქმნებოდა ამ საგანთა სრულყოფილი ფორმა, რომელიც ერთგულდა სასმისის მოხერხებულობა სკულპტურის პლასტიკურ ხატთან. მოლივლივე კონტურები, ტალღისებრი ხაზები სილუეტისა თითქოს თავის თავში აერთიანებდა წყლის დინძის ნელ რიტმს. ასე, რეალურმა წინა ხატმა გაასულიერა საყოფაცხოვრებო ნივთი, მიანიჭა დამაჯერებელი გამომსახველობა მის პირობით ფორმას. უფრო ძველად კი იგი ჩამოყალიბდა როგორც სახე რუსული ნაციონალური ჭურჭლისა“.

ხალხური შემოქმედების ნიმუშთა ფორმა, – ესაა დროით ნაწილობი მხატვრული ფორმა. ასე-ვე გამოჭედილი ცხენები – ფიგურები ჩრდილოური

სოფლების ქოხების სახურავებზე. ტყუილად როდი აორჩია ეს ცხენები თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოების „ცხენების“ სიმბოლოდ ჩვენმა თანამედროვე საბჭოთა მნერალმა ფიოდორ აბრამოვმა.

რა არის ასეთი ეს „ცხენები“? სოფლური ქოხის ჭერზე იდებოდა უზარმაზარი მორი, რათა მიეცათ მისთვის სიმყარე და მის ბოლოებზე დაემაგრებინათ ფიცრის ნაჭრები. ამ მორის ერთ ბოლოზე იყო ხის ფესვიდან ნამოსული ძარღვი, ძირითადი ნაწილი მორისა, რომლიდანაც ცულით ჭრიდნენ ცხენის თავსა და მძლავრ მკერდს. ეს ცხენი ამშვენებდა ქოხის ფრონტონს და ჩანდა როგორც ერთგვარი სიმბოლო ქოხში ოჯახური ცხოვრებისა. და როგორი საოცარი ფორმა ჰქონდა ამ ცხენს? მასში ერთდროულად იგრძნობოდა მასალის – მრავალწლიანი თანდათან გაზრდილი ხის სიდიდე, რომლისგანაც იყო იგი გამოკვეთილი და დიდებულება ცხენისა, მისი ძალაუფლებისა არა მხოლოდ სახლზე, არამედ მთელ გარემომცველ სივრცეზე.

ცნობილი ინგლისელი სკულპტორი გენრი მური თავისი ძალის პლასტიკურობას თითქოს ამ რუსული ცხენებისგან სწავლობდა. გ. მურმა თავისი უზარმაზარი ნახევრადმწოლიარე ფიგურები ნაწილებად დაჩეხა. რატომ? ამით მან ხაზი გაუსვა მათ მონუმენტალურობას, ძალას და სამძიმეს. იგივე ემართებოდათ ჩრდილოეთში რუსული ქოხების ხის ცხენებს. მორში ჩნდებოდა ღრმა ნაპრალები. ნაპრალები მანამდეც ჰქონდა მორს, სანამ მას ცული შეეხებოდა, მაგრამ ეს არ აბრკოლებდა რუს სკულპტორებს. ისინი მიჩვეული იყვნენ ამ „მასალის დაჩეხვას“, რადგან ნაპრალების გარეშე ვერც ქოხის მორი გადარჩებოდა და ვერც ხის რიკულების სკულპტურა. ასე გვასწავლის ხალხური სკულპტურა, – გავიგოთ თანამედროვე სკულპტურის ურთულესი ესთეტიკური ელემენტები.

ხალხური ხელოვნება არა მხოლოდ გვასწავლის, არამედ თვითონვე ნარმობადგენს საფუძველს ბევრი თანამედროვე მხატვრული ნაწარმოებისა. თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში მარკ შაგალი ითვალისწინებდა ბელორუსი ხალხის ხელოვნებას, მისი ფერადოვანი პრინციპებისა და კომპოზიციების სახეობებს, ამ კომპოზიციების სიცოცხლისმოყვარეობით აღსავს შინაარსს, რომლებშიც სიხარული ადამიანის აღმაფრენაში გამოიხატება, სახლები სათამამოებს ემსგავსებიან და ოცნება სინამდვილეს ერწყმის. მისი მკვეთრად ჭრელი მხატვრობა თავისი თავში ავლენს ხალხისთვის საყვარელ ფერთა ანარეკლს ნითლისა, მკვეთრი ცისფერისა, ხოლო ცხენები და ძროხები სევდიანი ადამიანური თვალებით უმზერენ მაყურებელს. დასავლებში ცხოვრებამაც ვერ შეძლო მოეწყვიტა მისი შემოქმედება ამ ბელორუსული ხალხური საწყისებიდან.

მხატვრობისა და სკულპტურის ბევრი ურთულესი ნაწარმოების გაგებაში გვეხმარება თიხის სათამამოები ვიატკიდან და ჩრდილოელი დურგლების გაკეთებული ხის სათამამოები.



ცნობილი ფრანგი არქიტექტორი ლე კორ-ბიუზე თვითონვე აღიარებდა, რომ მრავალ არ-ქიტექტურულ ხერხს ქალაქ ოხრიდას ხალხური არ-ქიტექტურის ფორმებიდან სესხულობდა; კერძოდ, სწორედ აქედან გადმოიღო მან სართულების და-მოუკიდებელი განლაგების სტილი. ზედა სართული ცოტათი გვერდით არის დადგმული ქვემოთასთან შედარებით, რომ მისი ფაზჯრებიდან იშლებოდეს ქუჩების, მთებისა და ტბის მშვენიერი ხედი.

ხანდახან თვალსაზრისი, რომლითაც ხე-ლოვების ნიმუშს აფასებდნ, აშკარად არასაკმარი-სია. აი, ერთი „არასაკმარისობა“ – პორტრეტი გა-ნიხილება მხოლოდ ასე: „ჰგავს“ თუ „არ ჰგავს“. პორტრეტი ორიგინალს თუ არ ჰგავს, საერთოდ არც არის პორტრეტი, თუმცა ეს პორტრეტი შეი-ძლება ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში იყოს. და თუ უბრალოდ „ჰგავს“, განა ეს საკმარისია? მსგავსების ძებნა ხომ უმჯობესია მხატვრულ ფოტოგრაფიაში. აյ მხოლოდ მსგავსება კი არა დოკუმენტიცაა, ყვე-ლა ნაოჭი თუ გამონაზარდი ადგილზეა.


რა სჭირდება პორტრეტს მსგავსების გარ-და, რომ იგი ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყოს? პირველ რიგში, თვითონ მსგავსება შეიძლება სხვა-დასხვა რანგის იყოს ადამიანის სულის სიღრმეებ-ში წვდომისას. ეს კარგმა ფოტოგრაფებმაც იციან, როდესაც ცდილობენ დაიჭირონ გადაღებისათვის შესაფერისი მომენტი, რომ სახეზე არ იყოს დაბუ-ლობა, რომელიც, ჩვეულებრივ, დამასასიათებელია გადაღების მოღლიდიში; რომ სახის გამომეტყველე-ბა იყოს სახასიათო, რომ სხეულის მდგომარეობა იყოს თავისუფალი და მისეული. „ასეთ შინაგან მს-გავსებაზე“ ბევრად არის დამოკიდებული გახდება თუ ვერა პორტრეტი ან ფოტო ხელოვნების ნიმუში. მაგრამ საქმე სხვა მშვენიერებაშიცაა – ფერის, ხე-ლოვების, კომპოზიციის მშვენიერებაში. თუ თქვენ მიერჩით, გააიგივოთ პორტრეტის მშვენება იმ ადა-მიანის მშვენებასთან, ვინც პორტრეტზეა გამოსახ-ული და ფიქრობთ, რომ არ შეიძლება იყოს რაიმე განსაკუთრებული ფერწერული ან გრაფიკული პორტრეტის მშვენებაში პორტრეტზე გამოსახული პირის მშვენებისგან დამოუკიდებლად, – თქვენ ჯერ კიდევ არ შეგიძლიათ გაიგოთ არსი პორტრეტისა, ფერწერისა.

რაც პორტრეტზე იყო ნათქვამი, გაცილებით დიდ მასშტაბებში შეიძლება ითქვას პეიზაჟზე. ესეც „პორტრეტებია“, მხოლოდ ბუნების პორტრეტები. აქაც საჭიროა მსგავსება, მაგრამ გაცილებით მეტად არის საჭირო ფერწერის მშვენიერება, ცოდნა იმისა, რომ გაიგო და გადმოსცე „სული“ ნახატზე ასახული ადგილისა, „იქაურობის გენია“, მაგრამ მხატვარმა, შესაძლებელია, ბუნება გადმოსცეს მეტისმეტი „შეს-ნორებებით“, არა ის, რაც არის, არამედ ის, რაც მას სურს და რისთვისაც არსებობს ესა თუ ის სერი-ოზული საფუძველი. თუმცა, თუ მხატვარი მიზნად ისახავს, არა მხოლოდ შექმნას სურათი, არამედ მასზე გამოსახოს გარკვეული ადგილი ბუნებაში ან ქალაქში, მისცეს თავის ნახატს განსაზღვრული ნიშ-ნები განსაზღვრული ადგილისა, – მსგავსების არ-ქონა ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი ნაკლია.

მაგრამ თუ მხატვრის მიზანია, გამოსახოს არა უბრალოდ პეიზაჟი, არამედ, მხოლოდ გაზაფხულის ფერები: ნორჩი არყის სიმწვანე, არყის ხის ქერქის ფერი, გაზაფხულის ცის ფერი, და ყველაფერი ეს ისე განაღავა, რომ ამ გაზაფხულის ფერთა მშვე-ნიერება მეტი სისრულით გამოჩნდეს, გაგებით უნდა მივუდგეთ ასეთ ნახატსაც, ასეთ ხედვასაც და მხატ-ვარს ის მოთხოვნები არ უნდა წავუყენოთ, რომელ-თა დაკმაყოფილებაც მას მიზნად არ ჰქონია.

თუ უფრო შორს წავალთ და წარმოვიდგენთ მხატვარს, რომელიც ისწრაფის, თავისი სათქმელი მხოლოდ ფერთა შეხამებით ან ხაზებით გადმოსცეს და არ ცდილობს, მოქებნოს მსგავსება რაიმესთან მაინც? უბრალოდ, გადმოსცეს საკუთარი განწყო-ბა ან სამყაროს მისეული აღქმა? სანამ ასეთი ცდის ხილვისას ხელს ჩავიქნევდეთ, აუცილებელია, კარ-გად დავფიქრდეთ. ყველაფერი, რაც ჩვენ ერთი შეხედვით არ გვესმის, არ უნდა გავატანოთ ქარს, არ უნდა უარყოთ. ასე ჩვენ ძალიან ბევრ შეცდო-მას დაგუშვებდით. სერიოზული კლასიკური მუსიკის გაგებაც ხომ შეუძლებელია ისე, თუ არ სწავლობ მუსიკას; სერიოზული მხატვრობის გასაგებადაც სწავლაა საჭირო.

რუსულიდან თარგმნა ნონი არსენაშვილება



ლიტერატურული ცხოვრების ქრონიკა

ვაჟაობა ლაფანურში

27 ივლისს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაფანურში ვაჟაობა აღინიშნა. ლონისძიების ფარგლებში სპორტული და კულტურული აქტივობები ჩატარდა. გაიმართა ქართული ჭიდაობა და დოლი. კულტურულ ლონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა და მოწვეულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „წინანდალი“, „პატარა კახი“, „მზე შინა“, „ლილილო“ (გარდაბანი), „ფხოვი“ (დუშეთი). ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ტარიელ ხარხელაურმა, ლექსო ტურაშვილმა და დეკა ნაყეურმა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ თელავის მუნიციპალიტეტის მერი – შოთა ნარეკლიშვილი, თანეთის მუნიციპალიტეტის მერი – თამაზ მეჭიაური, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სატუმრები.

64



გურამ რჩეულიშვილის საღამო

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით და თელავის მთავარი ბიბლიოთეკის ორგანიზებით, 6 სექტემბერს, თელავის კულტურის ცენტრში მწერალ გურამ რჩეულიშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამოს მწერლის ოჯახის წევრები, მკულევარები და მისი შემოქმედების ქომაგები ესწრებოდნენ.

ლონისძიებაზე ისაუბრეს მწერლის მოღვაწეობის შესახებ, წაიკითხეს ამონარიდები გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნებიდან და მისი ცხოვრებისეული მომენტები გაიხსენეს.

ლონისძიებას თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შალამბერიძე და მერის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი ფიქრია ყუშიტაშვილი ესწრებოდნენ.

გვარცა ქაშიკაშვილის წიგნის „ჩემი ხილვები“ პრეზენტაცია

25 სექტემბერს თელავის ისტორიული მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში გვანცა ქეშიკაშვილის წიგნის „ჩემი ხილვები“ პრეზენტაცია გაიმართა.

ლონისძიება მუზეუმის დირექტორმა გურამ ურჩებიშვილმა გახსნა და ავტორს წარმატებები უსურვა. წიგნის პრეზენტაციას საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

„ჩემი ხილვები“ თელავის მუნიციპალიტეტის მერის დაფინანსებით გამოიცა.

ტარიელ ხარხელაურისა და გვარცა ქაშიკაშვილის საღამო

21 ოქტომბერს თელავის ისტორიულ მუზეუმში პოეტების, ტარიელ ხარხელაურისა და გვანცა ქეშიკაშვილის ერთობლივი საღამო სახელწოდებით „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“ გაიმართა.

ლონისძიებას თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შალამბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ლონისძიება თელავის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით ჩატარდა.

ხსოვნის საღამო

25 ოქტომბერს თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში პოეტ ბაადურ ბალარჯიშვილის და მხატვრების ვატია დავითაშვილის და გია დავითაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.

თელავის მთავარი ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ლონისძიებას პოეტისა და მხატვრების ოჯახის წევრები, თელავისა და ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი გელა სამხარაული, თელავის მერის წარმომადგენლები და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები დაესწრნენ.

ლონისძიება თელავის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით ჩატარდა.





მხატვარი ზაქრო ფიცხელაური



ISSN 1512-3995



15123995